ოთარ
ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა საიდუმლოს ინახავს ვანი

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ოთარ
ლოლაძიშვილი

რა საიდუმლოს ინახავს ვარსკვლავი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ქუთაისის ფილიალი
1984

63.4(2г)
902.6(47.922)
ლ 852

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ოთარ ლორთქიფანიძის მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „რა საიდუმლოს ინახავს ვანი“ მოგვითხრობს ძველი კოლხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის ისტორიის შესახებ. ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს თუ როგორ ჩნდებოდა მიწის საფარველ ქვეშოდან ძველი ქალაქის დიდებული კარიბჭე, გრანდიოზული თავდაცვითი კედლები, წარჩინებულ პირთა საოცრად მდიდრული სამარხები, ოქროვეიდლობის უნიკალური ნიმუშები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ქანდაკებები, ნატიფი თიხის ჭურჭელი — ძველი კოლხური ცივილიზაციის განვითარების მაღალი დონის უტყუარი და თვალსაჩინო მოწმობა.

წიგნი პოპულარული ენითაა დაწერილი, უხვადაა ილუსტრირებული და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

К289.430

მეორე შევსებული გამოცემა

Лордкипанидзе Отар Давидович
ТАЙНУ КАКУЮ ХРАНИТ ВАНИ
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Кутаисский филиал
Кутаиси, Руставели, 7
1984

Л $\frac{70302-012}{М601(08)84}$ 341—84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
ქუთაისის ფილიალი, 1984 წ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„რა საიდუმლოს ინახავს ვანი?
ქვესკნელში ფერფლად ჩაშლილი ბანი?
რა სათქმელს მალავს გეგუთის ველი?
კოლხეთის მიწის სიგრძე და განი?“

ირ. აბაშიძე

დღევანდელი ქალაქი ვანი შუაგულ იმერეთში, მდ. სულორის (რიონის მარცხენა შენაკადის) ულამაზეს ხეობაში მდებარეობს (სადგურ სამტრედიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ-ის დაცილებით).

სახელწოდება „ვანი“, რაც ძველ ქართულ ენაში ნიშნავდა „სახლს“, „სადგურს“, „დაბას“, „საცხოვრებელს“, „მონასტერს“, ამ მხარის აღსანიშნავად არ გვხვდება ჯერჯერობით არც ანტიკურ (ბერძნულ-რომაულ) და არც საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებში. XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ამ მხარეს ძველად საჩინო ეწოდებოდა. ვახუშტის აღწერით: „საჩინოს ამას მზღვრის მთა ფერსათი, ჩრდილოთ რიონი, რომელი განჰყოფს ვაკესა და საჩიჯავაძოს, დასავლით მზღვრის ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა ჩრდილოთ კერძ, საჯავახო-გურიის გამყოფელი, ვიდრე რიონამდე... არს ადგილი ესე უმეტესადცა ნაყოფიერი და ბარი...“ დღესაც, ვანის რაიონის სოფლები გაშენებულია პატარა ბორცვებსა და გორაკებზე, შეფენილია ახალციხისა და გურია-აჭარის ქედების კალთებზე. უკვე შორი მანძილიდან თვალს იტაცებს ბაღ-ვენახებით, სიმინდის ყანებითა და მოხდენილი იმერული ოდა-სახლებით მორთული კოხტა სოფლები.

სახელწოდება „ვანი“ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში და-

სახლებული პუნქტის აღსანიშნავად კი წერილობით წყაროებში პირველად მხოლოდ XVIII საუკუნის 70-ან წლებში გამოჩნდება. მას მოიხსენიებენ გერმანელი მოგზაური იოჰან-შტედტი, „ვანის ოთხთავის“ 1776 წლის „მინაწერი“ და სხვ.

მაგრამ ამ დროს „ვანი“ ეწოდებოდა იმ ადგილს კი არა, სადაც ახლა არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და ჩვენი საუბრის საგანს წარმოადგენს, არამედ მისგან დღეს სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 7—8 კმ-ის დაცილებით მდებარე სოფელს, რომელსაც ახლა „ზედა ვანი“ ჰქვია და ცნობილია „ვანის მთავარანგელოსის“ ეკლესიით, ოდესღაც საშუალო საუკუნეების ფრესკებით რომ ყოფილა მორთული...

დღეს საყოველთაოდ ცნობილი ანტიკური ხანის ქართული ნაქალაქარი კი მდებარეობს საკუთრივ ვანში, ადმინისტრაციული ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით სულ რაღაც ერთი კილომეტრის დაცილებით, გორაკზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ახვლედიანების გორას“ უწოდებს. ეს სახელი კი იმიტომ შეერქვა, რომ აქ XVII ს. ბოლოდან ლეჩხუმიდან ჩამოსული ახვლედიანები დასახლდნენ.

ძველი ნაქალაქარი დაახლოებით 200 მეტრი სიმაღლის საკუთხა ბორცვზეა განლაგებული და მოიცავს დაახლოებით 8,5 ჰექტარ ფართობს, რომელიც სამ ტერასადაა დანაწილებული. გორაკს ორი მხრიდან ღრმა ხევები ზღუდავს და მას მთელ იმ არემარეზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია. აქედან კარგად მოჩანს მთელი რიონის დაბლობი, ქალაქი ქუთაისიცა და შორი სვანეთის მთებიც. ამან განაპირობა ამ ბორცვის შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობაც. აქედან შეიძლებოდა შარჯვედ ედევნებინათ თვალყური ვანზე გამავალი დიდი სავაჭრო გზისთვისაც. ცნობილია, რომ აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე. ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით (მდ. მტკვარი — სურამის უღელტეხილი — მდ. ყვირილა-რიონი) აღწევდა შავ ზღვამდე დღევანდელ ფოთთან (ძველი ქალაქი ფასისი).

ვანზე გადიოდა სხვა მნიშვნელოვანი გზებიც, რომელნიც სამხრეთ საქართველოდან (ისტორიული მესხეთი) და სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოდან (გურია) მოემართებოდა... ამავე დროს თვითონ ბორცვი როგორღაც მოფარებულია და „ეროვნული უმჩნეველია“ მთავარი გზიდან, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის ისედაც ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციას. სწორედ ეს ბორცვი იქნა შერჩეული ქალაქის ასაშენებლად...

აქ, ამ გორაზე, თითქმის ყველა ეზოში, გზის ყოველ მონაკვეთზე, ჩანს თლილი ქვებით ამოყვანილი საძირკვლები, ალიზის მძლავრი კედლები, რომლებიც ძლიერი ხანძრისაგან მთლიანად გაწითლებულა. მიწის სამუშაოების დროს კი ხშირად ჩნდება უძველეს ნაგებობათა ნაშთები, ოქრო-ვერცხლის სამკაულის შემცველი სამარხები, მონეტები... ეს პატარა გორაკი მართლაც რომ ძველი საქართველოს პომპეია!

ას წელზე მეტია, რაც ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა მეცნიერთა და ენთუზიასტ-მხარეთმცოდნეთა ყურადღება მიიქცია. 1947 წლიდან კი დაიწყო მისი სისტემატური (თუმცა არა ყოველწლიური) არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც ახლა უკვე საკმაოდ ფართო მასშტაბით ხორციელდება. აღმოჩენილია ამ ძველი ქართული ქალაქის გალავნის კედლები, ტაძრები, საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, 2000 წლის მანძილზე მიწით რომ იყო დაფარული.

თუ როგორ ჩნდებოდა მიწის საფარველქვეშ ჩვენი ეროვნული ისტორიის ეს მრავლისმეტყველი ძეგლები, — ვეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ამ წიგნში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს წვიმა

1876 წელს ქართული გაზეთი „დროება“ მკითხველებს აუწყებდა: „ისე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთეულები“. ეს ცნობა დაბა ვანის ახვლედიანების გორას შეეხება! წერილის ავტორი, რომელიც ს ხ ვ ი ტ ო რ ე ლ ი ს ფსევდონიმით იხსენიება, წერს: „სოფელ საჩინოს არიან რამოდენიმე მოსახლე აზნაური გვარად ახვლედიანები; ამ ახვლედიანებს და რამოდენიმე გლეხს ეკუთვნის ერთი გორა, რომელიც იქნება სივრცით 15 ქცევამდე. ამ გორის ძირში დასახლდნენ 3 კომლი ახვლედიანები. როდესაც დაუწყეს თხრა სახლის ბალავერს — ნახეს, რომ ამ გორას ჰქონია ძველად გალავანი გარშემო შემოვლებული სულ წმინდა თლილი ქვით და შემდეგში მიწას დაუფარავს. ერთ ადგილას იპოვეს სასაფლაო ქვითკირით ამოშენებული და შიგ ჯაჭვით დაბმული კაცის გვამი. ეს კაცი ნამდვილ ზღაპარ-მოთხრობითი გმირი ყოფილა. პირველ საფლავინ გახსნაზე ნამდვილად სჩანდა კაცის სიმაღლე და მოყვანილობა. საშინელი საოცარი ჯაჭვი რგოლით კისერზე ეცვა და რკინის პალოზე მიბმული იყო ფეხის წვივის ძვალით, კოჭიდან კვირისთავამდე თითქმის ერთი ალაბი სიგრძე ჰქონდა. რამოდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ჰაერმა დაკრა, მტვრად წავიდა, გაჰქრა, მხოლოდ დარჩა ჯაჭვი და ერთი კბილი... ჩვენდა სამწუხაროდ, რადგანაც ის გორა ეკუთვნის ბევრს და საზიარო არის, ამისათვის, რაც უნდა იპოვნონ, ერთი მეორეს უმალამს და ჩუმად ყიდის ვაჭრებში. ერთმა მათგანმა ოქროს ლანგარი გაყიდა იაფად ვაჭრებში ჩუმად. ერთი კიდევ თეფში, მრგვალი ბადესავით მოქსოვილი ცხრილებიანი ოქროს ლანგარი გაეყიდათ და რისი მოსახმარისი იყო, ვერავინ გაიგო.

ერთმან თ. ლ. იშოვნა მათგან ბეჭდები და ოქროში ჩამჯდარი ლალი, რომელზედაც არის ამოჭრილი ქალის სახე. რ ო ბ ერ ს ც ნ ე ლ ი სჩანს დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში ვინ იცის, რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპული და რამდენი კიდევ იპოვება ამ გორაში". ასე გულისტკივილით წერდა XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი კაცი ვანის მიწაზე არქეოლოგიური ძეგლების პირველი აღმოჩენების შესახებ. რაც უკვე იმ დროს, ჩანს, ფართოდ გახმაურებული ამბავი იყო და კარგა ხნისაც...

ჯერ კიდევ 1847-48 წლებში საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობდა შესანიშნავი ფრანგი ქართველოლოგი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი აკადემიკოსი მარი ბროსე. ქუთაისში ყოფნისას საპატიო სტუმრისათვის მიურთმევიათ მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელიც „საჩინოს ერთ-ერთ საფლავში" ყოფილა ნაპოვნი. სამწუხაროდ, არავინ იცის, დღეს რა ბედი ეწია ამ ქანდაკებას და სად ინახება ახლა იგი. მარი ბროსეს აღწერით, ეს იყო „მამაკაცის ბიუსტი მხრების დასაწყისამდე, თმიანი და წვერიანი, არწივისებური დიდი ცხვირითა და სარდონიკული სიცილით".

ამრიგად, უკვე XIX საუკუნის შუა ხანებიდან ცხადი ხდებოდა ვანის არქეოლოგიური ძეგლების დიდი მნიშვნელობა. შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი კი სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა და კიდევ უფრო იქცევდა ქართველი საზოგადოებისა და მოწინავე ინტელიგენციის ყურადღებას. და აი, 1880 წლის 18 ნოემბერს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა V საარქეოლოგიო ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის თბილისში გამართულ სხდომას მოახსენა ვანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის აუცილებლობა. ამ მოხსენებაში ასეთი ცნობაცაა: „საჩინოს ერთ-ერთ ყორღანში ვინმე აზნაურმა ახვლედიანმა იპოვა მთელი განძი ოქროს და სპილენძის ნივთებისა, გარეგნობით მეტად ძველი წარმოშობისა".

ამ ცნობებმა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია და 1889 წელს ვანში გათხრების ჩატარება ა. სტოიანოვისათვის დაუვალებიათ. ეს იყო იმ დროს

ცნობილი მხარეთმცოდნე, ქუთაისისა და შემდეგ ბათუმის გიმნაზიის დირექტორი. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებით „სტოიანოვი, ჩამომავლობით ბულგარელი, ძალიან ... ბული კაცი იყო და მოწაფეებისათვის კარგი დირექტორი. ერთხელ სვანეთში იმოგზაურა და დაბეჭდა მოგზაურობის აღწერილობა, რომელიც შემდეგ დ. ბაქრაძემ გაუკრიტიკა. მას მინდობილი ჰქონდა ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა გათხრა“.

ა. სტოიანოვის მიერ ვანში ჩატარებული სამუშაოების შესახებ მოკლე ცნობები გამოქვეყნებულია იმდროინდელ რუსულ გაზეთებში. აღნიშნულია, რომ „არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელთაც მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დავალებით აწარმოებდა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი მაისის თვიდან (1889 წ.), სოფ. ვანის (ქუთაისის მაზრა) მახლობლად აღმოჩენილ იქნა ძველი ბერძნული დროის საფლავები. ამ ადგილას ნაპოვნი ოქროს ნივთეულობა მეცნიერულად დიდად საინტერესოა“.

იმავე წელს ვანში გათხრები ჩაუტარებია ფრანგ მეცნიერს იაკობს, რომელსაც აქ ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები გაუთხრია და მის იატაკქვეშ აკლდამა უპოვნია. ამ აღმოჩენის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს შემონახული ექვთიმე თაყაიშვილს:

„აკლდამამ 1889 წელს დიდი ალიაქოთი ასტეხა ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის. როდესაც აკლდამის კარებს მიაგნეს, ყველას ეგონა, აქ დიდი ხაზინა აღმოჩნდებოდა, და ამიტომ ადვილად აღარ გაახსნევინეს აკლდამა. მოსთხოვეს ფრანგ იაკობს ანგარიშის გასწორება, რომელმაც ერთ კვირამდის გასტანა, და ამ დროის განმავლობაში შეიარაღებული დარაჯები ადგნენ თავს ამ ადგილს და დიდი სიფრთხილით იცავდნენ ვითომც და ხაზინას. შემდეგ, როდესაც აკლდამა გახსნეს, აღმოჩნდა მხოლოდ ძვლები, როგორც მოსალოდნელი იყო“. ასე მოეცარა ხელი ჩვენს ქვეყანაში ოქროს მაძიებელ ფრანგ არქეოლოგს.

1896 წელს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დავალებით ვანში არქეოლოგიურ გათხრებს იწყებს დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის დიდი მოამაგე აწ განსვენებული აკადემიკოსი ექ-
ვთიმე თაყაიშვილი. ის იყო მაშინ, მისივე სიტყვებით, რომ
ვთქვათ, „ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც ეს-
ქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით აწარმოებდა
გათხრას საქართველოში“. ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის
სწორედ პატივი ვანში პირველი მეცნიერული გათხრების ჩა-
ტარებისა. მანვე პირველმა სწორად განსაზღვრა აქ აღმოჩენი-
ლი ძეგლების ასაკი და იწინასწარმეტყველა ვანის არქეოლო-
გიური შესწავლის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. ე. თაყა-
იშვილი ამტკიცებდა „ძველი ქალაქი ვანისა თავის ნაშთებით
დამარხულია ეხლანდელი ახვლედიანების კარ-მიდამოში. სა-
დაც არ უნდა მიადგეთ თხრას ამ გორაკზე, ყველგან იპოვით
ეგრეთწოდებულს „კულტურულ ნიადაგს“, ქვის კედლებს,
სხვადასხვა შენობებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ქვევრებს და
სხვა. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზე-
ზედ ამოსჭვივიან“. ყოველივე ამან ღრმად განსწავლულ მეც-
ნიერს ათქმევინა „ეს პატარა გორაკი კერჩის მითრიდატეს
მთას[1] მოგვაგონებს“-ო. განსვენებული მეცნიერის ყურადღე-
ბა მიუქცევია ოქროს ნივთების სიმრავლესაც; „ყველაზე უფ-
რო დიდს მოპოვებას ვანში ადგილი ჰქონდა 35 წლის წინათ,
როცა, ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობით, იპოვეს მდი-
დარი საფლავი და შიგ ჩატანებული ოქროს სამაჯურები, ბეჭ-
დები, საყურეები, ოქროს ფულები, დიადემა, ცხენის საკაზმი
ოქროს სამკაულები, ოქროს კვერთხი თავში გველისებური
მოკაზმულობით, სპილენძის ტაშტი და სხვა ნივთები. მაგრამ
აღარაა ცნობილი სად წავიდა ეს ნივთები“. ე. თაყაიშვილის
გასაოცარ ენერგიასა და მშობლიური კულტურის დიდ სიყ-
ვარულს მაინც შეძლებია ადრე ნაპოვნი ზოგიერთი ნივთის
მოძიება. ახლაც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმ-
ში ოქროს ვარდული და ბრინჯაოს არწივი, ნაირსახოვანი თი-
ხის ჭურჭელი და სხვა არქეოლოგიური კოლექციები — ექვ-
თიმე თაყაიშვილის მიერ ვანში შეგროვებული. ამრიგად ექვ-
თიმე თაყაიშვილმა პირველმა მიუჩინა ვანის ნივთებს სამუ-

---

[1] მითრიდატეს მთას უწოდებენ დღევანდელი ქერჩის ბორცვოვან ნა-
წილს, სადაც მდებარეობდა იმ დროს არქეოლოგიური აღმოჩენებით სა-
ხელგანთქმული ძველი ბერძნული ქალაქი პანტიკაპეიონი.

დამო ადგილი ჩვენი ეროვნული კულტურის ამ დიდ საგანძურში და გადაარჩინა ისინი უკვალოდ დაკარგვას! [illegible] მეტი! დიდმა მეცნიერმა იმთავითვე სწორად განსაზღვრა ვანში ნაპოვნი ოქრო-ვერცხლის სამკაულის წარმომავლობა: „ოქროს საყურეები, სამაჯეები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთებიც ოქროისა, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკეთებია. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უვლის გორაკს. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებდნენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვაბიის ნაპირს აჰყვებით, ადვილად დარწმუნდებით ქარხნის ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყვიის დაურჯაკებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხნებიც ჰქონიათ“. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ თვალსაჩინოდ გამართლდება ამ შესანიშნავი მეცნიერისა და დიდებული ქართველი კაცის ეს წინასწარი ვარაუდი... თვით ექვთიმე თაყაიშვილი კი რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული, თავის მოგონებებში წერს: „ვთხარე ვანშიც და თან საკმაოდ დაწვრილებით აღვწერე იქაური შესანიშნავი ნაქალაქარი, ანტიკური დროისა, სადაც კვლავ ბევრი რამ იჩენს თავს დარწმუნებული ვარ“.

XX საუკუნის დასაწყისში ვანის არქეოლოგიური შესწავლა შეწყდა: პოლიტიკური მოვლენები რუსეთში ისე განვითარდა, რომ საამისოდ აღარავის ეცალა (რუსეთ-იაპონიის ომი, რევოლუციები).

ამ დროს კი ვანში, როგორც ჩანს, კვლავ გრძელდებოდა არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენები... იქმნებოდა ლეგენდები, რომლებიც ალბათ რაღაც ჭეშმარიტებასაც შეიცავენ. ახლაც გვიამბობენ ვანის მცხოვრებლები: ამ სამოცდაათიოდე წლის წინათ ერთ-ერთ ახვლედიანს მიწის დასაბარავად სვანები დაუქირავებია. სვანებს თითქოს ორ თვეს უმუშავიათ და მერმე, ერთ მშვენიერ დღეს უკვალოდ გამქრალან, ისე რომ

ქირაც კი არ მოუთხოვიათ. ერთი წლის შემდეგ ახალდიანს შეუტყვია, რომ მიწის მუშებს მის მამულში უამრავი ოქროს ნივთები უპოვიათ და იმიტომაც აღარ მოუთხოვიათ სამუშაოს გასამრჯელო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929 წელს იწყება ვანში ნაპოვნი ოქროს ნივთების შემოსვლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამ დროს შეემატა ჩვენს მუზეუმს სწორედ ოქროს შესანიშნავი ბალთა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ვეფხვთან მორკინალი ჭაბუკი (ზოგიერთი მეცნიერის მიერ ჰერაკლედ მიჩნეული). ამრიგად ვანი კვლავ იქცევს მეცნიერ-არქეოლოგთა ყურადღებას...

1936 წელს ვანში ტარდება პირველი სადაზვერვო სამუშაოები, რომელიც დიდი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით მოეწყო. პირველ დაზვერვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე შესანიშნავი მეცნიერი, დიდად ნიჭიერი და განათლებული ისტორიკოსი და არქეოლოგი ლევან (ლენკო) მუსხელიშვილი და მაშინ ასპირანტი, შემდეგ კი ვანის პირველი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი აწ განსვენებული ნინო ხოშტარია. მათ შეკრიბეს ზედაპირული არქეოლოგიური მასალა (ანტიკური ხანის კრამიტები, შავლაკიანი და წითელლაკიანი თიხის ჭურჭლები) და მით კიდევ ერთხელ ცხადყვეს ვანის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა.

1940 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სიძველეთა დაცვის განყოფილებამ ვანში მიავლინა თავისი თანამშრომლები (დ. ლომიძე, მ. კალაშნიკოვი), რომელთაც შეიძინეს მთელი კოლექცია არქეოლოგიური ნივთებისა. მათ შორისაა ფერადი მინის მინიატურული გამოსახულებანი (ადამიანის ნიღაბი, დელფინი, პეპელა, იხვი და სხვ.).

ვანის არქეოლოგიური შესწავლა ფართო მასშტაბით დღის წესრიგში დგებოდა და იგი პირველი რიგის სამუშაოდ იქნა მიჩნეული. მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და არქეოლოგიური გათხრებიც კვლავ რამდენიმე წლით გადაიდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ექსპედიცია

პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია ვანში 1947 წლის 12 სექტემბერს მიავლინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა. ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აწ განსვენებული ნინო ხოშტარია. პირველ ექსპედიციაში უმთავრესად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა არქეოლოგები: ქეთევან ბერძენიშვილი, როსტომ აბრამიშვილი და ოთარ ტყეშელაშვილი, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები. ექსპედიციას ემსახურებოდა ფოტოგრაფი ე. ერისთავი.

ექსპედიციამ პირველი გათხრები ახვლედიანების გორის წვერზე ჩაატარა და ექსპედიციის პირველივე ნაბიჯები დიდი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენებით აღინიშნა. მაშინ გაითხარა ქვის 8-საფეხურიანი საკურთხეველი, აღმოჩნდა რამდენიმე საკულტო ნაგებობა, რომელნიც ძვ. წ. III—I საუკუნეებს განეკუთვნებიან. იქვე, ბორცვის წვერზე, პირველსავე წელს ექსპედიციამ აღმოაჩინა მრავალმხრივ საინტერესო სამი სამარხი. პირველი — ქვევრში დაკრძალული ქალისაა (ძვ. წ. III—I საუკუნეებში ქვევრში დაკრძალვა ფართოდ გავრცელებული წესი იყო თითქმის მთელ საქართველოში). მიცვალებულს აღმოაჩნდა ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულები (ხატისუღელი, სასაფეთქლეები, სამაჯურები, მინიატურული ზანზალაკები), ვერცხლისა და თიხის ნაირსახოვანი ჭურჭლეული, აგრეთვე კოლხური ვერცხლის ფულები (ე. წ. კოლხური თეთრი).

მეორე სამარხი მამაკაცისა იყო. სამარხში ყურადღებას იქცევდა მძლავრი ხანძრისაგან გაშავებული ფენა და იქვე მრავლად ნაპოვნი ბრინჯაოს ჯავშნის ფირფიტები. ამან ნინო ხოშტარიას აფიქრებინა, რომ მიცვალებული საჭურველთან ერთად დაუწვავთ.

ამ ორ სამარხს შორის კლდეში ნაკვეთ პატარა ორმოში დაკრძალული აღმოჩნდა... რკინის კაცი! — რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის რამდენადმე სქემატური ფიგურა. მას ოქროს საყურეები ჰქონდა შებმული, ყელზე კი ხატისუღელი

ჰქონდა გაკეთებული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამოფენაზე დგას ახლა ძვ. წ. III საუკუნის ეს ვანელი რკინის კაცი და ახლაც აღელვებს მეცნიერსაც და სხვასაც: ვინ ან რა ღვთაება თუ უცხო ქვეყანაში დაღუპული ადამიანის სიმბოლური გამოსახულება და ამიტომაც, ადამიანივით დაკრძალული (კრამიტით გადახურულ სამარხში დაკრძალულ რკინის კაცს ოქროს კილიტებით მორთული სუდარა ჰქონია გადაფარებული).

ასე დაიწყო პირველი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა ვანში. მომდევნო წელს იქვე ახლოს კიდევ ერთი სამარხი იპოვეს არქეოლოგებმა, ამჯერად ძვ. წ. IV საუკუნისა. ქვის ფილებით შეკრულ სამარხში ბავშვი აღმოჩნდა დაკრძალული. იგი უთუოდ ქალაქის არისტოკრატიის ოჯახის წარმომადგენელი იყო. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ოქროს სამკაული: ვარდულებით შედგენილი თავსაბურავი, ლომის თავებით დამშვენებული ხატისუღელი და სამაჯურები, ნატიფი საყურეები და სხვ.

ამგვარად პირველი წლების აღმოჩენები ვანის არქეოლოგიური შესწავლის დიდ პერსპექტივას ქმნიდა და ექსპედიციაც ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით შეუდგა ვანისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიურ გამოკვლევას. გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა ვანის მიდამოების არქეოლოგიური დაზვერვა და შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების აღრიცხვა-დაზუსტება. ამ დიდი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ვანის „ქვეყანა“ უკვე უძველესი დროიდან, ე. წ. ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ხანიდანაა დასახლებული. მჭიდრო დასახლების მაუწყებელი ფაქტები აღნუსხა მაშინ ექსპედიციამ აგრეთვე ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანისათვის. გამოირკვა, რომ სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასახლებათა საფუძველზეა განვითარებული ადრეანტიკური ხანის სამოსახლოები, რომელთა ნაშთები აღირიცხა თვით ვანსა და მის მეზობლად მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე (კეჭინარა და ციხესულორი, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი, ძულუხი, ბულნარი, ბზვანი, მთისძირი).

უმთავრესი არქეოლოგიური გათხრები კი საკუთრივ ვანში ახლედიანების გორის წვერზე მიმდინარეობდა. 1947

წლიდან 1963 წლამდე იმუშავა ექსპედიციამ ნინო ხომასურიძის ხელმძღვანელობით და თორმეტი კამპანია ჩაატარა. ამ ხნის მანძილზე ექსპედიციამ კოლხეთისა და საერთოდ ლაზეთის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა გამოავლინა და დაადგინა, რომ ვანი და მისი შემოგარენი წარმოადგენდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოლქს („ქვეყანას"), სადაც უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება საქალაქო ცხოვრების დაწინაურება და განვითარება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ვანის ძველი ქალაქის არაერთი ნაგებობა.

ბორცვის წვერის პარალელურად ექსპედიცია თანდათანობით აფართოებდა საკვლევ ობიექტს და იწყებდა დაზვერვებს ნაქალაქარის სხვა უბნებზეც. ამ მიზნით საცდელი გათხრები ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. თითქმის ყველგან ჩნდებოდა ძვ. წ. III—I საუკუნეების ნაგებობათა ნაშთები, უხვი არქეოლოგიური მასალის შემცველი კულტურული ფენები, სპილენძისა და ვერცხლის მონეტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სვეტის ნაწილები, სვეტისთავები, მოჩუქურთმებული არქიტექტურული დეტალები, ოდესღაც რომ ამკობდნენ ძველი ქალაქის ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა გათხრები კალენიკე ახვლედიანის ეზოში. 1961 წელი იყო. არქეოლოგიურ სამუშაოებს ამ უბანზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან ფუთურიძე ხელმძღვანელობდა. მას ეხმარებოდა მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი ანა ჭყონია. გათხრებისას აღმოჩნდა ძვ. წ. II—I საუკუნეების ნაგებობათა საძირკვლები, მძლავრი კულტურული ფენა. ოქტომბრის თვის უკანასკნელი დღეები იდგა და საექსპედიციო სეზონიც იწურებოდა. მთავრდებოდა გათხრები ამ უბანზეც. თითქოს აღარაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ერთ პატარა მონაკვეთზე სიღრმეში კვლავ გრძელდებოდა შავი ფერის კულტურული ფენა... და სრულიად მოულოდნელად სიღრმეში გამოჩნდა ვერცხლის კოვზი, რომლის ტარს გედის გამოსახულება ამკობდა; აგრეთვე — ფერადი მინის სანელ-საცხებლები (სპეციალურ ლიტერატურაში ფინიკიურ მინას რომ უწოდებენ). მდიდრუ-

ლი სამარხიაო! თქვა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნინო ხომ-ტარიამ და ასეც იყო. ეს აღმოჩნდა ძვ. წ. V საუკუნის დასას-რულსა თუ IV საუკუნის პირველ ნახევარში დაკრძალული წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი (თვით ექსპედიციის ხელმძღვანელი წინასწარულად სამარხეულ მასალას ძვ. წ. VI—V საუკუნეებს აკუთვნებდა). ანთროპოლოგთა განსაზღვ-რით ქალი 22—25 წლის ასაკში უნდა გარდაცვლილიყო.

28 ოქტომბერს დაიწყო სამარხის სწრაფად გაწმენდა და რადგანაც ცა საწვიმრად ემზადებოდა, ეს სამუშაო იმავე დღეს დამთავრდა. უკანასკნელი ნივთის აღებისთანავე წამოვიდა კო-კისპირული წვიმა... ამ სამარხში ვერცხლის, ბრინჯაოსა და ფერადი მინის ნივთებთან ერთად ათასზე მეტი ოქროს სამკა-ული აღმოჩნდა, მათ შორის იყო ცხოველთა (ლომებისა და ტახის) ჭედური გამოსახულებებით შემკული დიადემა; ხბოს, ლომისა და ჯიხვის სკულპტურული გამოსახულებებით მორ-თული სამაჯურები, ოთხთვალა ეტლზე მდგარი ცხენოსნების გამოსახულებებიანი სასაფეთქლეები, ცვარათი გაწყობილი სხივანა საყურეები, თასი, აურაცხელი საკიდები, რომელთა-გან ზოგიერთი ვერძის თავსა და მინიატურულ ჩიტის ფიგუ-რას წარმოსახავს. იქვე იქნა ნაპოვნი ოქროს მშვილდსაკინძზე ძეწკვებით დამაგრებული დიდებული ბალთა, რომელზედაც სხვადასხვა ფერის პასტითა და მინანქრით ფასკუნჯების გამო-სახულებებია გამოყვანილი (ეგვიპტურად მიიჩნევს ზოგიერთი ამ ნივთს).

ამ სამარხის აღმოჩენას ფართოდ გამოეხმაურა პრესა, რა-დიო და ტელევიზია. სამარხის აღმოჩენის მეორე დღესვე ვან-ში ჩამოვიდა ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი ჯგუფი ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ნიკო ბერძენი-შვილის მეთაურობით, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენ-და ვანის მიმართ.[1] ეს გასაგებიცაა! ის ხომ ვანის არქეოლოგი-

[1] ექსპედიციის ხელმძღვანელის დავალებით მე ვაცნობე ნიკო ბერძე-ნიშვილს ამ აღმოჩენის შესახებ. საოცრად აღელდა და გაიხარა. იმწამსვე გადაწყვიტა ვანში მანქანით გამგზავრება მაშინ უკვე მძიმე სენით დაავა-დებულმა კაცმა. ამავე მანქანით გამოემგზავრნენ მისი მეუღლე, არქეო-ლოგი ნინო ბერძენიშვილი, პროფ. ვ. დონდუა და აკად. გ. მელიქიშვილი. მთელი გზა ბატონი ნიკო, ისტორიულ ადგილებს რომ ჩავუვლიდით, იგო-ნებდა და გატაცებით საუბრობდა ამ ძეგლების შესახებ. მან ხომ საოც-რად ბევრი რამ იცოდა და გულწრფელად უყვარდა ის საქმე, რასაც აგრე თავდადებულად ემსახურებოდა.

ური შესწავლის თაოსანი და მისი დიდი პატრიოტი იყო. სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ვთქვა, რომ [illegible] ბატონ ნიკოს სტუმრობა ვანში 1960 წელს, [illegible] ვის აგრე ჩვეული გატაცებით გვესაუბრა ექსპედიციის ახალგაზრდა წევრებს და ბევრი რამ ღირსსახსოვარი თქვა ვანის და, საერთოდ, ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემებსა და მათ მნიშვნელობაზე. ეს ანტიკური ხანის ყველაზე უფრო ქართული ქალაქია და მისი ჯეროვანი შესწავლა თქვენი თაობის საპატიო მოვალეობაა. ვანიდან დაბრუნებულს თავის დღიურში ჩაუწერია: „ვანის ქვეყანა სრულად გარკვევით გამოიყოფა დიმ-ფერსათის და ვარციხის ქვეყნისაგან (სამწუხაროდ, მე ამ ქვეყნებზე გავლა ამჯერად არ მომიხერხდა) და გვიანი ხანის საჩიჯავაძოს უდრის (მისი აღმოსავლეთ კიდური სოფელი ბაგინეთია). უნდა მოხილულ იქნეს ეს მიკრო-ქვეყნები: სალომინაო და სხვა. გასარკვევია ვანის და ვარციხის ურთიერთობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ერთი ეპოქისანი არ არიან, რომ ვანი უფრო ადრინდელი ხანის ქალაქია, ხოლო ვარციხე უფრო ნაგვიანევი (არქეოლოგიური შესწავლა უნდა). ასე თუ ისე ვანი, როგორც ეს აქამდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პუნქტი უნდა ყოფილიყო ანტიკურ ხანაში და მის უწინარეს... საეჭვოა ოღონდ, რომ ის იმ დროის კოლხეთის პოლიტიკური ცენტრი ყოფილიყო. მაინცდამაინც ამაზე საფუძვლიანი მსჯელობა მაშინ შეიძლება, როცა ქუთაისი, ვარციხე და ნოქალაქევი არქეოლოგიურად თანაბრად შესწავლილი იქნებიან. ბევრი რამ მოწმობს, რომ ეს იყო საკმაოდ მოზრდილი ქალაქი, ფრიად გამაგრებული, მდიდარი არისტოკრატიით... ისიც უდავო ჩანს, რომ ვანს უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა დასავლეთის სამყაროსთან (ელინურსა და ელინისტურ სამყაროსთან) ისევე როგორც დაბლა გომსაც... მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა იმისათვის, რომ ავხსნათ ვანის აგრე დაწინაურებულობა“.[1] უალრესად დიდი პრობლემაა ამ რამდენიმე სტრიქონში დასმული

[1] ნ. ბერძენიშვილის დასავლეთ საქართველოში 1961 წელს მოგზაურობის „დღიური“ 1968 წელს გამოაქვეყნა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა თავის „მასალებში“.

და მისი გადაწყვეტა ამ დიდმა ისტორიკოსმა მომავალ თაობას უანდერძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას... წლების მანძილზე დაგროვილი დიდძალი და მეტად მრავალფეროვანი მასალა, რომლის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი იყო ექსპედიციის ხელმძღვანელის წინასწარულ „ანგარიშებში" გამოქვეყნებული, მოითხოვდა გულმოდგინე მეცნიერულ შესწავლას, ისტორიულ ასპექტში გააზრებას და ჯეროვან მეცნიერულ დონეზე გამოქვეყნებას. 1963 წელს დროებით შეწყდა ვანის არქეოლოგიური გათხრები. ამას დაერთო, ექსპედიციის ხელმძღვანელის ნინო ხოშტარიას მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობა. მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ვანის მიწა სულ მალე კვლავ ენერგიულად მოითხოვდა არქეოლოგის წერაქვსა და ბარს. ასეც მოხდა: 1966 წელს თითქოს ყველაფერი თავიდან დაიწყო...

К289.430
3

ძველი ქალაქის კარიბჭე

ახვლედიანების გორას თითქმის შუაზე ყოფს სასოფლო გზა, რომელიც ციხე-სულორისა და მეზობელი სოფლებისაკენ მიემართება. ადრე გზა ძალიან ვიწრო იყო და გორაკის დასაწყისში იგი გადიოდა რამდენიმე მეტრი სიმაღლის შვეული კედლებით შემოზღუდულ ვიწროებში. ნინო ხოშტარიას ჩაწერილი აქვს გადმოცემა, რომლის თანახმად ეს ვიწრო გასასვლელი უწინ რკინის კარით ყოფილა ჩაკეტილი და თითქოს ზემოთ არავის უშვებდნენ. ალბათ ამ ცნობის შემოწმებას და სავარაუდებელი კარიბჭის არსებობის დადასტურებას ისახავდა მიზნად გათხრების ხელმძღვანელი, როდესაც 1961 წელს ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს გურამ ლორთქიფანიძეს გზის ნაპირზე სადაზვერვო ჭრილის გაკეთება დაავალა. მცირე მოცულობის თხრილში მაშინ გამოჩნდა კარგად დამუშავებული ქვათლილები — დანგრეული კედლის ნაშთები. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ იმ ადგილის არქეოლოგიური შესწავლა აღარ გაგრძელებულა.

1966 წელს რაიონის ხელმძღვანელობამ სასოფლო გზის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფართოება გადაწყვიტა. ხოლო არქეოლოგიური მეთვალ-ყურეობა ვანის სამხარეთმცოდნეო მუზეუმს დაავალა. გზა-ფხულზე დაიწყო გზის გასაფართოებელი სამუშაოები და თითქმის მაშინვე აღმოჩნდა ქვათლილები და ეკლესიის წყობის ნაშთები. გზის გაყვანა-გაფართოება შეჩერდა და პარტიის რაიკომმა შექმნილი ვითარების შესახებ საქართველოს მეცნი-ერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრა-ფიის ინსტიტუტს აცნობა. ინსტიტუტმა ვანში მიავლინა არქე-ოლოგების ჯგუფი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რუ-სუდან ფუთურიძის ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენ-ლობაში შედიოდნენ მეცნიერი თანამშრომლები ნინო კილუ-რაძე, ლამარა კობაიძე და სტუდენტი-არქიტექტორი რამაზ კახიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ ვანში ამ სტრიქონების ავტორიც იქნა გამოძახებული.

გზის გაფართოებისას რამდენიმე ადგილას ჩანდა უკვე ძველი კედლის წყობის ნაშთები, ხოლო ერთ ადგილას სწორ-კუთხა პოსტამენტზე ტყვიით ჩამაგრებული სვეტიც (სტელაც) აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მას ზედა ნაწილი გადატეხილი აქვს.

რაიონის ხელმძღვანელობამ არქეოლოგებს მუშახელი მი-ახმარა და შესაძლებელი გახდა გზის გაფართოებისას გამოჩე-ნილი არქეოლოგიური ძეგლების წინასწარული შემოწმება. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გორაკის დასაწყისში გზის მარჯვენა მხარე. დაახლოებით ათიოდე მეტრის დაცილე-ბით იმ ადგილიდან, სადაც 1961 წელს საცდელი თხრილი იქ-ნა გაკეთებული, გამოჩნდა რიყის წვრილი ქვებით მოკირწყ-ლული მოედანი, რომელიც ქუჩას წააგავდა... ახლა უკვე არქე-ოლოგიური გათხრების გაგრძელება გადაუდებელ საქმედ იქ-ნა მიჩნეული და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ის-ტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა ვან-ში მიავლინა თავისი ექსპედიცია. ვანის არქეოლოგიური ექს-პედიციის პირველი ხელმძღვანელი ამ დროს უკვე მძიმე სე-ნით იყო დაავადებული და ველარ შეძლებდა საველე სამუშა-ოებში მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ნინო ხოშტარია დავასახელეთ განახლებული ექსპედიციის ხელმ-ძღვანელად. მის მოადგილედ, ისევე როგორც უკანასკნელ წლებში, რუსუდან ფუთურიძე დაინიშნა, საველე სამუშაოე-

ბის წარმართვა კი ამ სტრიქონების ავტორს დაევალა. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ვანში ადრევე ნინო ჯიშკარიანი
რიას ხელმძღვანელობით მომუშავე არქეოლოგები ბ. ფეტრიშვილი
ლორთქიფანიძე, ნანა მათიაშვილი, ნინო კიღურაძე, ანა ჭყონია, არქიტექტორი გიორგი ლეჟავა, მხატვარი კლარა კვეესი, აგრეთვე ახალი წევრები — ასპირანტი ამირან კახიძე, მხატვარი-გრაფიკოსი ბაადურ მჭედლიშვილი, ლამარა კობაიძე, ფოტოგრაფი იური ნესკოროდიევი, რომელიც კინოოპერატორის მოვალეობასაც ასრულებდა, მძღოლი შაქრო ალამბარაშვილი.

განახლებული ექსპედიცია 1966 წლის 5 ივლისს შეუდგა საველე სამუშაოებს. თავიდანვე ექსპედიციამ ფართოდ მოხაზა თავისი სამუშაო გეგმა. უმთავრესი მიზანი იყო ნაქალაქარის საზღვრების დადგენა, ზღუდე-გალავნის ძიება, უმთავრეს ნაგებობათა გამოვლინება და მით ელინისტური ხანის ქართული ქალაქის დაგეგმარების შესწავლა, ახალი არქეოლოგიური მასალების მოპოვება, როგორც ამ ქალაქის, ასევე საერთოდ ძველი საქართველოსა და მის ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის ისტორიისათვის.

გათხრები ერთდროულად რამდენიმე უბანზე წარმოებდა. ერთ-ერთი და იმ წელს უმთავრესი იყო გაზაფხულზე გამოჩენილი რიყის ქვებით მოკირწყლული ქუჩის შესწავლა.

რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩას დაახლოებით 5 მეტრი მიწის ფენა ფარავდა. თანდათანობით, ფენა-ფენა ხდებოდა მისი აღება. ყურადღებას იქცევდა ხანძრისაგან თითქმის მთლიანად გაწითლებული ალიზის აგურების და კრამიტების სიმრავლე, რაც იმას გვაუწყებდა წინასწარ, რომ ქვაფენილზე რაღაც დიდი ნაგებობის კედლები იყო გადმონგრეული. მოკირწყლული ქუჩის დასაწყისიდან დაახლოებით 20 მეტრის დაცილებით, იმავე ხაზზე ხუთმეტრიანი კულტურული ფენის ქვეშ ჭრილში ჩანდა ქვის ბრტყელი ფილები. აქ ვივარაუდეთ რაღაც ლოგიკური კვანძი და ამიტომ გადავწყვიტეთ მის თავზე თხრილის გაჭრა: მიწის საფარველქვეშ გამოჩნდა თეთრი ფერის შესანიშნავად დამუშავებული კედლისა და სვეტის ნაწილები. ამის შემდეგ თანდათანობით გაითხარა მთელი ფართობი, რომელმაც გამოავლინა ძვ. წ. III საუკუნეში აგებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რთული ხუროთმოძღვრული კომპლექსი — ძველი ქალაქის კარიბჭე.

კარიბჭე და მასთან დაკავშირებული გალავნის კედლები (კოშკებით გამაგრებული) აგებულია კლდოვან დედაქანზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თირს უწოდებს (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი"). კედლების ქვედა რიგი კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ სწორკუთხა ბუდეებშია ჩასმული, რაც საიმედოდ იცავდა ნაგებობებს ძირის გამოთხრისაგან, რასაც იმ დროს მიმართავდა ხოლმე მომხდური მტერი თავდაცვითი კედლების დასანგრევად. ძირითადი კედლის სისქე თითქმის სამ მეტრს აღწევს (უფრო ზუსტად — 2,76 მეტრია). საფასადო მხარის ერთი ნაწილი (ჩრდ.-აღმ. კუთხე) თეთრი ფერის დიდრონი ქვათლილებითაა ამოყვანილი. თითოეული ქვათლილის ნაპირი საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალიში წვეტიანი იარაღითაა დაკეჭნილი. ამგვარი ქვათლილებით ამოყვანილი კედლები იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ელინისტურ ს. Ѳყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში. მას ბერძნები „რუსტებიან" ქვათლილებს უწოდებდნენ. იგი სიმაგრესთან ერთად განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა საფასადო კედლებს.

კარიბჭის კედლის შიდა და გარე პერანგს შორის სივრცე სხვადასხვა ზომის ქვებითაა შევსებული და ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული. ამასთან, პერანგს შიგნითაც ქვები ჰორიზონტულადაა ჩაწყობილი და სრულიად გარკვეული ცდაა შიდა ქვების დალაგებისას მათი საფასადო წყობის ქვათლილებთან ნიველირებისა. სავსებით აშკარაა, რომ კედლის მთელი სისქე ერთდროულადაა ნაშენი, ე. ი. ჯერ პერანგი როდია ამოყვანილი, და ამის შემდეგ შიდა სივრცე ამოვსებული, არამედ კედელი მთელს მის სიგანეზე ერთდროულადაა ზუსტად ჰორიზონტულ რიგებად ამოყვანილი, ხოლო შიდა და საფასადო ნაწილში ჩადგმულია საგანგებოდ და კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილები. თლილი ქვით ნაგებ საფუძველზე შემდეგ აღმართული იყო ალიზით (გამოუწვავი ან ნახევრად გამომწვარი ბზენარევი თიხის აგურით) ამოყვანილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კედლები, რომლებიც მთლიანადაა გადმონგრეული და ძლიერ ცეცხლისაგან ამორფულ მასად ქცეული.

განსაკუთრებით შესანიშნავია კარიბჭის კედლის აღმოსავლეთი ნაწილი: კუთხიდან 45 სმ-ის დაცილებით ქვიშაქვის ბალიშზე აღმართულია დაახლოებით 70 სმ სიმაღლის სწორკუთხა სვეტი, რომელიც უშუალოდ კედლის წყობას ებჯინება. ამ სვეტზე დევს თითქმის კვადრატული მოყვანილობის მარმარილოს კვარცხლბეკი. მის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო, რომლის ნაპირები ტყვიითაა შევსებული, შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი მარმარილოს ნატეხები... როგორც ჩანს, ოდესღაც ამ კვარცხლბეკზე მდგარი მარმარილოს ქანდაკების უკანასკნელი ფრაგმენტები. რა ბედი ეწია ამ ქანდაკებას, ახლა ძნელი სათქმელია. მისი ფრაგმენტები გათხრებისას არ აღმოჩენილა. საფიქრებელია, რომ მარმარილოს ქანდაკება მტრის ნადავლი გახდა... იქვე კედელზე ძველი ბერძნული ასოებით (ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ) ამოკაწრულია წარწერა, რომელიც პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა ასე გადმოთარგმნა: „გეველრები (შენ) მეუფეო — (ქალღმერთო)". ასე რომ ქალაქში შესასვლელთანვე გარეთ იდგა ქალაქის მფარველი ღვთაების ქანდაკება. ეს წესი, როგორც ჩანს, საერთოდ დამახასიათებელი იყო ძველი კოლხეთის ქალაქებისათვის. რომაელი სამხედრო მოხელე არიანე, რომელმაც ახ. წ. 134 წელს ადრიანეს დავალებით შავი ზღვის სანაპიროები მოიხილა, თავის იმპერატორს მოახსენებდა: „ქალაქ ფასისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ფასისელი ქალღმერთის ქანდაკებაო". აქვე მინდა დავსძინო, რომ ქალაქის შესასვლელთან, მის გარეთ მფარველი ღვთაების ქანდაკების აღმართვა უჩვეულო იყო ბერძნულ-ელინისტური სამყაროსათვის. ძველ ბერძენთა იდეოლოგიური კონცეფციით ქალაქის მფარველი მთავარი ღვთაების ქანდაკება იდგა ქალაქის შიდა ნაწილში, ჩვეულებრივ ყველაზე შემაღლებულ ადგილზე აღმართულ მთავარ ტაძარში. სამაგიეროდ ქალაქში შესასვლელთან მფარველი ღვთაების ქანდაკება წესად იყო ძველ აღმოსავლეთში: არც თუ ისე დიდი ხნის წინათ (50-იან წლებში) ცნობილმა გერმანელმა არქეოლოგმა კურტ ბიტელმა ხეთური ნაქალაქარის გათხრებისას

ბოლაზ-ქოეში აღმოაჩინა ძვ. წ. VIII საუკუნის კარიბჭე, რომ-
ლის წინ ღვთაებათა ქანდაკებები იყო აღმართული.

ქალაქში შესასვლელთან დაგებულია [illegible] ბრტყელი ფილები, რომლებიც ერთმანეთთან რკინის სამაგ-
რებითაა დაკავშირებული. ეს ფილები ზედ ხშირი სიარული-
სგან შესამჩნევადაა გაცვეთილი... ქანდაკების პოსტამენტიდან
30-ოდე სმ-ის დაცილებით კედელში გამოკვეთილია 10 სმ სი-
განის საგანგებო ვერტიკალური ნიში, რომელიც ზემოდან
ჩამოსაშვები რკინის კარისათვის იყო განკუთვნილი. „კატა-
რაქტას“ უწოდებდნენ ძველი ბერძნები ასეთ რკინის კარს, რო-
მელსაც მტრის შემოსევის საშიშროების ჟამს ჩამოუშვებდ-
ნენ და მით საიმედოდ ჩაჰკეტავდნენ ქალაქში შესასვლელს.
ამას მოსდევდა შიდა კარი, რომელიც არსებითად კუტიკარს
წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი შემდეგნაირად იყო მოწყო-
ბილი: ძირითადი კედელი, რომელზედაც ჩამოსაშვები კარისა-
თვის განკუთვნილი ნიშია ამოკვეთილი, ერთ ადგილას დაახ-
ლოებით 50 სმ-ითაა წინ გამოწეული და ქმნის თავისებურ
ბურჯს, რომელსაც სრულიად გარკვეული კონსტრუქციული
დანიშნულება ჰქონდა. მის შიდა კუთხესთან იატაკის ფილაზე
ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო (9×9 სმ), რომლის ნაპირი
ტყვიითაა გამოყვანილი და განკუთვნილი იყო კარის ჩასადგ-
მელი ღერძისათვის. ასე რომ „ბურჯი“ კარის ზურგის საყრ-
დენს წარმოადგენდა. ასეთივე ბურჯი აღმართული იქნებოდა
უთუოდ მოპირდაპირე მხარესაც, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი
შემორჩენილი არაა. თვითონ კარი, როგორც ჩანს, ხისა იყო,
მაგრამ რკინის ფურცელი ჰქონდა გარშემოკრული (გარსაკ-
რავის ნაწილები ლურსმნებითურთ იქვე იქნა ნაპოვნი) და
იღებოდა გარედან შიგნით. ამაზე მიუთითებს თირზე დაგე-
ბულ ქვის ფილაზე შემორჩენილი რკალისებური ხაზები, რომ-
ლებიც სწორედ კარის მოძრაობისგანაა დარჩენილი.

სამწუხაროდ არაა გადარჩენილი კარიბჭის მოპირდაპირე
აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ მისი წარმოდგენა და რეკონს-
ტრუქცია უკვე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ნახე-
ვარწრიული კოშკის კონტურის მიხედვით შესაძლებელი ხდე-
ბა კარიბჭის აღმოსავლეთი ნაწილის კონტურის აღდგენა. ირკ-
ვევა, რომ კატარაქტა (ე. ი. რკინის კარი) და კუტიკარი 2,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრის სიგანისა იყო, ხოლო თვით შესასვლელი 1,20 მეტრი. ამას უტყუარად მოწმობს ერთი საგულისხმო დეტალიც: მე-სასვლელში დაგებული ქვის ფილები შუა ნაწილში საგრძნობლადაა შეთხელებული (თითქმის 4 სმ-ით), მასზე ხშირი სიარულისაგან. გაცვეთილი ნაწილის ცენტრის კარის საყრდენი ზურგისაგან 55 — 60 სმ-ითაა დაცილებული. შესაბამისად შესასვლელის სიგანე 1,20 მ უნდა ყოფილიყო.

ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი კარიბჭე, რომელიც ძველი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილშია განლაგებული, ბორბლიანი ტრანსპორტისათვის არ იყო განკუთვნილი. ამას მოწმობს არა მხოლოდ შედარებით ვიწრო შესასვლელი (როგორც უკვე ვთქვით — სულ 1,20 მ სიგანისა), არამედ ისიც, რომ შესასვლელში ფილები 2 საფეხურადაა (კიბისებურად) დალაგებული, რაც ბუნებრივია, გამორიცხავს მასზე ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენებას. ასე რომ, ეს კარი მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთ ემსახურებოდა. ძველი ქართული ტერმინოლოგიით ეს იყო „ცოტა კარი". ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ქალაქს კიდევ ჰქონდა (იქნებ რამდენიმეც) შესასვლელი, მათ შორის „დიდი კარიც", რომლის ძიებაა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაც.

კარიბჭის შიდა ნაწილში, კატარაქტასა და კუტიკარს რომ გაივლიდა კაცი, მას ხვდებოდა ე. წ. სწორკუთხა მოყვანილობის (7×3, 20 მ) „შიდა ეზო", რომელსაც სამხრეთი მხრიდან ლია შემოსასვლელი ჰქონდა. ასეთი „შიდა ეზო" ჩვეულებრივ იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ მტერი, რომელიც ქალაქის კარს შეანგრევდა, ახალ მარწუხებში მოექციათ. მაგრამ ვანის ძველი ქალაქის ეს „შიდა ეზო" საკმაოდ თავისებურია და ბერძნული საფორტიფიკაციო კონცეპციით აგებულ ქალაქებთან შედარებით სრულიად (და არსებითად!) განსხვავებული ფუნქციის მატარებელია. მაგრამ ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი ამ ნაგებობის აღწერას შევეცდები.

„შიდა ეზოს" მხოლოდ დასავლეთი ნაწილია გადარჩენილი. იგი რუსული „პ"-ს მაგვარი მოყვანილობისაა. მის ჩრდილოეთ კედლად კარიბჭის ძირითადი კედელია გამოყენებული. სამხრეთი კედელიც ამიტომ 3 მეტრი სიგანისაა, თუმცა ჩრდილოეთი კედლისაგან განსხვავებით უფრო ვიწროა (2,10 მ სი-

განის) და აგებულია ქვიშაქვის ქვათლილებით, რომელნიც ძლიერი ცეცხლისაგანაა გაწითლებული და დამკვანძული. დასავლეთი კედელი ფაქტიურად სწორად ჩამოთლილი კლდოვანი დედაქანის მოპირკეთებაა. ამიტომაცაა იგი მხოლოდ 1,10 მ სიგანისა. კლდოვან დედაქანსა და მოპირკეთებულ კედელს შორის სივრცე ფლეთილი ქვით, რიყის ქვებითა და თიხითაა შევსებული. აღწერილი ნაგებობის შიდა ნაწილის (ე. ი. ინტერიერის) კედლები სხვადასხვა ზომის რუსტირებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ამოყვანილი ისე რომ ჰორიზონტალური რიგების წყობაც სხვადასხვა ზომისაა (ასეთ წყობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ფსევდოისოდომურს" უწოდებენ).[1] ნაგებობის დასავლეთ კედელთან აღმართულია საკურთხეველი — ქვის სწორკუთხა ბალიშზე მდგარი ოთხწახნაგა სვეტი, რომელზედაც ორ საფეხურად დევს კარგად გათლილი ბრტყელი ფილები. აქ ერთ დეტალზეა ყურადღება მისაქცევი: ქვის საკურთხეველი (ისევე როგორც ღვთაების ქანდაკების პოსტამენტი) უშუალოდ კედელზეა მიდგმული. ეს ტრადიცია პირველ ქართულ ეკლესიებში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც იქნა შენარჩუნებული. აქ ტრაპეზი (წარმართული ხანის საკურთხევლის მემკვიდრე) კედლის პირას იყო აღმართული, მაშინაც კი, როდესაც ბიზანტიურმა და რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა კედელთან მიდგმული ტრაპეზი მკრეხელობად მიიჩნიეს და ამ ჩვეულ სალტიკი ბრძოლა გამოუცხადეს.

საკურთხევლის ირგვლივ აღმოჩნდა თიხის 23 ჭურჭელი: ჯამები, ქოთნები, წითელი სარტყლებით მოხატული ორყურა ქილა და მოხდენილი სამტუჩა დოქები, აგრეთვე ხუთი ამფორა. ყველა ისინი ადგილობრივ მეთუნეთა ნახელავია და ამ ქალაქში სალოცავად მოსულთ ღვთაებისათვის შეუწირავთ. ორი ამფორა ფეტვით სავსე აღმოჩნდა. ფეტვი კი, როგორც ცნობილია სვანური და მეგრული ეთნოგრაფიული მასალებით, დიდ როლს ასრულებდა ქართველ ტომებში ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალში.

ამრიგად, დადასტურდა „შიდა ეზოს" (ყოველ შემთხვევა-

[1] განსხვავებით ისეთი წყობისაგან, სადაც კედელში ყველა რიგი ერთი ზომისაა, ე. ი. ისოდომიური (ისო — ძველ ბერძნულად ნიშნავს თანაბარს, ხოლო დომუს — კედლის წყობას, რიგს).

ში, მისი დასავლეთი ნაწილის) გამოყენება თავისებურ ტაძარ-სამლოცველოდ, რაც სრულიად უჩვეულოა ბერძნული მოდელით ამენებული საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვის. კიდევ ერთი, ვახის ველი ქალაქის „ცოტა კარის“ საკრალური დანიშნულება კიდევ ერთი უაღრესად საყურადღებო აღმოჩენით აღინიშნა.

კარიბჭის ტაძარ-სამლოცველოს გარეთ, მის სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა მონოლითში ამოკვეთილი როფი, რომელიც ხინა მხრიდან ქვებითაა შემორაგული. ამ როფის დანიშნულება ჩვენთვის მაშინ გაუგებარი იყო და ასეთ შემთხვევაში, როდესაც არქეოლოგები რაიმე საგნის დანიშნულებას ვერ გაიგებენ, იტყვიან ხოლმე — ეს საკულტო დანიშნულებისაა. ამჯერად მართლაც ასე აღმოჩნდა. ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა, აწ განსვენებულმა ვერა ბარდაველიძემ განგვიმარტა ამ როფის დანიშნულება: იგი მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი და მას ანალოგები მთა-თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში მოეპოვებაო.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობა — ტაძარია აღმართული, რაც ამ ძველი ქართული ქალაქის დამახასიათებელი თავისებურებაა. ასეთი რამ, სრულიად უჩვეულოა, მაგალითად ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის. სამაგიეროდ, საინტერესო პარალელს პოულობს ძველ ქართულ საკრალურ ტრადიციებში — ჩვენი მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში რომაა აგრე უხვად შემონახული და ჩვენი ეთნოგრაფების მიერ ასევე შესანიშნავად წარმოჩენილი. „ღვთის კარს“ უწოდებენ ასეთ ტაძარ-სამლოცველოს. პროფესორი ვერა ბარდაველიძის განმარტებით „ღვთის კარი“ (ანუ „ჯვრის კარი“ თუ „ხატის კარი“) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველოს („ხატის“) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სადაც „დიდი“ დღესასწაულები იმართებოდა და მოსახლეობას შეწირულობა (!) მოჰქონდა. ისიცაა საინტერესო, რომ საერთო ხევსურულ სალოცავში (ე. წ. საღმრთო გუდანის ჯვარი) „ღვთის კარი“ აგრეთვე სამი მხრიდანაა შემოზღუდული, ხოლო მის შიგნით ქვის საძირკველზე მდგარი ბომონია აღმართული. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ეანის ძველი ქალაქი მე სატაძრო ქალაქად მიმაჩ-

ნია (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით სა
რი) — უზენაესი ღვთაების სალოცავად ეკლესია, ასე
კარიბჭესთან აღმართულ ტაძარ-სამლოცველოს მართლაც
იძლება ეწოდოს „ღვთის კარი“ (საინტერესოა აღნიშ
რომ ეს ტერმინი — „ღვთის კარი“ ტაძარ-სამლოცვე
მნიშვნელობით ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც ი
ნიება, მაგრამ მისი რეალური მნიშვნელობა გაუგებარი ი

ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ „შიდა ეზოს“, რომ
გათხრამ კიდევ რამდენიმე საყურადღებო დეტალი დააზუ

„ტაძარ-სამლოცველოს“ შიდა ნაწილში ამორფულ მა
ქცეული და ხანძრისაგან ძლიერ გაწითლებული ალიზის კ
ლის ნანგრევებით შექმნილი მძლავრი ფენა იქნა აღებუ
მაგრამ ყურადღება მიიქცია იმან, რომ არ აღმოჩნდა არცერ
ფრაგმენტი კრამიტისა, აგრე მრავლად რომ ჩნდებოდა ნა
ბობის გარეთა ფართობების გათხრებისას. სამაგიეროდ „
ძარ-სამლოცველოს“ იატაკის დონეზე თვალსაჩინოდ გამ
ლინდა დანახშირებული ხის ძელები და ფიცრები. როგო
ჩანს, ისინი ზემოდან იყო ჩამოვარდნილი და ქმნიდნენ
ხურავს, რომელიც თავის დროზე, „ტაძარ-სამლოცველო
ზედა სართულზე გამართული სათავსოს იატაკს წარმოა
გენდნენ. სწორედ ეს სათავსი იყო რკინის კარის — კატარ
ტას სამოძრაოდ განკუთვნილი რთული მექანიზმების განს
ლაგებლად. ამასთან ნათელი გახდა, რომ ეს სათავსო მთლ
ნად ფარავდა მეორე სართულის სახით ე. წ. „შიდა ეზოს
რომლის ერთი ნაწილი, როგორც ვნახეთ, ძველი „ცოტა-კ
რის“ ტაძარ-სამლოცველოდ იყო განკუთვნილი.

ახლა კი ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მსგავსი რამ საშუ
ლო საუკუნეების ქართულ ციხე-სიმაგრეებშიცაა დადასტუ
რებული: შესასვლელ კართან გამართულია ეკლესია (ძა
ათონის ივერთა მონასტერში, თმოგვში და სხვ.). ზოგჯერ წყ
როებში მათ „კარის ეკლესიას“ უწოდებენ (თუმცა ამ ტერ
მინს ძირითადად სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა და იგი რომელ
მე დიდი ფეოდალის საგვარეულოს ეკლესიას აღნიშნავდა
ეს ხომ ძველი ქართული, წარმართული ხანიდან მომდინარ
კულტურული ტრადიციის მიმღეობითი მემკვიდრეობის კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ერთი თვალსაჩინო დასტურია, რასაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვანში კიდევ მრავალგზის შევხვდებით.

ამრიგად კარიბჭის ე. წ. „შიდა ეზო“ ზემოდან დახურულ სივრცეს წარმოადგენდა. ჩვენ ამ სართულის დაახლოებით სიმაღლის წარმოდგენის საშუალებაც გვაქვს. რამდენადაც გადარჩენილი ქვის კედლების სიმაღლე სამხრეთ ნაწილში 2,55 მეტრს აღწევს და მასთან ერთად კედლებში არ ჩანს სართულშორისო გადახურვისათვის აუცილებელი ხის კონსტრუქციებისათვის განკუთვნილი ფოსოების კვალი, სრულიად თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ „ტაძარ-სამლოცველოსა“ (და მაშასადამე გადახურული „შიდა ეზოს“) სიმაღლე ყოველ შემთხვევაში აღემატებოდა 2,55 მეტრს.

„შიდა ეზო“ სამხრეთი მხრიდან „ღია“ იყო და მას ჰქონდა რიყის წვრილი ქვით მოკირწყლული 18 მეტრი სიგრძისა და 2 მეტრი სიგანის საგანგებო მისასვლელი. იგი დაახლოებით 2 300 წლის წინათაა დაგებული და ახლაც შესანიშნავად შემონახული. ეს სწორედ ის „ქუჩაა“, გზის გაფართოებისას რომ გამოჩნდა და ჩვენ ძველი ქალაქის კარიბჭის აღმოჩენამდე მივგვიყვანა. ძვ. წ. I ს. დაანგრიეს კარიბჭე და მას მერმე მიწა ფარავდა ამ დიდებულ ნაგებობას და მის მისასვლელს. მხოლოდ დაახლოებით 2000 წლის შემდეგ, 1966 წლის გაზაფხულზე შედგეს პირველად ფეხი არქეოლოგებმა ამ „ქუჩაზე“.

კარიბჭეს აღმოსავლეთი მხრიდან იცავს ნახევარწრიული (უფრო სწორედ — ნალისებური) მოყვანილობის კოშკი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე დანგრეულია: შემორჩენილია მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილის საძირკველი. მაგრამ მაინცაა შესაძლებელი მისი დაგეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის აღდგენა. 2,85 მ სიგანის კედელი კლდოვანი დედაქანის ფერდზეა აშენებული. საძირკვლის ქვათლილების სულ ქვედა რიგი დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ფოსოებშია ჩაშენებული. წყობა პერანგულია. შესანიშნავად გათლილ-დამუშავებული რუსტებიანი ქვათლილებით შედგენილ გარე და შიდა პერანგებს შორის სივრცე თიხით, რიყისა და ფლეთილი ქვებითაა საგულდაგულოდ ამოვსებული. კოშკის შიდა ნაწილი დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე თიხის და დაფშვნილი თირის საკმაოდ მკვრივი მასითაა ამოვსებული, რაც

კოშკს კედლის მნგრეველი იარაღებისაგან თავის დასაცავად განსაკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებდა.

ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია კარიბჭის დამცველი კოშკის აგება აღმოსავლეთი მხრიდან, რაც ეწინააღმდეგება თავდაცვის ელემენტარულ წესს: ჩვეულებრივ კარიბჭის დამცავი კოშკი დასავლეთი მხრიდან აიგებოდა, რომ ფარებით მოიერიშე მტერის დაუცველი მარჯვენა მხარ-მკლავი ქალაქის დამცველ მეისართათვის ადვილად სამიზნე ყოფილიყო. მაგრამ ვანის ძველი ქალაქის ჩრდ. ნაწილში კარიბჭის დამცავი კოშკის აღმოსავლეთი მხრიდან აგება ბუნებრივმა პირობების გათვალისწინებამ შექმნა. საქმე იმაში გახლავთ, რომ თვითონ კარიბჭე მიშენებულია კლდის მასივზე, რომელიც ცენტრალური ტერასიდან ეშვება და იქ დასავლეთი მხრიდან კოშკის გამართვა შეუძლებელი იყო. ამის სანაცვლოდ კი, ქალაქის მშენებლებმა კიდევ ერთი კოშკი გალავნით შემოსაზღვრულ ცენტრალურ ტერასაზე ააგეს, რომელსაც კარიბჭის მისადგომი და საიერიშო ნაწილის კონტროლირებაც დააკისრეს. ასე რომ ქალაქის ჩრდილოეთი შესასვლელის დაცვის ყველა დეტალი გულმოდგინედაა გააზრებული. ამას თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილების არქეოლოგიური შესწავლაც თვალსაჩინოდ ადასტურებს.

ნახევარწრიული კოშკი გალავნის კედელზეა მიშენებული. გალავნის კედელი კი დაახლოებით 45°-ის მქონე დახრილობის ფერდს მიყვება, ასე რომ, კედელთან მისადგომად იქმნება ციცაბო შემაღლება, რაც მოიერიშე მტერს ძნელად გადასალახავ წინააღმდეგობას უქმნიდა კედლის სანგრევი მექანიზმებისა თუ ბორბლებზე შემდგარი მოძრავი საიერიშო კოშკების წარმატებით გამოყენებისათვის.

გალავნის კედლებიც პერანგული წყობითაა ნაგები და აქაც საძირკვლის ქვედა რიგის კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ფოსოებშია ჩაშენებული. საფასადო მხარეც კარგად დამუშავებული რუსტირებული ქვათლილებითაა აგებული. ეს ქვათლილები ასეთი ზომისაა: 50×50×30 სმ., 40×40×30. ასეთი ქვათლილებით კედლის ორი ან სამი რიგია ამოყვანილი, ზემოთ კი კვადრატული ფორმის (52×52 სმ) 10 სმ სისქის ალიზით ნაგები კედელია აღმართული. გალავნის კედლის სისქე 2,80 მ-ია, მაგრამ ეს მხოლოდ კედლის პირველი წყებაა. ში-

და მხრიდან 2,80 მ-ის დაცილებით ზუსტად პარალელურად კედლის მეორე რიგია აგებული. ამ ორ კედელს შორის სივრცე დატიხრულია და მით მცირე ზომის სათავსოებად გაყოფილა. ამ სათავსოებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მეტწილად ამფორები (ღვინის, წყლის, მარცვლეულის თუ სხვა პროდუქტებისათვის განკუთვნილი ძირწვეტიანი ორყურა ჭურჭელი) და რაც საგანგებოდაა აღსანიშნავი და ძალზე საყურადღებო — მრგვალი ქვის ჭურვები (უმეტესად 15 და 20 სმ დიამეტრისა), რომელიც ფილაკავანის ანუ ქვის სატყორცნი საგანგებო მანქანებისათვის იყო განკუთვნილი. ასე რომ, ზემოაღნიშნული სათავსოები ქალაქის დამცველი გარნიზონის საკვებ-სანოვაგისა და იარაღ-საჭურვლის შესანახად იყო გამიზნული. კიდევ მეტი, დადასტურდა, რომ ქვისსატყორცნი იარაღები, რომლებიც ჩვეულებრივ კოშკებში იდგა, ვანის ძველ ქალაქში გალავნის კედლებზეც ყოფილა განლაგებული. მართლაც, გალავნის ორ პარალელურ კედლებს შორის სივრცე 6 მეტრს აღემატება და, მაშასადამე, მისი ერთიანი ზედა სართული საკმარისი იყო ქვის სატყორცნი მექანიზმების განსალაგებლად.

ზემოაღწერილი გალავნის კედელი 15 მეტრი სიგრძისაა და იგი ორ კოშკს შორისაა მოქცეული (სპეციალურ ლიტერატურაში კოშკებს შორის მოქცეულ გალავნის კედელს კურტინას უწოდებენ). ეს ერთის მხრივ კარიბჭის დამცავ ნახევარწრიულ კოშკს უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ მრავალკუთხა (ე. წ. პოლიგონალურ) კოშკს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდაა გათხრილი. ისიც იმავე წესითაა აგებული, როგორც ნახევარწრიული კოშკი და გალავნის კედლები. თუმც მისი საძირკველი კიდევ უფრო საგულდაგულოდაა აგებული: კლდოვან დედაქანში ჩაშენებული საძირკვლის წყობა გარედან გამაგრებულია საგანგებოდ დაყრილი გაქვავებული მკვრივი მასით, რომელიც თიხით, დანაყილი თირითა და ქვის ანატკეცებითაა შექმნილი. საძირკვლის ასეთი საგულდაგულო გამაგრება კედლებს იცავდა ძირის გამოთხრისაგან, ხოლო კოშკის შიგნით საგანგებოდ ჩაყრილი დაახლოებით 70 სმ სიმაღლის თიხის მკვრივი მასა კედლის სანგრევი მანქანების საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი. ამ თიხაყრილის ზედაპირზე კი, რომელიც კოშკის სარდაფული

ნაწილის იატაკს წარმოადგენდა, აღმოჩნდა ამფორები და ქვის ჭურვები, რომელთა სატყორცნი მანქანები ეროვნული ბიბლიოთეკა
სართულზე უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული. აქვე კიდევ ორი უაღრესად საინტერესო ნაპოვნია საგანგებოდ აღსანიშნავი. ესაა ბრინჯაოს ფირფიტები, რომელზეც წვრილი ბრინჯაოსვე ლურსმნებია შემორჩენილი. ეს, როგორც ჩანს, დარაბების გარსაკრავია. ასეთი დარაბები კი მოისართითვის იყო განკუთვნილი და ისინი კოშკების მესამე სართულისთვის იყო დამახასიათებელი. და რომ მრავალკუთხა კოშკი მართლაც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო დაგვიდასტურა კიდევ ერთმა ნაპოვნმა. ესაა კირქვისაგან გამოკვეთილი პილასტრის კაპიტელი. ცნობილია, რომ არქიტექტურულ-დეკორატიული გაფორმება ჰქონდათ სწორედ კოშკების მესამე სართულს.

ამრიგად, ვანის ძველი ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილის სასიმაგრო სისტემის შესწავლამ (რომელიც ახლაც გრძელდება) ჩვენს მეცნიერებას შესძინა სრულიად ახალი და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა. მან თვალნათლივ დაგვანახა, რომ ვანის ძველი ქალაქის მშენებლები კარგად იცნობდნენ და შემოქმედებითად იყენებდნენ მაშინდელი ეპოქის (ფართე გაგებით ესაა ელინისტური სამყარო) საფორტიფიკაციო კონცეპციებსა და სისტემებს, რომელიც ჩამოყალიბებულია ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი მეცნიერის ფილონ ბიზანტიონელის (ზოგჯერ მას ფილონ მექანიკოსს უწოდებენ) ნაშრომში.

ამავე დროს, ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო მაგალითია იმისაც, თუ როგორი ძლიერია ადგილობრივი ეროვნული საკრალური ტრადიციები (გავიხსენოთ ქალაქის მფარველი ქანდაკების აღმართვა კარიბჭის გარეთა კედელთან, „შიდა ეზოს“ ქცევა ტაძარ-სამლოცველოდ და სხვ., რაც სრულიად უცხოა ბერძნული და საერთოდ ელინისტური საფორტიფიკაციო თვალსაზრისისათვის).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კარიბჭიდან 200-ოდე მეტრის დაცილებით 1966 წელს ერთი ტაძარი აღმოჩნდა, რომლის გათხრა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ამ ნაგებობის ნაშთებიც თავდაპირველად გზის გაფართოებისას გამოჩნდა. გათხრების შედეგად გამოირკვა, რომ ტაძარი ძვ. წ. II საუკუნეშია აგებული უფრო ძველი ნაგებობის თუ ნაგებობათა ადგილზე. ამ ძველი ნაგებობისაგან გადარჩენილია წითლადმოლესილი შესანიშნავი იატაკი და აგრეთვე საძირკვლის ბუდეები. იქვე იქნა ნაპოვნი (უფრო გვიან — 1969 წელს) სხვადასხვაფრად შეღებილი კედლის ბათქაშის ნატეხები. ეს ნაშთები ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება. ძვ. წ. II საუკუნეში კი ამ ადგილზე, როგორც უკვე აღვნიშნე, ახალი შენობა აუგიათ. საამისოდ მშენებლებს ძველი შენობის ერთი ნაწილის საძირკველიც გამოუყენებიათ. იატაკის დონეც მაღლა აუწევიათ და ამიტომ იგი თიხამიწით შეუვსიათ. სწორედ ამ საგანგებოდ ჩაყრილ მიწაში აღმოჩნდა რკინის ურნალი, რომელსაც მასიური სამფრთიანი ისრისწვერის მსგავსი ბოლო აქვს. ურნალის სიგრძე 1 მეტრს აღემატება, დიამეტრი კი 30 სმ-ია. ასეთი ურნალი კედლების დასანგრევად იყო განკუთვნილი ძველ სამყაროში უკვე ძვ. წ. IX საუკუნიდან და ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტურ ხანაში. ასეთ ურნალს ხის ძელი უკეთდებოდა, მას გორგოლებიან საზიდარზე შედგამდნენ და კედლებს დააძგერებდნენ. ყირიმში, ძველი ბერძნული ქალაქის ხერსონესის გათხრებისას ნაპოვნია ასეთი ურნალით დანგრეული კედლები. მაგრამ თვით ურნალი პირველადაა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნაპოვნი და ამითაცაა ვანის ურნალი ღირსშესანიშნავი. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იგი კიდევ ერთხელ მოწმობს სამხედრო ორგანიზაციის მაღალ დონეს ანტიკური ხანის საქართველოში.

ძვ. წ. II საუკუნის ტაძარი საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობაა. ესაა აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული სწორკუთხა შენობა, რომლის სიგრძე 13 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე თითქმის 5 მეტრია. ტაძრის სიღრმეში აღმართულია ქვის სწორკუთხა ბალიშზე მდგარი სვეტი — საკურთხეველი. ტაძარს ჰქონია მოზაიკური იატაკი, რომელიც ერთმანეთთან

კირხსნარით შედუღაბებული თეთრი და ვარდ[illegible] ფერი [illegible]
ქვებითაა შედგენილი. ეს იატაკი მთლიანად [illegible]
და საგანგებოდ აყრილის შთაბეჭდილებ[illegible]
ერთი დიდი ფრაგმენტი საკურთხეველზეც აღმოჩნდა დაკარ[illegible]
ნილი... ჩანს, გამძვინვარებული მტერი, რომელმაც ძვ. წ. [illegible]
საუკუნის შუა ხანებში ვანის ძველი ქალაქი დაანგრია [illegible]
გადაწვა, აქ რაღაც სიმდიდრეს ეძებდა. როგორც ჩანს, ს[illegible]
მისოდ მას ჰქონდა საფუძველი: ძველად წარმართული ტაძრ[illegible]
ბი განძთსაცავსაც წარმოადგენდნენ და ისიც კი, რაც არქე[illegible]
ლოგებს აქ დახვდათ, დაახლოებით მაინც გვიქმნის წარმოდ[illegible]
გენას ამ ტაძრის ბრწყინვალებასა და სიმდიდრეზე.

ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში, შესასვლელთან ახლ[illegible]
40-ზე (!) მეტი კოლხური ამფორა აღმოჩნდა. ისინი მთლიან[illegible]
დამსხვრეული იყო, მაგრამ ჩვენმა კერამიკოსმა — რესტავრ[illegible]
ტორმა თამარ ჯავახიშვილმა იშვიათი ოსტატობით აღადგი[illegible]
ისინი. საკურთხეველთან დიდი ზომის ქვევრი იდგა (ის[illegible]
დამსხვრეული იყო). იქვე ახლოს ნაპოვნი იქნა 120 მონეტ[illegible]
მათგან 119 ერთ გროვად იყო და უთუოდ შესაწირავის წარ[illegible]
მოადგენდა. ამ 119 მონეტიდან ერთი სპილენძისაა, მის ერ[illegible]
მხარეს მუზარადიანი ომის ღმერთის არესის თავის გამოსახ[illegible]
ლებაა. ეს მონეტა პონტოს სამეფოს ქალაქ ამისოშია მოჭრ[illegible]
ლი ძვ. წ. III — 105 თუ 105 — 90 წლებში. დანარჩენი მ[illegible]
ნეტები, ასევე სპილენძისაა, მაგრამ მანამდე უცნობი ტიპის
ერთ მხარეს სტილიზებული ლოტოსის გამოსახულებაა (ის[illegible]
დის ატრიბუტი), ხოლო მეორე მხარეს კი რვასხივიანი ვარს[illegible]
ვლავია წარმოდგენილი. ამ მონეტებმა სპეციალისტების დიდ[illegible]
ინტერესი და მასთან ერთად აზრთა ცხოველი სხვადასხვაობ[illegible]
გამოიწვია. თავდაპირველად ეს მონეტები პონტოს სამეფოს[illegible]
მოჭრილად მიიჩნიეს. ცნობილმა ჩეხმა ნუმიზმატმა ე. პოხ[illegible]
ტონოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ, რადგანაც მონეტებ[illegible]
ეგვიპტური ღვთაების ისიდას ატრიბუტია გამოსახული, აქ[illegible]
დან ისინი თითქოს ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას მ[illegible]
რაა მისი ვაჟის კორონაციის აღსანიშნავად გამოშვებული ძ[illegible]
წ. 34 წელს. მაგრამ ვანის ძველი ქალაქი და ის ტაძარიც, ს[illegible]
დაც მონეტები აღმოჩნდა, ამ დროისათვის უკვე კარგა ხნ[illegible]
დანგრეული იყო და ამიტომ პატივცემული მკვლევარის მ[illegible]
საზრება ბუნებრივია გასაზიარებელი არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე საინტერესოა ქართველი ნუმიზმატის გიორგი დუნდუას მოსაზრება. მისი მტკიცებით, რამდენადაც ... მონეტები კოლხეთის ფარგლებს გარეთ ცნობილი ... ლო რამდენიმე ასეთი მონეტა ეშერის ნაქალაქარზეცაა აღმოჩენილი), შესაძლოა, რომ ეს მონეტები თვით ვანში იჭრებოდა ძვ. წ. 80-იან წლებში მითრიდატე VI-ის ვაჟის მითრიდატე ფილოპატეროს მიერ, რომელიც მამამ კოლხეთის მმართველად დანიშნა და თითქოს რეზიდენციადაც ვანი მიუჩინა. მე ნუმიზმატი არ გახლავართ და ამიტომ მიმძიმს ამ უაღრესად საყურადღებო მოსაზრების არგუმენტაციის შესახებ აზრის გამოთქმა. მხოლოდ ის კი შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ დღეს არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ვანის ძველი ქალაქი პონტოს მეფის მიერ დანიშნული კოლხეთის მმართველის რეზიდენციად მივიჩნიოთ (ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი ამ წიგნის დასკვნით ნაწილში მექნება). ამიტომ ვერ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ მონეტების ეს საინტერესო ჯგუფი მაინცდამაინც ვანში იჭრებოდა.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ტაძრის შიგნით აღმოჩენილ სხვა ძეგლებს. აშკარაა, რომ ტაძარში ადრე მრავლად ნაპოვნი მონეტები, რომლებიც პონტოს სამეფოშია მოჭრილი, სხვასთან ერთად (ამფორები, ქვევრი. მონეტები), უთუოდ, შეწირულობას წარმოადგენდა. მათთან ერთად ტაძარში სარიტუალო საგნებიც იქნა აღმოჩენილი. ერთი მათგანი რკინის სასაკმევლეა, რომელიც ორი ნაწილისაგანაა შემდგარი: ჯამისა და დაფანჯრულკედლიანი კონუსური ქუდისაგან. ჯამის კალთები ბრინჯაოს ფირფიტით ყოფილა თავის დროზე გარშემოკრული. თვით ფირფიტა მდიდრულადაა შემკული ნატვიფრი ორნამენტით: ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი ღეროები, ფრინველისა და აგრეთვე შიშველი ბიჭუნას (ეროტის) გამოსახულებანი ამკობდნენ ამ სასაკმევლეს. ამ ორი ათასი წლის წინათ მით ალბათ ტაძრის მთავარი ქურუმი ირგვლივ სურნელებას აკმევდა.

ყველაზე უფრო გასაოცარი კი მაინც ბრინჯაოს უზარმაზარი ჭურჭელია. იგი ხანძრისაგან იყო ძლიერ დეფორმირებული და მის ნაშთებს თითქმის 1,5 მეტრი დიამეტრის ფართობი ეკავათ. სამ დღეზე მეტ ხანს წმენდნენ მიწისაგან ამ ჭურჭელსა და მის მრავალრიცხოვან სკულპტურულ დეტა-

ლებს ექსპედიციის თანამშრომლები: რუსუდან ფუთურიძე და ცაცა თოლორდავა, თამარ ჯავახიშვილი [illegible] სტუდენტი-ტაშვილი, დარეჯან კაჭარავა და თამარ ფარცხალაძე. ერთ-ერთ მხრიდან მას ფოტოს უღებდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ხელოვნებათმცოდნე თემურ ნოზაძე. იმ დღეებში კი ეს საკმაოდ გართულდა: მოკუპრული ცა საწვიმრად ემზადებოდა და საკმაოდ ბნელოდა... მიუხედავად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის მუშაკთა მცდელობისა, ამ ჭურჭლის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ დაღუპვისაგან გადაარჩინეს ამ ჭურჭლის სკულპტურული დეტალები, რომელთაც მთელი სამი თვის მანძილზე „მკურნალობდნენ" რუსუდან ბახტაძე, ნათელა დვალი და ცისანა აბესაძე. მათ შეუნარჩუნეს სიცოცხლე ანტიკური ხელოვნების ამ შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთა შესახებ ახლა გვექნება საუბარი.

ტაძარში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი ელინისტური მცირე აზიის ერთ-ერთ სახელოსნოშია დამზადებული და ჩვენში კოლხეთის ბერძნულ-ელინისტურ სამყაროსთან ცხოველი სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის შედეგადაა შემოტანილი. ამიტომაცაა ბერძნული ამ ჭურჭლის მორთულობის მხატვრული სტილიცა და შინაარსიც.

ჭურჭელი, როგორც ჩანს, იდგა ფრინველის (არწივის) კლანჭების გამოსახულებიან სადგარზე (ასეთი „კლანჭი" ექვსია ნაპოვნი). ამავე ჭურჭელს ამკობდა ბრინჯაოსავე არწივის სამი გამოსახულება. დიდებულია სამივე ქანდაკება: ფრთაგაშლილი არწივები, რომელთა თითოეული დეტალი — ნისკარტი და თვალები, განსაკუთრებით ბუმბული და ღონიერი ქვედა კიდურები, დიდი მხატვრული ოსტატობითაა დამუშავებული.

ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია 18 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გამარჯვების ფრთოსან ქალღმერთს — ნიკეს გამოსახავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეციდან გამარჯვების მაცნედ და მაუწყებლად. მას ამაყად გადაუგდია უკან თავი, რომელსაც ნაზად ვარცხნილი თმა უმშვენებს. ქალღმერთის ტანს მოსავს დიდებული კვართი, ხოლო მის მოსასხამს ქარი აფრიალებს. სამოსლის ვერტიკალური ნაოჭები შესანიშნავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაა შეხამებული ქანდაკების საერთო რიტმთან, დაუოკებელ-
სა და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. კვართი ტანზე
სნილია და მოჩანს ქალღმერთის ნატიფი შიშველი ფეხი.

მთელი რიგი ნიშნებით (ტანის წაგრძელებული პროპორ-
ციებით და შედარებით პატარა ზომის თავით, წინ გაწვდილი
შიშველი ფეხით) ვანის ნიკე ახლო მსგავსებას პოულობს ნი-
კეს იმ ტიპთან, რომელიც შექმნა ძვ. წ. II საუკუნის მეორე
ნახევარში მცირე აზიის ქალაქის, მირინის, კოროპლასტიკამ.

ჭურჭლის მოსართავ ნაწილებს ეკუთვნის აგრეთვე 10—12
სმ სიმაღლის ექვსი ჰორელიეფური გამოსახულება, რომელიც
მეღვინეობა-მევენახეობის ღმერთის — დიონისეს წრის ღვთა-
ებებს გამოსახავს. მათგან ერთი — ძლიერ დაზიანებულია,
თუმცა შემორჩენილი ვაზის ფოთლებისაგან შედგენილი
გვირგვინი მოწმობს, რომ აქ, ისევე როგორც დანარჩენ შემ-
თხვევებში, დიონისეს წრის გამოსახულებებთან გვაქვს საქ-
მე. მეორე გამოსახულება წვეროსანი მოხუცი პანისაა (ბერძ-
ნული მითოლოგიის თანახმად ესაა ტყის ღმერთი, მწყემსები-
სა და მონადირეების მფარველი ღვთაება). მას თხისებური წვე-
ტიანი ყურები აქვს, ხოლო მეჩხერი თმა ცხოველის ჩლიქე-
ბივითაა ამოზიდული. ფართოდ დაღებული პირიდან მოუჩანს
კბილების ქვედა რიგი. სწორედ ეს ფართოდ დაღებული პი-
რი, ზეაპყრობილი თვალები და ღრმა ჰორიზონტალური ნაო-
ჭებით დაღარული შუბლი აძლიერებენ სახის უაღრესად პა-
თეტურ გამომეტყველებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება,
თითქოს მოხუცი პანი გამძვინვარებულია და თავისი საზა
რელი ყვირილით პანიკურ შიშს გვრის იმათ, ვინც მას სიმშ
ვიდეს უფრთხობს.

სტილისტურად ეს გამოსახულება მოგვაგონებს კარგად
ცნობილი წვეროსანი გალის ქანდაკებას იმ ჯგუფური კომპო-
ზიციიდან, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეში აღმართეს ათენში
პერგამონელმა ოსტატებმა (ე. წ. ატალოს I-ის ვოტივუმი).
საერთოდ კი ვანში ნაპოვნი გამოსახულება ერთ-ერთი საუ-
კეთესო ნიმუშია გვიანელინისტური ხანის სატირთა გამოსა
ხულების იმ რიგში, რომელმაც ბრწყინვალე გამოხატულება
პოვა პომპეიში ნაპოვნ საყოველთაოდ ცნობ ლ „მოცეკვავე
ფავნის“ ქანდაკებაში (იგი ნეაპოლის მუზეუმშია გამოფენი-
ლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ჰორელიეფური გამოსახულება დიონისეს მუდამ მხიარული თანამგზავრის — სატირისაა. მას ფიალა-ფიალაში ეჭირა ფოთლებისა და ნაყოფის გვირგვინი. ოსტატს იგი თითქოს ოდნავ შემთვრალებული გამოუსახავს და ამიტომაც ცბიერი გამომეტყველება აქვს. სტილისტურად ეს გამოსახულება ძალიან ახლოს დგას ე. წ. პერგამონული სტილის სატირების იმ ჯგუფთან, რომლის საუკეთესო ნიმუშები კანზასიტის (აშშ) მუზეუმშია დაცული და ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

მეოთხე გამოსახულება ქალისაა და გამოირჩევა პათეტური ეერით. აქ უკვე ვხედავთ კლასიკურად სწორ ნაკვთებს. თავს ვაზის ფოთლების გვირგვინი უმკობს, ხოლო ყურებზე ყურძნის მტევნები ჰკიდია. სავსებით აშკარაა, რომ ესეც დიონისეს წრის ღვთაებაა. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს არიადნე, თეზევსისაგან მიტოვებული, რომელიც, მითის თანახმად, გახდა დიონისეს მეუღლე და მისი ქურუმი.

დანარჩენი ორი ჰორელიეფური გამოსახულება წარმოსახავს დიონისეს მუდამ მხიარულსა და მომხიბლავ თანამგზავრებს — სახემშვენიერ მენადებს. ორივეს თავს უმშვენებს ვაზის ფოთლების გვირგვინი. ერთ-ერთ მათგანს ფართე, განიერი სახე აქვს, მოკლე ნიკაპი. ამ ნიშნებით იგი უახლოვდება პერგამონის საკურთხეველის დიდსა და მცირე ფრიზებზე წარმოდგენილ ჭაბუკთა და ყმაწვილ ქალთა სახეებს.

პერგამონული წრის მხატვრულ პლასტიკასთან დიდი მსგავსება და სიახლოვე კიდევ უფრო მკაფიოდ მჟღავნდება მეორე მენადის გამოსახულებაში. ძალზე დამახასიათებელი და ტიპიურია თვალის გამოსახვა, მშვილდივით მორკალული წარბები და ნაზად მოხაზული ქუთუთოები. სახის ოვალი, თვალები და ნაზი ღიმილით დამშვენებული ხორცსავსე ტუჩები, თითქოს იმეორებს ბერლინის მუზეუმში დაცულ ცნობილი პერგამონელი ქალის თავს, რომელსაც პირობით აფროდიტეს უწოდებენ და ძვ. წ. II ს. 60-იანი წლებით ათარიღებენ.

მთლიანად ეს სკულპტურული მორთულობა წარმოადგენს ელინისტური ხანის ბერძნული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთა აგრე დამახასიათებელი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება სათავეს იღებს ძვ. წ. IV ს. უდიდესი ბერძენი მოქანდაკეების პრაქსიტელესა და სკოპასის

შემოქმედებიდან. მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს: ძალზე ახლო მსგავსება პერგამონული წრის მხატვრულ სახეებთან მიუთითებს პერგამონის საკურთხეველის, ე. წ. მცირე ფრიზის შექმნის შემდგომ ხანაზე. ე. ი. ძვ. წ. II საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდზე, მაგრამ არა უგვიანეს 40-იანი წლებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცილებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ სადაა ეს ჭურჭელი და მისი სკულპტურული მორთულობა დამზადებული. ვიდრე არაა დასრულებული მხატვრული სახეების კიდევ უფრო დეტალური სტილისტური ანალიზი, აღდგენილი არაა აგრეთვე ჭურჭლის ფორმა და არც მისი ტექნოლოგიური თვისებებია ჯეროვნად შესწავლილი. იძულებული ვართ ჯერჯერობით ღიად დავტოვოთ ეს საინტერესო საკითხი. მაგრამ თვით ფაქტი ამ აღმოჩენისა ჩვენთვის ამჯერად ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია. იგი მოწმობს, რომ ვანის ძველი მოსახლეობისათვის ცნობილი იყო დიონისეს კულტთან დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიური რელიგიური სახეები (ეს ხომ კარიბჭის გათხრების დროსაც (ვნახეთ). მაგრამ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თვით ის გარემო, რომელშიც აღმოჩენილია დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით შემკული სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარში აღმოჩენილი მთელი კომპლექსი, მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ღვთაების დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული სარიტუალო ჭურჭელი, საღვინე ქვევრი და შეწირული ამფორები (40-მდე) ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მეღვინეობა-მევენახეობის კულტთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგიური აღმოჩენით დადასტურებული ეს საინტერესო ვითარება ძალზე ჰგავს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ქართულ საკულტო მარანს.

ქართველმა ეთნოგრაფებმა საკმაოდ დამაჯერებლად უჩვენეს ვაზის მოსავლიანობასთან დაკავშირებული მაგიური და რელიგიური რწმენა — წარმოდგენების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება, რაც სრულიად სამართლიანად ჩვენში მეღვინეობა-მევენახეობის კულტურის სიძველედაა მიჩნეული. დადგენილია, რომ ქართული მარანი სალოცავ ადგილს

წარმოადგენდა და არსებობდა საგანგებო საკულტო მარნები. სადაც მარჯვენა კუთხეში იდგა საზედაშე ქვევრები, ე. ი. ღვთაებისათვის შესაწირავად გამიზნული ღვინის ჭურჭელი (ანუ, ხომ ზემოხსენებულ ტაძარში სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში ელაგა შეწირულობა — 40-მდე ამფორა).

ქართული მარანი, საჯვარე, საზედაშე-საკულტო ნაგებობაა, რომელიც სალოცავი ხატის როლს ასრულებდა. აქვე სრულდებოდა ლოცვა-ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის რთული რიტუალი. ძალზე საინტერესოა აგრეთვე, რომ ვანში გათხრილ აი ამ ტაძარში, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა საუბარი გვაქვს, აღმოჩენილია თირში ამოკვეთილი ორმოც, რომელიც, ვფიქრობთ, მსხვერპლად შეწირული პირუტყვისა თუ ფრინველის სისხლის ჩასაღვრელად იყო განკუთვნილი. ერთი სიტყვით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებთან უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს და ამ მიმართებით შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ კიდევ უფრო პერსპექტული იქნება.

ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოაღწერილი ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ფესვები. ამავე დროს მას, გარეგნულად მაინც, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერიც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის რიტუალური ჭურჭელი, რომელიც მოწმობს მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს კულტის არსებობას ვანში. დიონისეს კულტის ფართოდ გავრცელების მოწმობად მიიჩნევენ აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილ დღესასწაულებს, რომლის ზოგიერთი მომენტი — თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვ. მართლაც წააგავს დიონისურ მისტერიებს. ამიტომ სავსებით სამართლიანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ელინისტური კულტურის გავლენით, დიონისეს სახით, აქ გვევლინება უძველესი ადგილობრივი ღვთაება. დიონისე ხომ ყველაზე უფრო პოპულარული ბერძნული ღვთაება იყო საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ელინისტური კულტურის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენილი მკვლევარი ვილიამს ტარნი წერს: „თუ ოდესმე რომელიმე ბერძნულ ღმერთს ძალუძდა მსოფლიოს დაპყრობა, ეს შეეძლო მხოლოდ დიონისეს, რომლის კულტი მისმა მსახურებმა მთელ ქვეყანას მოფინეს, ხოლო ხელოვნებამ და ლიტერატურამ უზრუნველყო მისი ტრიუმფალური მსვლელობა აზიაში მსგავსად ალექსანდრე მაკედონელისა. ცნობილია, რომ ებრაელებმა გააიგივეს იგი თავის ღმერთთან სავაოფთან, ეგვიპტელებმა — სერაპისთან (იმის გამო, რომ სერაპისის კულტში თავს იჩენს ოზირისის კულტის ელემენტები). დიონისე გახდა ატალიდებისა და პტოლემაიოსების წინაპარი. დიონისური კულტები ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური ხანის შუა აზიაში. მით უფრო გასაგებია „დიონისური" კულტების პოპულარობა და გავრცელება საქართველოში, რომელიც ძველთაგანვე მეღვინეობა-მევენახეობის უძველეს ქვეყანას წარმოადგენს...

ძველი საქართველოს ნივთიერი და სულიერი კულტურის ისტორიისათვის, საერთოდ ანტიკური კულტურის ისტორიისათვის, აგრე საყურადღებო და მრავალმხრივ საინტერესო არქეოლოგიური მასალა შეგვძინა ამ მეტად თავისებური ტაძრის შესწავლამ. ეს ტაძარი ჭაჭია ახვლედიანის საკარმიდამო ნაკვეთზე აღმოჩნდა. მის თავზე ჭაჭია ბაბუას საქათმე ჰქონდა გამართული...

ტაძარი-მარანის მიმდგომი ფართობის შესწავლა იყო აუცილებელი იმის დასადგენად დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა ის თუ დიდი არქიტექტურული კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. ამიტომაც ტაძრის დასავლეთით მდებარე ფართობის შესწავლაც გადავწყვიტეთ. ამ ადგილას კი ვენახი იყო... მაგრამ მისმა მფლობელმა აწ განსვენებულმა ჭაჭია ახვლედიანმა მისი ხელით ათეული წლების მანძილზე ასე საგულდაგულოდ მოვლილი ვაზი ახალ ადგილზე გადაიტანა და არქეოლოგებს სამუშაო ასპარეზი მოგვცა, რამაც ახალი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები მოგვიტანა. ამიტომაც არ შემიძლია დღეს მოწიწებითა და უდიდესი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ეს გლეხი-კაცი, რომელმაც აგრე დიდი შეგნებით გაუწია სამსახური ჩვენს მეცნიერებას.

გათხრები ამ უბანზე 1970 წლიდან განახლდა და აქ სა-

მუშაობს ისტ. მეცნ. კანდიდატი რუსუდან ფუთურიძე ხელმძღვანელობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათხრების შედეგად ირკვევა, რომ ტაძარი-ციხე-ფურმე საკმაოდ გრანდიოზული კომპლექსის მხოლოდ ერთი ნაწილი ყოფილა. დადგინდა, რომ ტაძარს ჩრდ. დასავლეთი მხრიდან მიშენებული ჰქონდა რამდენიმე სწორკუთხა დარბაზი, თუმც ჩვენამდე ძლიერ დანგრეული სახით მოღწეული. აქ ვიპოვეთ ფრაგმენტები დიონისეს ტერაკოტული ნიღბის და კანდელიაბრის მაგვარი ბრინჯაოს ნივთისა. ერთ-ერთ დარბაზში დასავლეთ კედელთან საკურთხეველი იყო მიშენებული... ყურადღება მიიქცია იმანაც, რომ ზოგიერთ სათავსში კლდოვანი დედაქანი ხელუხლებლად იყო შემორჩენილი. მით კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველ ტომებში (და სხვა ძველ ხალხებში) არსებული რელიგიური წარმოდგენა კლდეს ღვთაებრივ ძალას რომ მიაწერდა...

შემდგომმა გათხრებმა კომპლექსის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი გამოავლინა, თუმცა ულმობელი მტრის მიერ უმოწყალოდ დანგრეული. ტაძარ-მარანის ჩრდ. დასავლეთით მასზე მიშენებული დიდი კედელი აღმოჩნდა, ასევე მშვენივრად გათლილი რუსტირებული ქვათლილებით ნაგები. მის ძირში კი დიდი ზომის სწორკუთხა ფილები იყო მიმობნეული. დადგინდა, რომ ეს ფილები, რომელთა ზედაპირი რამდენადმე გაცვეთილი იყო, ორ საფეხურად განლაგებულ კიბის ფილებს წარმოადგენდა, ხოლო იქვე იქნა ნაპოვნი სვეტის ძირი ე. წ. ატიკური ტიპის ბაზა, სვეტის ნაწილები და ორი დიდებული კაპიტელი თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი. ერთ-ერთი მათგანი შუაგულში აკანთის ფოთლებს შორის მოქცეული ქალღვთაების თავისა და გულმკერდის სკულპტურული გამოსახულებებითაა მორთული, ხოლო მეორე — ვარდულითაა დამშვენებული. იქვე სხვა არქიტექტურულ დეტალებთან ერთად ვიპოვეთ 3,10 მ სიგანის არქიტრავი — ქვის კოჭი, რომელიც თავის დროზე სვეტის თავებზე იყო დადგმული. ამ აღმოჩენებმა ექსპედიციის არქიტექტორს გურამ ყიფიანს საშუალება მისცა წარმოესახა სვეტებით დამშვენებული საზეიმო შესასვლელის გარეგანი სახე.

ეს საზეიმო შესასვლელი ორსაფეხურიან მონუმენტურ

საკურთხეველს ეკუთვნოდა. საკურთხევლისაკენ კი, როგორც გათხრებით დადგინდა, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი 18 მეტრის სიგრძის არხი იყო ადრესირებული (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ). არხის ირგვლივ აღმოჩნდა კლდოვანი დედაქანშივე ამოკვეთილი მრგვალი და ოვალური მოყვანილობის ორმოები. ზოგიერთ მათგანს გვერდით ღარები ჰქონდა და მაშასადამე წარმოადგენდნენ სამსხვერპლო ორმოებს: აქ საღვთო ღვინო თუ სხვა სითხე მიერთმეოდათ მიწისქვეშა ღვთაებებს. სხვა ორმოები მარცვლეულისათვის იქნებოდა განკუთვნილი. ეთნოგრაფმა ჯულიეტა რუხაძემ გვაცნობა, რომ ასეთი რიტუალური არხები საქართველოს მთიანეთში-ცაალ დამოუმებული. მოსავლის აღებასთან დაკავშირებული რიტუალისას ამ არხებში ასხამენ ღვინოს და ჰყრიან სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულს, რაც სიუხვისა და ნაყოფიერების განსახიერებადაა მიჩნეული.

ცენტრალური ტერასა

კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ძირშია განლაგებული და უშუალოდ კლდესაა მიბჯენილი. 1966 წლის გათხრებისას ზედა ფენებში მრავლად ჩნდებოდა სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები. მათგან საგანგებოდაა აღსანიშნავი თეთრი ფერის ადგილობრივი ჯიშის კირქვისაგან გამოკვეთილი ბერძნული ჰიდრიის[1] მსგავსი ჭურჭელი (დაახლოებით 50 სმ სიმაღლისა). იგი ზუსტად შუაშია გაკვეთილი. ზედა და ქვედა ბოლოებში მას ოთხკუთხა ღრმა ფოსოები აქვს ამოკვეთილი: როგორც ჩანს, ქვედა ფოსო საგანგებო საფუძველზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი, ხოლო ზემოდან ამ ჭურჭელს კიდევ ალბათ რაღაც მხატვრული დეტალი ამკობდა. ჭურჭელი უკანა მხრიდან საყრდენ კედელზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული, რაზედაც მიუთითებს საგანგებოდ ამოკვეთილი ფოსოები. ამრიგად, სრულიად აშკარა იყო, რომ იგი წარმოადგენდა კედ-

[1] ჰიდრია წყლის საზიდად განკუთვნილი სამყურა ჭურჭელია. ერთი ყური ყელზე უკეთდებოდა, ორი კი — მხარზე.

ლის მოსართავ დეკორაციულ ჭურჭელს. მასთან ერთად ნაპოვნია შესანიშნავად პროფილირებული მარმარილოს კარნიზის ფრაგმენტი, ტრაპეციის ფორმის ქვიშაქვის ფილები, დიდი ზომის კარგად დამუშავებული ქვათლილები... ეს ნაშთები არ ეკუთვნოდა კარიბჭის ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს: ისინი იმ ფენაშია ნაპოვნი, რომელიც კარიბჭის ნანგრევებს ეფარა. სავსებით აშკარად ჩანდა, რომ ეს არქიტექტურული დეტალები თუ ცალკეული ქვათლილები ზედა ტერასიდან იყო გადმოვარდნილი და მაშასადამე სწორედ იქ იყო საძიებელი ის უთუოდ მონუმენტური ნაგებობანი, რომელთაც ეკუთვნოდა ზემოთ დასახელებული ნაშთები. ამიტომ აუცილებელი იყო ცენტრალური ტერასის ფართო არქეოლოგიური გამოკვლევა! მაგრამ ამას მაშინ შეუძლებელს ხდიდა ის გარემოება, რომ ცენტრალური ტერასის, ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესო ადგილები ადგილობრივ მოსახლეებს (ვალიკო ახვლედიანსა და ქსენია გიორგაძეს) ეკუთვნოდათ და მთელი არემარე ბაღ-ვენახებითა და მრავალწლიანი ნარგავებით იყო დაფარული. მაინც შევეცადეთ საცდელი თხრილების გაჭრას. ამ თხრილებში აღმოჩნდა სამი ლომის თავი, ადგილობრივი ჯიშის თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი. თავის დროზე სამივე ერთი ზომისა იქნებოდა: სიგრძე 70 სმ, სიმაღლე 45 სმ და სიგანე 36 სმ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენობა, რომელსაც ეს ლომის თავები ეკუთვნოდა, ძალზე გრანდიოზული უნდა ყოფილიყო. სამივე ლომის თავი შენობის ზედა ნაწილში უნდა ყოფილიყო თავის დროზე მოთავსებული. მათგან ორი სიმის ნაწილია — წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი, ხოლო ერთი, რომელსაც ღარი არა აქვს, კედლის დეკორაციული მოსართავია. ერთ-ერთ მათგანს შემორჩენილი აქვს კონსტრუქციული დეტალები, რომლითაც იგი შენობის სათანადო ნაწილთან იყო დაკავშირებული.

1967 წელს აღმოჩენილი ლომის თავები თვალსაჩინოდ მოწმობდნენ, რომ ცენტრალური ტერასის სიღრმეში იდგა ოდესღაც დიდებული და უთუოდ გრანდიოზული ნაგებობა. ფერდზე გავლებულმა საცდელმა თხრილებმა კი ცხადყვეს, რომ აქ კულტურული ფენების სიმძლავრე 4-5 მეტრამდე აღწევს და შეიცავს უხვ მასალას ძველი ქალაქის ისტორიისათვის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ. წ. I საუ-

კუნემდე. ჭრილებში ყველგან ჩანდა ნაგებობათა ნაშთები, ხანძრისაგან გაწითლებული ქვათლილები და ალიზის აგურები, ჩამოქცეული და დალეწილი სახურავი კრამიტ[illegible] ჭურჭლის ნატეხები... საცდელ თხრილებში, ტერასის ზედაპირზე[illegible]მეში გამოჩნდა ქვით ნაგები კედლები. ექსპედიციამ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციას მოახსენა ამ აღმოჩენათა შესახებ და ცენტრალურ ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების ფართოდ წარმართვის აუცილებლობა აღნიშნა. ვანში ჩამოსულმა საველე-არქეოლოგიურმა კომისიამ გაიზიარა ექსპედიციის წინასწარი ვარაუდი ცენტრალური ტერასის, როგორც ძველი ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნისა და მისი ფართო არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობის შესახებ. იმავე წლის შემოდგომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი სახსრებით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად შეიძინა ქსენია გიორგაძის საკარმიდამო ნაკვეთი. სახლში კი მოეწყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა.

1968 წლის ივნისში განახლდა გათხრები ცენტრალურ ტერასაზე. პირველივე წლის გათხრებმა დაადასტურეს ვარაუდი, რომ აქაა ძველი ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი უბანი. თითქმის 4-თვიანი მუშაობის შედეგად ექსპედიციამ შეძლო საკმაოდ დიდ ფართობზე შეესწავლა 2 და 3 მეტრი სიმძლავრის კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავდა მეტად მრავალრიცხოვან და ამასთან ერთობ მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალას, ძვ. წ. IV—I საუკუნეების ქალაქის ისტორიას რომ ასახავენ. ამ წელს აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის გალავნის კედელი, შიდა მხრიდან კონტრფორსებით გამაგრებული. თითქმის 50 მეტრ სიგრძეზე გახდა შესაძლებელი ამ კედლისათვის თვალის გადევნება. ამას გარდა, აღმოჩნდა მთელი წყება ნაგებობებისა თუ ცალკეული კედლებისა, რომელნიც თარიღდებიან ძვ. წ. IV — III, II და I საუკუნეებით. მათგან საგანგებოდ მხოლოდ ორს აღვნიშნავ.

პირველი — ე. წ. მრგვალი ტაძარია, ცენტრალური ტერასის (და საერთოდ ძველი ქალაქის) ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ნაგებობა, თუმცა ძალზე დანგრეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე (ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის პირველ ნახევარში) იდგა სწორკუთხა მრგვალი, რომელიც თავისი გეგმით ემსგავსებოდა კარიბჭესთან აგებულ ტაძარ-სამლოცველოს („ღვთის კარი"). თავდაპირველი, სწორკუთხა შენობიდან ამჟამად შემორჩენილია შესანიშნავად გათლილი და დამუშავებული ქვათლილებით ამოყვანილი დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკვლები, აგრეთვე კლდოვან დედაქანში (თირში) ამოკვეთილი ბუდეები, რომელნიც ქვათლილების ჩასალაგებლად იყო განკუთვნილი და რომელთა მეოხებით გახდა შესაძლებელი ნაგებობის თავდაპირველი გეგმის აღდგენა. მისი სიგრძე 11,4 მეტრია, ხოლო სიგანე — 10,4 მეტრი. კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს. მშენებლობის წესი ანალოგიურია კარიბჭის კედლების წყობისა და მათ თანადროულობაზე მიუთითებს. სწორკუთხა შენობის იატაკი სხვადასხვა ზომის თირის ქვათლილებითაა მოგებული.

ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში სწორკუთხა შენობის საძირკველზე მრგვალი შენობა აუგიათ. საამისოდ ძველი შენობის საძირკველიც გამოუყენებიათ. შენობა რომ მთლიანად მრგვალი იყო (კოშკისებური), ამას მოწმობს მრგვალი მოყვანილობის ბუდეები აღმოსავლეთ ნაწილში (სადაც ადრე სწორკუთხა შენობას საერთოდ არ ჰქონდა კედელი და „ღია" იყო კარიბჭის ტაძარ-სამლოცველოს მსგავსად) და აგრეთვე სამხრეთ ნაწილშიც, სადაც ძველი შენობის სწორკუთხა ბუდეების ნაკვალევზე მომრგვალებული ბუდეებია ამოჭრილი. მრგვალი შენობის გარე დიამეტრი 10 მეტრია, ხოლო შიდა — 5,4 მეტრი. ასე რომ თავის დროზე იგი საკმაოდ გრანდიოზული უნდა ყოფილიყო.

ჯერჯერობით ძალზე რთულია მრგვალი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი არ ემორჩილება ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქციული დეტალის გამოყენება გამორიცხული არაა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სწორედ ცენტრალურ ტერასაზე 1968-1969 წლებში ნაპოვნი ტრაპეციის ფორმის 10-12 სმ სისქის ქვის

ათამდე ფილა (საშუალოდ 90×95 სმ), რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ამოჭრილი, როგორც ჩანს, ქვის ან ხის ძეგლებზე დასამაგრებლად. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას ეს ფილები წარმოადგენს კესონის უჯრედის სახურავებს და განკუთვნილი იყო მრგვალი ფორმის, ე. ი. თოლოსის ტიპის შენობისათვის. ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეკუთვნიან თუ არა ეს ფილები ზემოაღწერილ მრგვალ ნაგებობას. მაგრამ ერთი რამ მაინც სავსებით ცხადია: კონსტრუქციულად მათი გამოყენება დაკავშირებულია ელინისტური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ტექნიკის გავლენასთან. ჭერის პლაფონის გაფორმების კესონური პრინციპი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ბერძნული მრგვალი ტიპის ისეთი შენობისათვის, როგორიცაა, საბერძნეთში ფიმელა ეპიდავროსში, ფილიპეიონი ოლიმპიაში (ძვ. წ. IV ს. დასასრული), და განსაკუთრებით არსინოიონი სამოთრაკის კუნძულზე (ძვ. წ. III ს.). ყველა ესენი სატაძრო-საკულტო ნაგებობებია. აღსანიშნავია, რომ ელინიზმის ხანაში ეს მრგვალი ფორმის საკულტო ნაგებობანი ბერძნული ხუროთმოძღვრების ზემოდასახელებული ძეგლების გავლენით ჩნდება და ვრცელდება მახლობელსა და ცენტრალურ აღმოსავლეთში: „მრგვალი ტაძარი“ პართიის ნისაში, ჩაიტის მრგვალი დარბაზი, გუნტუპალეში, აბსიდიანი ტაძარი ტაქსილაში (ინდოეთი), საკულტო ნაგებობათა კომპლექსი კოი-კრილგან-კალეში. ვანის მრგვალი შენობაც საკულტო უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს იქვე ნაპოვნი ღარიანი სამსხვერპლო ქვა, შენობის გეგმა, ნაგებობასთან დაკავშირებული კულტურული ფენების ხასიათი... ამიტომაც მრგვალი ტაძარი ვუწოდეთ მას... ძნელი სათქმელია რომელი ღვთაების სალოცავს წარმოადგენდა იგი. ამ ტაძრის გეგმა, რომელიც ჩვენ კოშკისებურ დახურულ შენობად გვაქვს წარმოდგენილი, გვავარაუდებინებს, რომ იგი საიდუმლო რიტუალისათვის იყო განკუთვნილი. მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ასეთი ტაძრები მიწისქვეშა ღმერთებისათვის, კერძოდ, კაბირებისათვის, მუედელთა მფარველი ღვთაებებისათვის იყო აგებული. გავიხსენოთ, რომ მრგვალ ტაძართან ღარიანი სამსხვერპლო ქვაა აღმოჩენილი. ასეთი ქვები კი ზოგიერთ ქვეყანაში განკუთვნი-

ლი იყო მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასალვრელად, რომელიც მიწაში მიედინებოდა... ეროვნული

ძალზე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. I საუკუნეში, როდესაც მრგვალი ტაძარი დანგრეულა, იქვე ახლოს სახელდახელოდ ახალი შენობა აუგიათ. იგი კრამიტით ყოფილა გადახურული და ალიზის კედლები ჰქონია. საკმაოდ ფრაგმენტული საძირკვლის წყობა კი მრგვალი მოყვანილობისაა... ჩანს იმავე ღმერთებს აუგეს ეს შენობა, რომელთა სალოცავს ადრე „მრგვალი ტაძარი" წარმოადგენდა.

„მრგვალი ტაძარი" მიმზიდველი იქნებოდა თავისი გრანდიოზულობით, მეტად თავისებური არქიტექტურული ფორმებით, ამჟამად კი შთამბეჭდავი ნანგრევებით...

1968 წელსვე, თხრილის დასავლეთით გაფართოებისას დადგინდა, რომ ცენტრალურ ტერასაზე ნაგებობანი ორ იარუსადაა განლაგებული. მეორე იარუსის ნაგებობებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვ. წ. III საუკუნის ერთი საკმაოდ მონუმენტური შენობის საძირკველი, რომელიც ერთმანეთთან თიხის ხსნარით დაკავშირებული თირის ქვებითაა აგებული. მისი სიგრძე 17 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე — 5 მეტრს. ესაა ჯერჯერობით ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილ ნაგებობათაგან ყველაზე უფრო გრანდიოზული შენობა, რომლის დანიშნულება დადგენილი არაა და არც მთლიანადაა გათხრილი: გამოვლენილია მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები. კედლის ქვეშ კი გრძელდებოდა კულტურული თენა, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის და კიდევ უფრო ადრინდელ ნაშთებს შეიცავდა. ამიტომ იმ წელს აქ დროებით შეეწყვიტეთ გათხრა და ძველი ქალაქის ცხოვრების ამ ადრინდელი ეტაპის ამსახველი ფენის ვრცელ ფართობზე შესწავლის მიზნით ამ ადგილის შემდგომი გათხრა მომავალი წლისთვის გადავდეთ. ვინ იცოდა მაშინ, 1968 წლის სექტემბრის დამლევს, რომ სულ რაღაც 50-ოდე სანტიმეტრი გვაშორებდა მეტად საინტერესო აღმოჩენას, რომელიც 1969 წლის არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაპოვარი გახდა.

ასე მივყავართ ლომის თავებს ერთიმეორეზე საინტერესო და ზოგჯერ (როგორც მომდევნო თავებში დავინახავთ) რამდენადმე მოულოდნელ აღმოჩენებამდე.

იმავე წელს (1968 წელი) გათხრები ნაქალაქარის სხვა

უბნებზეც წარმოებდა. კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს გურამ ლორთქიფანიძე განაგრძობდა ძვ. წ. II — I საუკუნის თავდაცვით ნაგებობათა შესწავლას ამბერკი ახვლედიანის ეზოში ტაძარ-მარანის სამხრეთით, ვალენტინა ახვლედიანის ეზოში რუსუდან ფუთურიძის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა მიწის ზედაპირზე გამოსულ ნაგებობათა გათხრა. აქ აღმოჩნდა ძვ. წ. II — I საუკუნეების საკმაოდ მონუმენტური ნაგებობის საძირკველი, რომლის კედლები თლილი ქვით ამოყვანილი ბურჯებითაა გამაგრებული.

იმავე წელს დავიწყეთ ვანის ნაქალაქარის გარეუბნების შესწავლაც და ამ მიზნით ციხესულორის „ნაციხვარის" გათხრები წამოვიწყეთ. მართალია, „ნაციხვარი" შუა საუკუნეებისაა, მაგრამ ზედაპირზე ანაკრეფი მასალა ვანის ნაქალაქარის დროინდელ ნაშთებსაც შეიცავს და ამ ხანის დასახლების არსებობას გვავარაუდებინებს. „ნაციხვარის" შესასწავლად შუა საუკუნეების არქეოლოგიის სპეციალისტი მარინე მიწიშვილი მოვიწვიეთ.

ექსპედიციის კიდევ ერთი რაზმი (გურამ ლორთქიფანიძე, ნინო კიღურაძე) შეუდგა დაფნარში ვრცელი სამაროვნის შესწავლას. ეს ტერიტორია „ვანის ქვეყნის" ჩრდილოეთ ნაწილადაა მიჩნეული... ამ და, აგრეთვე დაბლაგომ-მთისძირის ანტიკური ხანის ძეგლების შემდგომმა და გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა გამოკვლევამ უნდა განსაზღვროს ვანის ქალაქის ურთიერთობა ირგვლივ მდებარე სასოფლო ოლქებთან... ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის წინაშე დგება ამრიგად ახალი რთული პრობლემები, ისახება ახალი საინტერესო პერსპექტივები.

ამასობაში კი ვანის ნაქალაქარი ფართოდ იხვეჭდა სახელს.... ამიტომ იყო, რომ თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე 1968 წელს სტუმრებისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ (ხუთიდან) საექსკურსიო მარშრუტში ვანიც იქნა შეტანილი. სწორედ ამ გზაზე წამოვიდა თითქმის ყველა ქართველოლოგი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენელი. იმ დღის ვანში ჩამოვიდნენ შესანიშნავი შვეიცარიელი ქართველოლოგი ქალები რუთ ნოიკომი, იოლანტა მარშევი და ლია ფლური; ჰოლანდიელი კოიპერსი, ამერიკე-

ლი ლინგვისტი ჰემპი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, და ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბუდაპეშტის უნივერსიტეტის რექტორი ნაგი, ბუქარესტის უნივერსიტეტის რექტორი ლივეანუ (რომელმაც შემდეგ რუმინული 40-მდე არქეოლოგიური წიგნი გამოუგზავნა ვანის ექსპედიციის ბიბლიოთეკას) და სხვები. დიდებულად უმასპინძლა ახალმა ვანმა ძველი ქალაქის საპატიო სტუმრებს. დიდხანს ტკბებოდნენ სტუმრები ვეიანი შემოდგომის იმ მზიან დღეს იმერული პეიზაჟის სიმშვენიერით. „დელფოს მაგონებსო ვანი“ — თქვა ამერიკელმა ლინგვისტმა — ჰემპმა. ის თუმცა პეიზაჟს გულისხმობდა, არ დავმალავ და ამ შედარებამ განსაკუთრებით მასიამოვნა. სწორედ ამ ძველ ბერძნულ ქალაქში 1966 წელს ყოთნისას დაშებადა პირველად აზრი, რომ თავისი ხასიათით ვანის ქალაქიც, ისევე როგორც ოელთო, საკაძრო ქალაქია, ძველი ქართული წარმართული სალოცავი. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ...

ლედატოსი — წარჩინებული მხედართმთავარი

1969 წლის მაისის მიწურულს ვანის ნაქალაქარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა არქეოლოგებმა — იენის უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა გერხარდ ციზერლინგმა და ჰალეს უნივერსიტეტის დოქტორმა ჰაინრიხ ნიკელმა დაათვალიერეს. მათ დაუთანაგანად გამოთქვეს აღტაცება კარიბჭისა და მრგვალი ტაძრის ნანგრევებით. აღნიშნეს მათი თავისებურება და განსხვავება ბერძნულ-ელინისტური კულტურის ძეგლებისაგან, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ლომების მიმართ. წარმატება გვისურვეს იმ ნაგებობის აღმოჩენაში, რომელთაც ეს ლომები იკუთვნოდა.

გათხრები ივნისში განიაახლეთ: ამჯერად 13 ივნისს ჩამოვიდა ვანში ჩვენი ექსპედიცია. თან წამოგვყვა კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფიც (რეჟისორები იზოლდა შელიძე და ეკატერინა ლომიძე, ოპერატორი ტარიელ ელიავშვილი). მათ თბილისში გადაიღეს ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი და



ძველი ქალაქის კარიბჭე და ტაძარი. ძვ. წ. III ს.

ქვისა და ალიზის კედელი. ძვ. წ. II ს.

ლომის თავი. კირქვა. ძვ. წ. III—II სს.



სვეტის თავი (კაპიტელი). ძვ. წ. II ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარის ქანდაკება. ბრინჯაო. ძვ. წ. III ს.

არწივის ქანდაკება. ბრინჯაო. ძვ. წ. II ს.

გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთი (ნიკე). ბრინჯაო. ძვ. წ. II ს.

ვერცხლის ჭანდაკებები. ძვ. წ. II—I სს.

ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტი. ძვ. წ. II ს.

ბრინჯაოს ჭურჭლის ყური მამაკაცის თავის სკულპტურული გამოსახულებით, ძვ. წ. III ს.

ოქროს სამკაულიანი ბრიხჯაოს ქანდაკებები. ძვ. წ. III ს

წარჩინებული კოლხი მეომრის საძარხი, ძვ. წ. IV ს.



ვერცხლის კოვზი, ძვ. წ. IV-III სს



ცხენის აკაზმულობა. ბრინჯაო და ვერცხლი. ძვ. წ. III ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოლხური კერამიკა. ძვ. წ. VI—IV სს.

კოლხური დოქი. ძვ. წ. V ს.



ოქროს სამკაულები და მონეტა. ძვ. წ. III ს.



ოქროს გულსაკიდი ძვ. წ. IV ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუს გამოსახულებიანი ოქროს ყელსაბამი. ძვ. წ. V ს.



ფრინველის გამოსახულებიანი ოქროს ყელსაბამი. ძვ. წ. V ს.



ოქროს დიადემა (დეტალი). ძვ. წ. V ს.



ოქროს დიადემა (დეტალი). ძვ. წ. IV ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლხური ოქროს საყურე. ძვ. წ. V ს.



ოქროს სამაჯური. დეტალი. ძვ. წ. V ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა საველე გადაღებას აწარმოებდნენ ფერადი დოკუმენტური ფილმისათვის „ვანის ნაქალაქარი“. რამდენიმე დღეში გადაიღეს ნაქალაქარის არქიტექტურული ძეგლები, „ბანბლი“ ბის ხედი და თბილისს გაბრუნდნენ.

მუშაობა უპირატესად ადრე დაწყებულ უბნებზე გრძელდებოდა, უმთავრესი კი მაინც ცენტრალური ტერასა იყო. აქ ახალი მონაკვეთის შესწავლაც დავიწყეთ: კვლავინდებურად კედლები, კულტურული ფენები, თიხის ჭურჭლის ნატეხები. წინა წლებში „განებივრებულებს“ თითქოს უკვე აღარაფრად გვეჩვენებოდა თირის ქვით ნაგები, ზოგჯერ საკმაოდ დიდრონი კედლებიც კი. აღარც ნატიფი კოლხური და ბერძნული კერამიკა იწვევდა აღტაცებას ექსპედიციის ახალბედა წევრებშიც კი. რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იყო შექმნილი, თითქოს ვანის ნაქალაქარის გათხრებს ყოველთვის რაღაც უჩვეულოს აღმოჩენა უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ გადიოდა დღეები, კვირეები, მთელი თვეც კი და არამც თუ უჩვეულო და სენსაციური ჩანდა რაიმე, არამედ თითქოს მიწისქვეშა ძეგლებმა პირი შეკრესო: აღარც კედლები ჩნდებოდა, კულტურული ფენებიც გაღარიბდა... საოცარი წარუმატებლობაა! ხშირად მაგონდებოდა დიდი ინგლისელი არქეოლოგის გორდონ ჩაილდის ნათქვამი „არქეოლოგია ესაა მეცნიერება დიდი აღმოჩენებისა, რომლებსაც დიდი იმედების გაცრუებაც ახლავსო“.

ასე იყო 18 ივლისამდე. გრძელდებოდა გათხრები ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ექსპედიცია იკვლევდა წინარეელინისტური ხანის, ე. ი. VI — IV საუკუნეების კულტურულ ფენებს, რომელთა შესწავლა მიზნად ისახავდა ქალაქის გენეზისისა და ადრეული ეტაპის ისტორიის შესწავლას. ეს იყო ძალიან შრომატევადი სამუშაო, რადგან ამ ხანის კულტურული ფენები ნაქალაქარზე ძალიან ღრმად, მიწის ზედაპირიდან ზოგჯერ ოთხი თუ ხუთი მეტრის სიღრმეზეა განლაგებული.

17-მეტრიანი კედლის საძირკვლის დონეზე დაბლა მიმდინარეობდა გათხრები. დაიწყო „ნაცრისფერი“ ფენა, რომლის უკვე ზედა შრეები შეიცავდა ძვ. წ. VI და V საუკუნეების კოლხური კერამიკის ნიმუშებს... ბარისპირებით ფენა-ფენა

მივყვებით სილრმეში კულტურულ ფენას. მაგრამ რა ხდება? იქ, სადაც კულტურულ ფენაში კერამიკული ფრაგმენტების ინტენსივობას უნდა ემატა, ერთ მონაკვეთზე პირიქით მოხდა: — მხოლოდ თითო-ოროლა ნატეხი გვხვდება, კიდევ მეტი! ძვ. წ. VI—V საუკუნეების კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად იმავე დონეზე ჩნდება უფრო ადრეული ხანის ნიმუშებიც. ჩანს, ჩვენთვის აგრე საინტერესო და მნიშვნელოვანი კულტურული ფენა დაზიანებულია და უფრო გვიანდელი ხანის მშენებლობათა შედეგადაა გადათხრილი. ისევ წარუმატებლობა? სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა უწესრიგოდ ჩაყრილი რიყის ქვები. ქვებს შორის ჩანს რკინის სატევრის ზედა ნაწილი. რიყის ქვები ერთ მხარეს უწესრიგოდაა მიყრილი. მის ქვეშ ყვითელი ფერის თიხანარევი მიწაა. ადრევე დანგრეული და გაძარცული სამარხის ნაშთი ხომ არ არის? ყოველ შემთხვევაში ჩემი შთაბეჭდილება ასეთი იყო. ეს აზრი თითქოს იმანაც დამიდასტურა, რომ ქვაყრილის თავზე მცირე ზომის ოქროს მძივსაკიდიც იქნა ნაპოვნი, მაგრამ ჩემი წინასწარული შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდა: სამარხს ჩვენამდე არავინ შეხებია!

დაიწყო სამარხის გაწმენდა... იმავე საღამოს კოკისპირული წვიმა წამოვიდა. სასწრაფოდ გადავხურეთ სამარხი ფანერითა და ტოლით. წვიმის წყალს სადინარი ღარები გავუკეთეთ, რომ სამარხში არ ჩასულიყო. რამდენიმე დღის მანძილზე წვიმდა ან საწვიმრად ემზადებოდა. ამიტომაც ვერ ვბედავდით სამარხის გაწმენდას.

მხოლოდ 26 ივლისს გამოიდარა. დილის 6 საათზე ნაქალაქარზე ისევ ბურუსი იდგა და ყველაფერი ნისლში იყო გახვეული. შემდეგ ნისლი თანდათან გაიფანტა, გამოჩნდა მესხეთის ქედი, მზემ გამოიხედა. 8 საათიდან თითქოს აღარაფერი გვიშლიდა სამუშაოს გაგრძელებას, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ამინდი კვლავ შეიცვალა: ამოვარდა ქარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მუშაობას მაინც განვაგრძობდით. ირგვლივ კი მიწის კორიანტელი იდგა. მუშებსა და სამარხის გაწმენდაზე მომუშავე არქეოლოგებს ძალზე უმძიმდათ მუშაობა, ამინდი უარესდებოდა... ისევ გადავხურეთ სამარხი... საღამოთი კი ქარი ჩადგა.

27 ივლისიდან კვლავ განვაახლეთ მუშაობა. თანდათანობით ისახებოდა სამარხი, რომელიც წარჩინებული კოლხი მეომრისა აღმოჩნდა. გამოვიძახეთ კინოოპერატორი ...ელიაშვილი, რომელმაც ფერად ფირზე გადაიღო იგი. ფოტოგადაღებას მარლენ ავალიანი აწარმოებდა, გრაფიკულ ფიქსაციას — ბაადურ მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარხში გამოჩენილი ლითონის ნივთები სასწრაფოდ გამაგრებას მოითხოვდა. საამისოდ თბილისიდან ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის გამგე რუსუდან ბახტაძე. სამარხში ნაპოვნი ჩონჩხები შეისწავლა ინსტიტუტიდან საგანგებოდ მოვლინებულმა ანთროპოლოგმა დოდო ჯავახიშვილმა. ვფიქრობ, ყველაფერი ვიღონეთ სამარხის ზუსტი ფიქსაციისა და იქ აღმოჩენილი ნივთების გადასარჩენად. რა თქმა უნდა, ყველა არქეოლოგიური ნაპოვნი მოითხოვს ასეთსავე გულდასმით ფიქსაციას, მაგრამ ეს სამარხი მაინც ხომ განსაკუთრებული იყო.

სამარხი ორმო, 6 მეტრი სიგრძისა და 2 მეტრი სიგანისა, კლდოვან დედაქანში იყო ამოკვეთილი. მეომარი, ალბათ, ხის სარკოფაგში იყო ჩასვენებული (ამას მოწმობდა იქვე ნაპოვნი რკინის ლურსმნები, რომლითაც სარკოფაგი იქნებოდა შეკრული). სარკოფაგს ზემოდან თირის მიწა და რიყის ქვაყრილი ფარავდა. ახლა ცხადი გახდა, თუ რატომ იყო ამ ადგილზე კულტურული ფენა დაზიანებული: სამარხის გასამართავად კულტურული ფენა თირამდე ჩაუჭრიათ და მიწა ზემოთ ამოუყრიათ. დედაქანზე დაფენილი წინარე ანტიკური ხანის ნაშთები ამიტომაც მაღლა მოექცა იმავე დონეზე, რომელიც ძვ. წ. VI — V საუკუნის მასალას შეიცავდა. სამარხის ქვაყრილზე დაფენილ მიწაში მრავლად ჩნდებოდა საქონლისა და ფრინველის ძვლებიც, განსვენებულისათვის შესრულებული აღაპის მაუწყებელი.

მეომრის სამარხი სამი მხრიდან შემორაგული იყო რკინის შუბისპირებითა და ხელშუბებით, რომელთა საერთო რაო-

დენობა 50-ს აღწევს.[1] მეომრის ფერხთით რკინის ფარი დდო, თან ჩაუტანებიათ აგრეთვე რკინის მახვილი, [illegible] ხოლო უთვალავი რაოდენობით — რკინისა [illegible] ისრისპირები. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს რკინის იარაღი ძალზე ძვირად ფასობდა და კერძო საკუთრების საგანს წარმოადგენდა, ადვილად დავრწმუნდებით სამარხში დაკრძალული მეომრის წარჩინებულობასა და მის უთუოდ ძალიან მაღალ რანგში... ამას იქვე სამარხში მრავლად ნაპოვნი სხვა ნივთებიც თვალსაჩინოდ გვიდასტურებს.

მეომრის ქვედა კიდურებს მოსავდა ძვირფასი ბრინჯაოს აბჯარი, რომელიც ჰგავს ძვ. წ. V — II საუკუნეებში არა მარტო საბერძნეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ გავრცელებულ ბერძნულ ფეხის აბჯარს, ე. წ. კნემიდებს. ყურადსაღებია, რომ კოლხი მეომრის ფეხის აბჯარი ორწილადი იყო და იცავდა ფეხს, როგორც მუხლს ქვემოთ, ასევე მუხლს ზემოთ, რაც საკმაოდ იშვიათია თვით ბერძენთა შორის. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ფეხის მთლიანად, ორწილადი აბჯრით დაფარვა წესად იყო შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარშიც. ამას მოწმობს ძველ ქართულ წყაროებში შემონახული ტერმინები: „საბარკული“ (რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიება) და „საწვივე“.

მეომრისათვის საიქიო ცხოვრებისათვის გაუტანებიათ მდიდრული თიხისა და ლითონის ჭურჭლეულიც: ბრინჯაოს ორნამენტირებული ლანგარი, კოლხური ჯამი, ალმოსაელურ-ქართული ტიპის წითლად მოხატული დოქი, ბერძნული (ატიკური) შავლაკიანი საღვინე თასი და ამფორა... მეომარს ალმოაჩნდა ოქროს მონეტაც, რომელიც ალექსანდრე მაკე-

---

[1] ამ დროს გაგვახსენდა ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ერთი ცნობა, რომელსაც ქართველ ტომებს უკავშირებენ: „...იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, ასეთი წესია: იმდენი სარი უნდა დაირჭოს კაცის საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული“. არისტოტელეს ამ ცნობის ქართულად მთარგმნელისა და კომენტატორის პროფ. თ. ყაუხჩიშვილის მიერ დასახელებული ეთნოგრაფიული პარალელებიდან ჩანს, რომ კავკასიის მთიანეთში (მათ შორის, ქართველ ტომებში) მტრის მოკვლა მართლაც აღინიშნებოდა გარკვეული წესით (ზოგჯერ წითელი ხელსახოცების ტარებით, სხვა შემთხვევაში — კვერთხზე ჭდეების დადებით და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონელის მამის, ფილიპე II მაკედონელის მიერაა მოჭრილი.

საკმაოდ მდიდრულია მეომრის სამკაულიც. მას თავს მფლობელი სავდა მდიდრული თავსაბურავი, რომელიც ოქროს ფირფიტებისგანაა შედგენილი. ესაა ცხენოსნისა და მასზე მირჩილული სხვადასხვა ზომის ორი ფრინველის დაცვარული გამოსახულებანი (სულ 15-ია ასეთი ნაპოვნი და ყველა თავის ქალის არეში).

მეომარს ჰქონდა ერთადერთი ჭვირთულბურთულიანი ოქროს საყურე, როგორიც ფართოდ იყო კოლხეთში გავრცელებული ძვ. წ. V — IV საუკუნეებში. ყელსაბამი მთვარისებური ოქროს საკიდებისა და მძივებისაგან იყო შედგენილი. წელთან ნაპოვნი ოქროსთავიანი სალესი ქვა კი ყუნწით უნდა ჰქონოდა სარტყელზე შებმული.

სამი წყვილი სამაჯური მეომარს მაჯებზე ჰქონდა გაკეთებული. ერთი წყვილი ოქროსია, დაკბილული და იმეორებს კოლხეთსა და საერთოდ კავკასიაში გავრცელებულ სამაჯურებს, ხოლო მეომრის ცხოველისთავიანი ვერცხლის სამაჯურები სავსებით ანალოგიურია იმ სამაჯურებისა, რომლებიც ძვ. წ. IV ს. მთელ საქართველოში ფართოდ იყო ცნობილი.

ხელის თითებზე მეომარს ოთხი ბეჭედი ეკეთა, მათგან ორი ოქროსი. ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც საბეჭდავს წარმოადგენს, ტახტზე მჯდომი ქალღვთაების გამოსახულებაა და ბერძნული ასოებით ამოჭრილია საკუთარი სახელი — „დედატოს". ეს ბეჭედი საგანგებოდ შეისწავლა ანტიკური გლიპტიკის სპეციალისტმა მარგ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც დაასკვნა, რომ „დედატოს" ბეჭდის მფლობელის სახელია და რომ ბეჭედი მისი მფლობელის ინსიგნიაა — ოფიციალური საჭიროებისათვის განკუთვნილი უფლებრივი საბეჭდავი. ასე ძვიტყვეთ ჩვენ ამ სამარხში დაკრძალული პირის საკუთარი სახელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი თითქოს ბერძნულად ჟღერს, ვერ ვნახე მე ის დღეს ცნობილ ბერძენთა საკუთარი სახელების მრავალრიცხოვან ლექსიკონსა და კორპუსებში...

ჩონჩხი, ანთროპოლოგთა განსაზღვრით, 35-40 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცის უნდა ყოფილიყო. მისი სიმაღლე 170 სმ იქნებოდა.

მეომრის ფერხთით კიდევ ორი ჩონჩხი აღმოჩენილა: ერთი მამაკაცისა და ერთი ქალისა, რომელთაც თითქმის არავითარი სამკაული არ გააჩნდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალის ყელზე პასტის უსახურ მძივებსა და მაჯაზე შებმულ რკინის რგოლს, ჩვენ რომ „ბორკილი" შევარქვით. ქალი და კაცი ძაღლის ჩონჩხზე იყვნენ „დასვენებული". საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ წარჩინებული მეომრის მსახურნი თუ ტყვე-მონები. როგორც ჩანს, ისინი „იმ ქვეყანაში" სამსახურად გაატანეს „ძლიერსა ამა ქვეყნისასა". მათთან ერთად ღვინო თუ სხვა სასმელიც არ მოუკლიათ დიდი მეომრისათვის: კუთხეში იდგა ხუთი ამფორა. მათგან ორი კოლხურია, ერთი — სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქის სინოპეს ნაწარმია, ხოლო ორის წარმომავლობა უცნობია (სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადმოჩენის ადგილის მიხედვით მას სოლოხა I ტიპის ამფორას უწოდებენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ისინი ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ კუნძულზე მზადდებოდა, სხვები კი თრაკიულ წარმომავლობას ვარაუდობენ).

იმ ადგილზე, სადაც „მონები" იყვნენ დაკრძალული, ყურადღება მიიქცია აგრეთვე ხის ბორბლის ანაბეჭდმა, რომლის ფოტოფიქსაცია მოხერხდა მხოლოდ. საფიქრებელია, რომ წარჩინებული მეომარი მოასვენეს ხის ეტლით, რომელიც დაკრძალვის რიტუალის დამთავრების შემდეგ იქვე დაამსხვრიეს.

წარჩინებული მეომრის სამარხი საკმაოდ ზუსტად თარიღდება: ფილიპე II მაკედონელის ოქროს მონეტა (ძვ. წ. 359-336), ბერძნული შავლაკიანი თასი და ამფორები მიუთითებენ, რომ მეომარი დაკრძალულია ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში.

ეს სამარხი მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი — ქართულ არქეოლოგიაში დღეისათვის ის ერთადერთია ასე კარგად შემონახული და მრავალი კომპონენტით ასე კარგად დათარიღებული. უნიკალურია ის რკინის იარაღის არაჩვეულებრივი სიმრავლითაც. ამ მხრივ მას იარაღის სიმრავ-

ლით ბსოფლიოში ცნობილი სკვითური სამარხებიც ვერ შე-
ედრებიან (ბერძენთა სამარხებში კი იარაღის ჩატანება საკ-
მაოდ იშვიათია). პირველი შემთხვევაა საქართველოში ბრონზის
ჯაოს ფეხის აბჯრის აღმოჩენაც, ხოლო „საბარკინოს“ ... საერთოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ სამარხმა საინტერესო და ახალი ინფორმაცია მოგვცა აგრეთვე კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისითაც. ატიკური შავლაკიანი ჯამის აღმოჩენამ დაგვიდასტურა, რომ ათენის სავაჭრო ურთიერთობა კოლხეთთან ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებშიც გრძელდება. ხოლო სინოპური ამფორების აღმოჩენამ გვაუწყა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უდიდესი ბერძნული ქალაქის სინოპეს კოლხეთთან სავაჭრო აქტივობაზე უკვე ძვ. წ. IV საუკუნიდან. კიდევ მეტი, იქვე ნაპოვნი კოლხური ამფორები სინოპური ამფორების მიბაძვითაა დამზადებული და თვალსაჩინო მოწმობაა სინოპური კერამიკული წარმოების გავლენისა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდება მომდევნო საუკუნეებში.

კიდევ უფრო საყურადღებოა სხვა აღმოჩენაც, კერძოდ, ლია ფერის თიხისაგან დამზადებული მსხლისებურტანიანი ცალყურა დოქი, რომელიც წითელი ფერის სამკუთხედებითა და სარტყლებითაა მორთული. ასეთი დოქები და მათი ფრაგმენტები მომდევნო წლებშიც აღმოჩნდება ვანში ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ სამარხსა და კულტურულ ფენებში. ასეთი დოქები კოლხეთის სხვა პუნქტებში ვანის დასავლეთით ჯერ ნაპოვნი არაა, მაგრამ აღმოჩენილია საჩხერეს მახლობლად ს. ითხვისში. ასეთი ტიპის კერამიკა კი მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, ძველი იბერიის ტერიტორიაზე და საფიქრებელია, რომ სწორედ აქედან გავრცელდა იგი მის მოსაზღვრე კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში. უაღრესად საყურადღებოა, რომ ჭურჭლის ეს ფორმა, მაგრამ უკვე შავად გამომწვარი, კოლხეთის აღმოსავლეთი რაიონების კერამიკის ერთ-ერთი წამყვანი ტიპი გახდება ძვ. წ. IV — III საუკუნეებში. ასე მაგ. ქვევრსამარხებში, რომელთა გავრცელება კოლხეთში, ჩემი აზრით,

ამ ტერიტორიაზე აღმოსავლურ-ქართული ტომების განსახლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ სამარხის აღმოჩენის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა მაინც ისაა, რომ აქ ვხედავთ ჩვენ სრულიად ახალსა და მანამდე უცნობ წესებს დაკრძალვის რიტუალში, თუმცა საკმაოდაა კიდევ შემორჩენილი ძველი კოლხური ტრადიციებიც.

მაგალითად, ტრადიციულია სამარხის აღნაგობა: კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ორმოში ჩადგმული ხის სარკოფაგი, რომელიც ზემოდან ქვაყრილითაა დაფარული. ასევე ძვ. წ. VI — V საუკუნეების ვანისა და აგრეთვე კოლხეთის სხვა ადგილებში ნაპოვნი სამარხებიც. ტრადიციული კოლხურია მეომრის სამკაულიც (განსაკუთრებით თავსაბურავი, სამაჯურები, საყურე). მასთან ერთად ჩანს მისწრაფება ბერძნული წეს-ჩვეულებებისადმი. ამას მოწმობს ბერძნულწარწერიანი ბეჭედი, ბერძნული ტიპის ფეხის აბჯარი („საწვიეე"), უფრო თვალსაჩინოდ კი ბერძნული ოქროს მონეტა, რომელიც, ძველ ელინთა წარმოდგენით, მიცვალებულს იმ ქვეყანაში გამცილებელი მოხუცი ქარონისათვის უნდა მიეცა გასამრჯელოდ. ბერძნული ჩვევებისაკენ მისწრაფება ჩანს საიქიოდ გატანებულ ზოგიერთ ნივთში (ბერძნული შავლაკიანი საღვინე თასი). თუ ბერძნულ სუფრის ჭურჭელსა და ნივთებს წარჩინებულ კოლხთა სამარხებში ძვ. წ. V საუკუნეშიც ვხვდებით, სამაგიეროდ, თითქოს ახალი მომენტია ამფორების ჩატანება...

რამდენადმე უცნაური, უჩვეულო და მოულოდნელი ჩანს ძვ. წ. IV საუკუნის კოლხეთისათვის ტყვე-მონებისა თუ მსახურთა იძულებით ჩატანება სამარხში. მაგრამ ის ჩვეულებრივია და მრავალ ანალოგიას პოულობს სკვითურ-ირანულ სამყაროში. სკვითებში იყო წესად აგრეთვე დასაკრძალავი ეტლის დამსხვრევაც...

ამრიგად, წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში ტრადიციულ კომპონენტებთან ერთად ვხედავთ ზოგიერთ ახალ წესსაც, რომელთა გავრცელება აიხსნება ბერძნულ და სკვითურ-ირანულ სამყაროსთან კონტაქტებით. ყოველგვარი უცხოურისაკენ მისწრაფება კი ყოველთვის და ყველგან დამახა-

სიათებელია საზოგადოების მაღალი ფენებისათვის. ამ თვალსაზრისით ეს ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგიდან დათარიღებული მრავალმხრივ საინტერესო სამარხი ფიქლის პირველი მაცნეა იმ ახალი და რთული მოვლენებისა, რომელნიც სულ მალე, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან სწრაფად იჩენენ თავს ძველი კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში. ამ დროიდან იწყება სწორედ ახალი, დიდი და საინტერესო ეპოქა მსოფლიო კულტურის ისტორიაში — ელინიზმის ეპოქა, რომელიც მოიცავს პერიოდს — ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ ეპოქისათვისაა სწორედ დამახასიათებელი ელინური და აღმოსავლური ელემენტების შერწყმა და ურთიერთზემოქმედება ეკონომიკურ წყობაში, სოციალურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში, კულტურასა და იდეოლოგიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრომრავალი კოლხეთი

„ოქრომრავალი კოლხების მეუფე
აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ
გააპატიოსნა“

(მეფე აიეტის ეპიტაფიიდან)

ეს ეპიტაფია, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეში უცნობმა ბერძენმა ავტორმა შეადგინა (დიდხანს მის ავტორად შეცდომით ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე იყო მიჩნეული), ჩვენთვის ამჯერად იმითაა საინტერესო, რომ აქ კოლხეთი მოიხსენიება იმავე ეპითეტით — „ოქრომრავალი“, როგორც მხოლოდ ძველ სამყაროში თავისი სიმდიდრით განთქმული ქალაქები მიკენი, სარდი და ბაბილონი.

კოლხეთის ოქრომრავლობას სხვა ბერძენი ავტორებიც ხაზგასმით აღნიშნავენ. ასე, მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“ კოლხეთის მეფე აიეტი ატარებს ოქროს მუზარადს და ცხოვრობს ოქროს კოშკში. ცნობილი რომაელი მწერალი და მეცნიერი — ენციკლოპედისტი გაიუს პლინიუსი უფროსი მოგვითხრობს მეფე აიეტის შთამომავალზე სავლაკზე, რომელსაც „ოქროს საწმისებით სა-

ხელგანთქმულ თავის სამეფოში აურაცხელი ოქრო და ვერცხლი უპოვია“.

ოქროს საწმისი კი რაღაა, რომელიც კოლხეთში ეძებდა და ასე აღელვებდა ძველ ბერძენთა გონებას? [illegible] წარმოდგენებს? ზოგიერთი ბერძენი ავტორის ცნობით „კოლხეთში დაცული ტყავი ნაქმდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით...“ სხვები კი ირწმუნებოდნენ, რომ „ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცო, ამბობენ, და ეს ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“...

არგონავტების ლაშქრობა — ეს იყო ლაშქრობა ოქროსათვის! ასე ფიქრობდნენ ძველი ბერძნები. „კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის იმ მიზეზს, რისთვისაც განხორციელდა არგონავტების ლაშქრობა“ — წერდა ძვ. წ. I საუკუნეში ძველი სამყაროს უდიდესი გეოგრაფოსი სტრაბონი. სწორედ მასთან ვხვდებით ჩვენ პირველად ცნობას კოლხეთის მდინარეებში ოქროს მოპოვების შესახებ ცხვრის ტყავების მეშვეობით: „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითიც ოქროს საწმისზე“, ხოლო ახ. წ. II საუკუნის მწერლის აპიანეს ცნობით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“. უაღრესად საინტერესოა და ფრიად მნიშვნელოვანი, რომ ოქროს მოპოვების ბერძენ მწერალთა მიერ ზემოაღწერილი წესი, თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან ოლქებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის

ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტანა. ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა. ტყავი ოქროს კენჭებს მოიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენჭებს გადმოჰყრიდნენ".

ძნელია ალბათ მოიძებნოს სხვა უფრო მჭევრმეტყველი დადასტურება ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომელნიც ცდილობდნენ განემარტათ ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობის რეალური საფუძველი.

და აი კოლხეთის ოქრომრავლობა ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ სწორედ ვანში დადასტურდა. ამ წიგნის დასაწყისში მე უკვე ვახსენე ოქროს ნივთების ხშირი აღმოჩენები ვანში. აგრეთვე 1961 წელს გათხრილი მდიდრული ოქროს სამარხი, აგრე მრავლად რომ შეიცავდა ოქროს სამკაულებს, მაგრამ 1969 წლის ერთმა მონაპოვარმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

საექსპედიციო სეზონის დამთავრებამდე კიდევ თითქმის ერთი თვე რჩებოდა. ნაქალაქარზე ერთ ხანს სიწყნარე იყო, მუშაობა ჩვეულებრივი რიტმით გრძელდებოდა...

გრძელდებოდა გათხრები ცენტრალური ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც, ქსენია გიორგაძის ნავენახარში... ექსპედიციის ახალგაზრდა თანამშრომლები, ასპირანტი ზაურ აგრბა და ახალკურსდამთავრებულები (ახლა უკვე მეცნიერებათა კანდიდატები) მარინე ფირცხალავა და ომარ ლანჩავა მუშაობდნენ ამ უბანზე. ელინისტური ხანის კედლების ქვეშ, აქაც სილრმეში ძვ. წ. VI — V საუკუნეებისა და უფრო ადრინდელი ნაშთების შემცველი მძლავრი კულტურული ფენები გრძელდებოდა. მრავლად ჩნდებოდა ხის წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ნატეხები (უძველეს საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები), მეტად მრავალფეროვანი და ნატიფი კოლხური კერამიკა: ქვევრებისა და დერგების, ნაირსახოვანი სასმისების, ჯამებისა და ქოთნების ნატეხები. თითო-ოროლა იმპორტული, ბერძნული თიხის ჭურჭლის ნატეხი ახლდა ხოლმე უამრავი რაოდენობით ნაპოვნ კოლხურ

ჭურჭელს. მაგრამ ერთი ძალიან მცირე ზომის ფრაგმენტია მეტად საინტერესო: იგი კარგად განლექილ [illegible] გამომწვარი, თხელკეციანია, ხოლო თეთრი [illegible] ზე მუქი წითელი ფერის საღებავით გამოყვანილი მცენარეული და გეომეტრიული სახეები (ლოტოსის ყვავილი, მეანდრი) შემორჩენია. ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში ასეთ თასებს ამზადებდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულ ქიოსზე. ეს ფრაგმენტი, რამდენადაც ვიცი, ჯერჯერობით ყველაზე უფრო ძველია დღემდე კოლხეთში ნაპოვნ ბერძნულ თიხის ჭურჭელთა შორის...

სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს ფრაგმენტი ვიპოვეთ, 13 აგვისტოს გამოჩნდა რიყის ქვაყრილი: ჩნდებოდა ახალი სამარხი. მოიხაზა სამარხი ორმოს კონტურიც: 3 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიგანის. თანდათანობით მოცილდა მიწა ქვაყრილს. კარგად ჩანდა, რომ სამარხში ოდესღაც ხის სარკოფაგი იდგა, დროთა განმავლობაში ხე დაიშალა და ამიტომ ქვაყრილი შუაში ორფერად იყო ჩაწოლილი. ერთი რამ იყო მხოლოდ დამაფიქრებელი: ერთ ადგილას მთელ სიგრძეზე ქვაყრილი გაჭრილი იყო და ჩანდა კლდოვანი დედაქანი, რომელშიც ნიადაგში გაჟონილი წვიმის წყალი ჩამდგარიყო. აქედან ამოყრილი რიყის ქვები გვერდით გაჭრილ თხრილებში იყო გაბნეული... ჩანს, ამ ქვაყრილს ადრე (ყოველ შემთხვევაში ვენახის გაშენებამდე) მოხალისე „არქეოლოგების“ ყურადღებაც მიუქცევია. მათ გაუჭრიათ მთელ სიგრძეზე 15-ოდე სანტიმეტრის „თხრილი“. რომ ვერაფერი უპოვიათ, თავი მიუნებებიათ. მხოლოდ შემდეგ გამოირკვა, რომ ამ სამარხში — ცხენის ჩონჩხსა და ხის სარკოფაგს შორის ეს ერთადერთი ცარიელი ადგილი იყო დარჩენილი. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედი ეწეოდა ამ სამარხს, რომ ჩვენს წინამორბედებს ოდნავ გვერდით (თუნდაც ათიოდე სანტიმეტრით) გაეჭრათ „საძიებო“ თხრილი...

ყოველმხრივი ფიქსაციის შემდეგ, დავიწყეთ ქვაყრილის აღება. მაგრამ ნაწვიმარს ისე ღრმად გაეჟონა, რომ ატალახებული მიწა ცომივით იზილებოდა და რიყის ქვას ოქროს ღილაკებიც ყვებოდა თან. გადავწყვიტეთ ორი დღით მაინც გა-

ELIBRARY.GE

დაგვედო ქვაყრილის აღება, რომ მიწა გამომშრალიყო. ერთი მიზანი გვქონდა: სამარხი ისე უნდა გაწმენდილიყო, რომ შეძლებისდაგვარად ყველაფერი პირვანდელ მდგომარეობაში დარჩენილიყო გრაფიკული და დოკუმენტური ფოტოფიქსაციისათვის. მესამე დღეს, როდესაც ქვაყრილის აღება უნდა გაგვეახლებინა, დილიდანვე ძლიერი ქარი ამოვარდა. ეს უკვე მერამდენედ ასეთ საპასუხისმგებლო დღეებში! საერთოდ საოცარია პირდაპირ, თითქმის ყოველთვის, როდესაც ნაქალაქარზე რაიმე განსაკუთრებული ჩნდება, ან კოკისპირული წვიმა იწყება ან კიდევ ძლიერი ქარი ამოიჭრება ხოლმე... მაგრამ ამჯერად ეს ბუნების თითქოს უკანასკნელი „წინააღმდეგობა" იყო. ამის შემდეგ მთელი ორი კვირის მანძილზე ნათელი, მზიანი დღეები იდგა, თუმც მეტისმეტად ცხელოდა...

ძლიერმა ქარმა და სიცხემ ისე გამოაშრო მიწა, რომ ამჯერად არქეოლოგებს, როგორც იტყვიან, კონტრილეთის ჩატარება მოუხდათ. სამარხის გაწმენდაზე მომუშავე თანამშრომლები ახლა მიწას ბამბით ასველებდნენ და ისე ამზეურებდნენ ოქროს და ვერცხლის ნივთებს, თანდათან რომ გასაოცარი სიმრავლით ჩნდებოდა ამ სამარხში.

ისევ აფორიაქდა ექსპედიცია. კვლავინდებურად დაგვეხმარნენ რაიონის ხელმძღვანელები: ელექტროგაყვანილობის მუშაკებს სამარხთან ახლოს მძლავრი პროჟექტორის დადგმა დაავალეს, მილიციას — საგანგებო დაცვის გამოყოფა. ბზვანის კოლმეურნეობამ 12 მეტრი სიგრძის ახალთახალი ბრეზენტი გვათხოვა, რომ მოსალოდნელი ავდრისაგან დაგვეცვა სამარხი. ისევ ახმაურდა ექსპედიციის ბაზაზე ტელეფონი... ვსარგებლობ შემთხვევით და გულითადი მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ვანის სატელეფონო კვანძის მუშაკები, რომელთაც იმ დღეებში უზრუნველყვეს ჩვენი შეუფერხებელი სატელეფონო კავშირი თბილისთან... და ისევ მოუხდა ჩამოსვლა კინოოპერატორს ტარიელ ელიაშვილს, ისევ მოვიხმეთ საშველად ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის გამგე რუსუდან ბახტაძე, რომლის ღვაწლი ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთების გადარჩენასა და უდანაკარგოდ აღებაში განსაკუთრებულია. ინსტიტუტიდან სასწრაფოდ მი-

ვიღეთ ახალი ფოტოაპარატურა, ფირები, ხელსაწყოები, ხსნარები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ორი კვირის მანძილზე წმენდნენ [illegible] ექსპედიციის თანამშრომლები ცაცა თოლორდავა და ანა ჭყონია, ნენა გიგოლაშვილი და დარეჯან კაჭარავა, თამარ ჯავახიშვილი და ნანა მათიაშვილი. მაღალი პროფესიული ოსტატობით ჩატარდა პრეპარაცია, ადგილიდან არ დაძრულა თითქმის არც ერთი ნივთი, დიდი თუ პატარა. მათი რაოდენობა კი სამი ათასს აღემატებოდა... ამ ხნის მანძილზე თითოეული ნივთის ადგილსამყოფელს პედანტური სიზუსტით აღნიშნავდა მხატვარი-გრაფიკოსი ბაადურ მჭედლიშვილი. დილით ადრე იწყებდა გადაღებას მარლენ ავალიანი. შავ-თეთრსა და ფერად ფირზე აღიბეჭდებოდა თითოეული დეტალი. მერმე იქვე ამჟღავნებდა ფირებს ეს საოცრად გამრჯე ყმაწვილი კაცი, ბეჭდავდა დიაპოზიტივებს და ჩვენ გვიან ღამით ექსპედიციის სამუშაო ოთახში ეკრანზეც ვადევნებდით თვალს გათხრის პროცესს და როდესაც ვრწმუნდებოდით, რომ ფიქსაციის მხრივ ყველაფერი რიგზეა, კვლავ თამამად ვაგრძელებდით მუშაობას. შესაძლებელი გახდა დაკრძალვის წესისა და სამკაულის განლაგების ზუსტად აღდგენა.

3 სექტემბრისათვის სამარხი მზად იყო ასალაგებლად. მაგრამ ამ დროს სამწუხარო ცნობა მივიღეთ: გარდაიცვალა ნინო ხოშტარია. ექსპედიციის თანამშრომელთა უფროსი თაობა, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ნინო ხოშტარიასთან, თბილისს გაემგზავრა, რომ უკანასკნელი პატივი ეცა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ხელმძღვანელისათვის.

6 სექტემბერს დავიწყეთ სამარხეული ნივთების ალაგება, რაც კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

ახლა კი შევეცდები დაწვრილებით მოგითხროთ თვით სამარხისა და მასში ნაპოვნი ნივთების შესახებ.

ეს სამარხი, ისევე როგორც კოლხი მეომრისა, კლდოვან დედაქანში — თირშია ამოკვეთილი. სამარხი ორმოს ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი, რომელსაც რკინის ლაგმისა და აკაზმულობის სხვა ნაშთები შემორჩენოდა.

სამარხში ცხენის ჩატანება საკმაოდ გავრცელებული წესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ძველ საქართველოში უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან. ძვ. წ. V-IV საუკუნისათვის კი ეს წესი დასტურდება აგრეთვე ითხვისსა და ახალგორში. ეს ტრადიცია გრძელდება შემდგომ ხანაშიც და თავს იჩენს ახ. წ. I — II საუკუნეებშიც (კლდეეთისა და ბორის სამაროვნები, მცხეთის სადგურის აკლდამა).

თიბში, ჩანს, ჩადგმული იყო ხის სარკოფაგი, რომლისგანაც მხოლოდ რკინის საკმაოდ დიდ ზომის ლურსმნები იყო შემორჩენილი. მათი განლაგება მიუთითებდა, რომ სარკოფაგის სიგრძე იყო 3,40 მეტრი, სიგანე — 2,80 მ, ხოლო სიმაღლე დახლოებით 1,5 მეტრი.

სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა. მათგან ერთი — ქალისა, გასაოცარი ბრწყინვალებით იყო დაკრძალული.

თავთან, სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კედელთან, ელაგა ვერცხლის, ბრინჯაოს, ფერადი მინისა და თიხის ჭურჭლები. ისინი გარკვეული წესითა და დანიშნულებით იყო დალაგებული. მათგან ერთი ნაწილი (11 ნივთი) ბერძნულია და მათი აღმოჩენა ამ სამარხში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: ისინი, ერთი მხრივ, მიუთითებენ ძველი კოლხეთის ცხოველ ურთიერთობაზე ანტიკურ ცივილიზაციასთან, მეორე მხრივ, წარმოადგენენ ჩვენს უმთავრეს დასაყრდენს ამ სამარხის საკმაოდ ზუსტი დათარიღებისათვის.

პირველ რიგში (თვით ნივთების განლაგების მიხედვით) აღსანიშნავია ბრინჯაოს სამტუჩა სურა (ე. წ. ოინოხოია) და ტაფისებური ჭურჭელი, რომელსაც პატერას უწოდებენ. ეს ჭურჭლები ხელის რიტუალური დაბანისათვის იყო განკუთვნილი (ასეთი ჭურჭლები, ოღონდ რომაული სამყაროდან შემოტანილი, ახ. წ. I — II საუკუნეებშიც იყო საქართველოში გავრცელებული). განსაკუთრებით საინტერესოა პატერა, რომლის ტარი შიშველი ჭაბუკისა და ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული. ზუსტად ასეთი ჭურჭლები ათენში ძვ. წ. 500 — 480 წლებს შორის მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა მაშინდელი მსოფლიოს სხვა მაღალ კულტურულ ქვეყნებში.

ბერძნულია, თავისი მხატვრული სტილით, იქვე ნაპოვნი ვერცხლის სარწყულა, რომელსაც ყურს ქვემოთ ამკობს

ფრთოსანი ლომისა და ორ-ორი ფეხებმოკეცილი ვერძის სკულპტურული გამოსახულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიკალურია ვერცხლის მცირე ზომის სანელსაცხებლე სფეროსებური ჭურჭელი, რომელსაც ატიკური ტიპის არიბალოსს უწოდებენ. ასეთი ფორმის სანელსაცხებლეები ათენში ძვ. წ. VI — V საუკუნეებში მზადდებოდა. სამარხში ნაპოვნი არიბალოსის ყური გედის გამოსახულებებს წარმოადგენს, მუცელს კი გასდევს გრავირებული ფრიზი, რომელზედაც ხელაწეული სფინქსების მსვლელობაა გამოსახული. ბერძნულ მითოლოგიაში (ეგვიპტურისაგან განსხვავებით) სფინქსი წარმოდგენილია ქალის თავიან და ლომის ტანიან ფანტასტურ არსებად. ჩვენ ჭურჭელზე გამოსახულ სფინქსს მოკლედ შეჭრილი, შუბლზე აქოჩრილი თმა აქვს და წარმოსახავს სფინქსის იმ სახეს, რომელიც ბერძნულ ხელოვნებაში ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედში ათენში მოღვაწე გამოჩენილმა კერამიკოსმა-ფერმწერმა სოტადმა დაამკვიდრა.

ამ ბერძნული ჭურჭლის გვერდით იდო მცირე ზომის კოლხური სიტულა (ქვაბისებური ჭურჭელი), რომლის სახურავზე სხვადასხვა ცხოველთა გრავირებული გამოსახულებებია (ლომი, ჯიხვი, ტახი, მამალი). თავისი სტილით ეს გამოსახულებანი მოგვაგონებენ ძვ. წ. XII—VIII საუკუნეების კოლხურ ბრინჯაოს ცულებზე წარმოდგენილ ცხოველებს და მიუთითებენ ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. VI — V საუკუნეების) კოლხური მხატვრული კულტურის ადგილობრივ ძირძველ ტრადიციებზე.

ამ ჭურჭელს ისევ ბერძნული მაღალფეხიანი ვერცხლის ორყურა თასები (ე. წ. კილიკები) მოსდევდა. ისინიც ათენის სახელოსნოშია დამზადებული ძვ. წ. V საუკუნის 70—50-იან წლებში. იმავე ხანისაა და ათენელ მეთუნეთა ნახელავია აგრეთვე მშვენიერი შავი ლაკით დაფარული მაღალფეხიანი კილიკი და შავი ფერის სარტყლებით მორთული ორყურა სანელსაცხებლე ჭურჭელიც. იქვე ახლოს ელაგა ფერადა მინის სანელსაცხებლე თასებიც, ერთი — იისფერია, ხოლო მეორე — ცისფერი, თეთრი და ყვითელი ფერის ტალღისებური სარტყლებით შემკული. ასეთ მინას ფინიკიურს უწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებენ, თუმცა ამ ჭურჭლების დასამზადებელ სახელოსნოებს ეგვიპტეში ვარაუდობენ. მაშასადამე უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი სულ 11 ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი, მაგრამ მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

ამ ნივთების უმრავლესობა (11-დან 9 ნივთი) ათენის სახელოსნოების ნაწარმია და საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით — 70-იანსა და 50-იან წლებს შორის. მაშასადამე, სამარხი დაახლოებით ძვ. წ. V ს. შუა ხანებით უნდა დათარიღდეს.

ეს თარიღები ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობის ისტორიისათვისაა აგრეთვე მნიშვნელოვანი. ათენის სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა კოლხეთთან ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, მაგრამ მაშინ არ მიუღია ფართო მასშტაბი, V საუკუნის დასაწყისში კი საერთოდ შეწყდა, რადგან ბერძენ-ირანელთა ომების დროს შავი ზღვის სრუტეებს აქემენიდური ირანი დაეპატრონა. ძვ. წ. V საუკუნის 70-იან წლებში დამთავრდა ეს ხანგრძლივი ომი ათენის სახელმწიფოს გამარჯვებით და მაშინვე განახლდა მისი ურთიერთობაც შავი ზღვის სანაპიროებთან. ვანში ნაპოვნი ნივთები პირველი მაცნეა ამ ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისისა, რომელიც, ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებიდან მოკიდებული, ინტენსიურად გრძელდებოდა ძვ. წ. IV საუკუნის 30-იან წლებამდე: ამის მაუწყებელია კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში მრავლად ნაპოვნი, მაგრამ ათენის სახელოსნოებში დამზადებული ნაირსახოვანი ნატიფი თიხის ჭურჭელი.

წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩენილი მაღალმხატვრული ბერძნული ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხისა და ფერადი მინის ჭურჭლები კი მოწმობენ, რომ უკვე ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში მაინც ვანის ქალაქი წარმოადგენდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრს, სადაც თავს იყრიდა ბერძნული სამყაროდან შემოტანილი საგნების საუკეთესო ნიმუშები. მათგან ზოგიერთი იქნებ ბერძენ სოვდაგართა ძღვენსაც წარმოადგენდა — ადგილობრივ დიდკაცთა კეთილგანწყობის მოპოვებას რომ ისახავდა მიზნად.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კოლხურ თიხის ჯამებზე ელაგა საქონლისა და ფრინველის ძვლები, მიცვალებულთათვის „იმ ქვეყნად“ გატანებული საგზალის ნაშთები. „სატრაპეზოდ“ იყო განკუთვნილი აგრეთვე დიდი ზომის კოლხური ბრინჯაოს ქვაბები, ე. წ. სიტულები, რომლებიც სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ელაგა.

განსაკუთრებით ბრწყინვალეა წარჩინებული კოლხი ქალის სამკაული, თითქმის მთლიანად ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთები. ამასთან ყველა ისინი ადგილობრივ კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა დამზადებული!

მიცვალებულს თავს უმკობდა დიდებული ოქროს დიადემა, რომელზედაც ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებებია ამოტვიფრული. დიადემაზე ოქროსაგე სხივებიანი სასაფეთქლე რგოლები იყო უთუოდ დამაგრებული. კოლხ ქალს ჭვირულბურთულიანი და ცვარათი უხვად გაწყობილი მდიდრული ოქროს საყურეები და აგრეთვე თითქმის მთლიანად ოქროს მძივებისა და საკიდებისაგან შედგენილი რამდენიმე ყელსაბამი ჰქონია. ერთი ყელსაბამი შედგება მინიატურული ფრინველის გამოსახულებიანი საკიდებისა და წვრილი ტანდაღარული მძივებისაგან, მეორე — ვერძის თავისგამოსახულებიანი საკიდებისაგან, მესამე კი სიმინდის ტაროსებური გამოსახულებებისაგან. მეოთხე ყელსაბამი შედგენილია ოქროს დოლისებური საკიდებისაგან, რომელზედაც ასევე ოქროს წვრილი მარცვლებისაგან შედგენილი სხვადასხვა გეომეტრიული სახეებია გამოსახული. მათთან ერთად ყელსაბამში გამოყენებულია ოქროს ტანდაღარული მძივებისა და ქარვის სწორკუთხა მძივების მონაცვლეობა, რაც ალბათ თავის დროზე გარკვეულ პოლიქრომიულ ეფექტს ქმნიდა. საერთოდ, საფიქრებელია, რომ უთუოდ ოქროს საკიდებთან და მძივებთან იყო გამოყენებული მათთან ერთად მრავლად ნაპოვნი ფერადი პასტისა და სარდიონის მძივსაკიდები. განსაკუთრებით დიდებული ნაკეთებია კიდევ ერთი ყელსაბამი, რომელიც შედგენილია კუსგამოსახულებიანი ოქროს საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან. 2-3 სმ სიდიდის კუს ზურგი ოქროს უწვრილესი მარცვლებით გამოყვანილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკუთხა და რომბული ხაზებითაა მორთული, ხოლო თვალები პასტითაა ინკრუსტირებული...

წარჩინებულ კოლხ ქალს ტანისამოსი ყელთან ოქროს მშვილდსაკინძით ჰქონია შებნეული, ამასთან მისი სახელოებისა და მკერდის მოსართავად უხვად გამოუყენებიათ ვერცხლის მილაკები და სადა სფერული მძივები, ნაირსახოვანი საკიდები, რომელთაგან ზოგიერთი გაორმაგებულ პირამიდას წააგავს ან კიდევ ტანდაღარულ მძივს. გვხვდება ტახის მინიატურული გამოსახულებანიც. სარტყელს ამშვენებდა ორი ფრთაგაშლილი არწივის ოქროს გამოსახულება...

იდაყვს ქვემოთ ხელს უმკობდა ოქროს და მუქი წითელი ფერის სარდიონის მძივები, ხოლო მაჯაზე ეკეთა ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ვერძის თავის, ხოლო მეორე — ტახის სკულპტურული გამოსახულებებითაა დაბოლოებული.

მიცვალებულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებით და წვრილ მილაკზე ასხმული სამკუთხა ფირფიტებით იყო გაწყობილი.

მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი. ჩანს ისინი იდგა ხის სარეცლის ქვეშ, რომლის სიმძიმესაც დაუმსხვრევია. ახლა ეს ჭურჭლები მთლიანად აღდგენილია. მიცვალებულისათვის 20-მდე კოლხური თიხის შავპრიალა ჭურჭელი ჩაუტანებიათ. ყველა ისინი გამოირჩევა ნატიფი და მსუბუქი ფორმებით, ტრადიციული კოლხური გეომეტრიული ორნამენტით („საკარცხლით" გამოყვანილი ტალღისებური და რომბული სახეებით, ჭდეებით). მაინც საგანგებოდაა აღსანიშნავი ბიკონუსური ფორმის მეტად მოხდენილი ჭურჭლები, ყურმილიანი დოქები და სხვ. რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც მინდა ვთქვა, რომ საერთოდ ძვ. წ. VI — IV საუკუნეების კოლხური კერამიკა მეტად მრავალფეროვანია და ყურადღებას იქცევს ფორმების არაჩვეულებრივი სინატიფით. ამიტომ იყო, ალბათ, რომ იგი წარმატებით უწევდა მეტოქეობას იმდროინდელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ბერძნულ კერამიკას. უთუოდ მრავლისმეტყველია, რომ მაშინ, როდესაც ანტიკური სამყაროს პერიფერიებში (მაგალითად, სკვი-

თებში) ბერძნულ იმპორტულ კერამიკას გაბატონებული მდგომარეობა უკავია და თანდათანობით დევნის ადგილობრივ ნაწარმს, კოლხეთში, პირიქით, მისი ბიტუნი ადგილობრივთან შედარებით მინიმალურია. ნიშანდობლივია, რომ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნია მხოლოდ ორი ბერძნული თიხის ჭურჭელი, მაშინ როდესაც იგივე კოლხური თიხის ჭურჭლების რაოდენობა 20-მდე აღწევს...

ამავე სამარხში, წარჩინებული ქალის ჩონჩხთან ერთად კიდევ სამი ქალი იყო დასვენებული, მაგრამ ისინი შედარებით ღარიბულად იყვნენ მორთული. ერთს აღმოაჩნდა თავზე ვერცხლის ორი დიადემა ერთად, ოქროს საყურეები და ვერცხლის სამაჯურები, მეორეს — ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები და ყელსაბამი, მესამეს კი მხოლოდ — ოქროს ერთადერთი საყურე.

სულ სამი ათასზე მეტი ოქროსა და ვერცხლის ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი და ყველა ისინი ადგილობრივ, კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა ამ ორი ათას ხუთასი წლის წინ დამზადებული.

მე შევეცდები ზოგიერთი მათგანის შედარებით დაწვრილებით დახასიათებას და აგრეთვე იმის დასაბუთებას, თუ რატომ მიმაჩნია ისინი აგრე უყოყმანოდ ძველი ქართული (კოლხური) ოქრომჭედლობის ნიმუშებად. მით უფრო, რომ ზოგიერთებმა რატომღაც თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედეს ვანში აღმოჩენილი ნივთების ქართულ წარმომავლობას და ისინი უცხო ქვეყნებიდან (?) შემოტანილად აღიარეს. ამასთან ნაჩქარევი ინტერვიუების გზით ჩვენ საზოგადოებას სრულიად დაუსაბუთებლად მიაწოდეს ეს მცდარი აზრი.

კოლხი ქალის სამარხში ნაპოვნი ოქროს სამკაულებიდან საგანგებოდ უნდა შევჩერდე დიადემაზე. მისი გრეხილი რკალი რომბისებური ფირფიტებითა და შესაკრავი კავებითაა დაბოლოებული. ასეთი თავსაბურავი (როგორც ოქროსი, ასევე ვერცხლისა) ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ კოლხეთისათვის იყო დამახასიათებელი და არ გვხვდება მის ფარგლებს გარეთ.

დიადემის თითოეული რომბისებური ფირფიტა რელიეფუ-

ი ხაზით ორადაა გაყოფილი და ამგვარად შექმნილ თითოეულ სამკუთხედზე ამოტვიფრულია ცხოველთა ბრძოლის სცენები: ერთ ფირფიტაზე — ლომები თავს ესხმიან ციკს, ხოლო მეორეზე — ხარს. თითოეულ ფირფიტაზე გამოსახულება ორ-ორჯერ მეორდება (ორიგი ნაჭდევებით შემკული გამყოფი ჰორიზონტული სარტყლის ზემოთ და ქვემოთ). ორივე ფირფიტაზე ბრძოლის ფინალია გამოსახული: ერთზე — ორი ლომი გლეჯს უკვე დამარცხებულ და ზურგზე გართხმულ ხარს, ხოლო მეორეზე — წინა მუხლებზე წაჩოქილ ჭურციკს. ორსავე შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი ცენტრშია გამოსახული, ხოლო ლომები აქეთ-იქით (ე. ი. ლომები ამ ფიგურის მიმართ ჰერალდიკურადაა მოცემული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ იყო გავრცელებული ძველი სამყაროს ხელოვნებაში. მის საწყისებს მაინც ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულის მესოპოტამიურ ძეგლებში ეძიებენ. განსაკუთრებით ფართოდ კი ცხოველთა ბრძოლის სცენები ასურულსა და, შემდგომ, აქემენიდური ირანის სახვით ხელოვნებაშია წარმოდგენილი. ფიქრობენ, რომ ძველ აღმოსავლურ ხელოვნებაში ლომის მიერ დათრგუნვილი ხარის გამოსახულებას ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა და აღქმული იყო როგორც გაზაფხულის ბუნიობის სიმბოლო: ასურეთისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ცის კაბადონზე თებერვლის დასაწყისში თითქოს ჩანდა, თუ როგორ ენაცვლებოდა („კლავდა") ხოლმე ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. ამ დროს კი იწყებოდა ახალი სამიწათმოქმედო წელი! ასურეთისა და შემდეგ აქემენიდურ ეპოქაში ცხოველთა „ბრძოლის" ეს მოტივი აღიქმებოდა როგორც ზოროასტრული კალენდრის უმთავრესი დღე და რელიგიური დღესასწაული, როდესაც მიმდინარეობდა მეფეთა-მეფის საზეიმო კორონაცია. ამიტომაც ლომის მიერ დამარცხებული ხარის გამოსახულება ძველ აღმოსავლეთში ითვლებოდა აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოდაც.

ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულიდან აღმოსავლური ხელოვნების გავლენით ცხოველთა ბრძოლის სცენები ფართოდ

ვრცელდება აგრეთვე მთელს ბერძნულ სამყაროში. ძვ. წ. VI — V საუკუნეებში ამ სიუჟეტებს ვხვდებით ბერძნულ მონუმენტურ რელიეფებზე და კერამიკულ ფერწერაში, ოქროსა და ბრინჯაოს ნივთებზე, საბეჭდავებსა და მოხატებზე. მაგრამ, თუ აღმოსავლურ, კერძოდ, ირანულ სახვით ხელოვნებაში, როგორც წესი, ორი ცხოველის ბრძოლაა წარმოდგენილი (ლომი და ხარი, ლომი და ირემი, ლომი და თხა), ბერძნულ ხელოვნებაში ვხედავთ კომპოზიციის გართულებას და დრამატული ეფექტის გაძლიერებას. საკმაოდ ხშირია მაგ. სცენები, სადაც ორი ლომი გლეჯს მუხლზე წაჩოქილ ან ზურგზე გართხმულ ხარს. საკმაოდ რთულია საკითხი ბერძნულ ხელოვნებაში ლომისა და ხარის (აგრეთვე სხვა ცხოველთა) ბრძოლის გამოსახულებათა სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, მას წმინდა დეკორაციული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, ვანის ოქროს დიადემაზე წარმოდგენილია აღმოსავლურსა და ანტიკურ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბრძოლისა. მაგრამ რა სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას?

მე არ მგონია, რომ ვანის კოლხურ დიადემაზე გამოსახულ ლომისა და ხარის ბრძოლას ისეთივე კანონიკური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ვთქვათ, აქემენიდური ირანის სახვით ხელოვნებაში, მიუხედავად იმისა, რომ აქემენიდურ სამყაროსთან კოლხეთის მჭიდრო ურთიერთობის პირობებში ასეთი გავლენა სავსებით მოსალოდნელია. იმავე დიადემაზე ხომ ლომების ჭურიკზე თავდასხმაცაა წარმოდგენილი. ვანშივე 1961 წელს ნაპოვნ ოქროს დიადემაზე კი ლომები ტახებთან ერთად არიან გამოსახული.

ჩვენ უკვე ერთხელ, ერთ-ერთ წინა თავში, გვქონდა აღნიშნული, რომ ძველ ხალხებში ლომი მზისა და სინათლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ცნობილი ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა „ლომში ელვარებს მზე“ (ამიტომაც საკმაოდ ხშირია ვარსკვლავებით მოჭედილი ლომის გამოსახულებანი)... და აი ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რომ ვერცხლის კოლხურ რომბულფირფიტებიან დიადემებზე გამოსახულია თავისებური ვარდული, რომელიც მზის სიმბოლოდაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩნეული! ამიტომ მგონია, რომ კოლხური რომბისებურ-ფირფიტებიანი დიადემების გამოსახულებანი წარმოადგენდ-ნენ სიცოცხლისა და სიკვდილის, მზისა და სიბნელის ბრძოლის სიმბოლოს. საფიქრებელია, რომ სამარხებში ნაპოვნი ოქროსა და ვერცხლის დიადემები დაკრძალვის რიტუალისთვის იყო საგანგებოდ დამზადებული. ამას უნდა მოწმობდეს, რომ წარჩინებულ ქალთან ერთად სამარხში აღმოჩნდა კიდევ სამი ჩონჩხი, როგორც ჩანს, მოახლეებისა, რომელნიც შუდარებით ღარიბულად იყვნენ მორთული. მათგან ორს ჰქონდა თავზე თითო ვერცხლის დიადემა, ერთს — ორი ერთად!

წარჩინებული კოლხი ქალის დიადემა უთუოდ გამოჩენილი ოსტატის ნახელავია. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების რეალისტური გადმოცემა და მასთან ერთად — მეტად თავისებური სტილიზაცია, ნათელი და მკვეთრი ნახატი. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ეძებნებათ ზუსტი და პირდაპირი პარალელები. ჩანს, ოქრომჭედელმა უბრალოდ კი არ გაიმეორა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა იმ დროს (ე. ი. ძვ. წ. V საუკუნეში) მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რომელთაც ძველ კოლხეთში თავისებური სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ.

ვანის ოქროს დიადემის გამოსახულებათა დეტალური მხატვრული სტილისტური ანალიზისას მკაფიოდ ჩანს, რომ მისი ოსტატი — ოქრომჭედელი კარგად იცნობდა მის თანამედროვე აღმოსავლურსა და ბერძნულ ხელოვნებას, ამასთან რამდენადმე განიცდიდა მათ გავლენასაც. მაგალითად, ბერძნული ხელოვნების გავლენა თითქოს იგრძნობა გამოსახულების კომპოზიციაში, დიადემის ოსტატმა — ოქრომჭედელმა შეძლო ჭედური ხელოვნების ხერხებით გადმოეცა ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენები, მათი სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიანი კომპოზიციის სამკუთხა ჩარჩოში მარჯვედ

მოთავსება, რაც უფრო მონუმენტური რელიეფისა და სახელდობრ ფრონტონული კომპოზიციისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეგვიპტის დიადემის ოსტატი კარგად იცნობდა უთუოდ ბერძნული ფრონტონული რელიეფის წარმოსახვის რთულ პრინციპებს. თანაბარი ზომისა და პროპორციების ფიგურები ზომიერად ავსებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანარქაული ხანის შესანიშნავი ბერძნული ხელოვნებისათვის. მაგრამ ამავე დროს გამოსახულების შესრულების მანერა, სტილი, სრულიად განსხვავებულია ბერძნულისაგან: ერთი შეხედვით თითქოს იგი ემსგავსება აღმოსავლურს, აქემენიდურს, მაგრამ არც მის კანონიკურ ნორმებს ემორჩილება. მაგალითად, თითქოს „აქემენიდურია" წვეროსანი ქურციკი, აგრე დამახასიათებელი დაღარული რქებით, მაგრამ სრულიად უჩვეულოა მის ზურგზე გამოსახული ბეწვი. აქ კი ბუნებრივია გავიხსენოთ რომაელი მწერლის პლინიუსის ცნობა: „მხოლოდ მდინარე ფაზისის მიდამოებში მოიპოვება ცხოველი, რომელიც ირმის სახისაა და გამოირჩევა მხოლოდ წვერით და ბანჯგვლიანი ბეჭებით".

აქემენიდური ხელოვნების გავლენა იგრძნობა ზურგზე გართხმული ხარის ზოგიერთ დეტალში (რელიეფური და მკვეთრად მოდელირებული სახე, ამოზიდული რელიეფური თვალი, რქა). მაგრამ საკმაოდ თავისებურია ლომების გამოსახულება. თუ პროფილში მოცემული მოქნილი, ძლიერი და მკვეთრად მოდელირებული ტანი გამოხატავს ბრძოლის დაძაბულობას, სამაგიეროდ, მაყურებლისაკენ მომზირალი პატარა თავი რამდენადმე გაყინულია და უსიცოცხლო. ზოგიერთი ანატომიური დეტალი (ნეკნები, დაკუნთული კიდურები) მკვეთრადაა გამოსახული და მოგვაგონებს ასურულ რელიეფებზე წარმოდგენილ ლომებს. მეტად თავისებურადაა გადმოცემული ვანურ დიადემაზე ლომის ფაფარი: თავსა და კისერზე იგი რომბულადაა დაშტრიხული, ზურგზე კი ირიბი მოკლე ჭდეებითაა აღნიშნული. ლომის ზურგზე ფაფრის აღნიშვნა კი სრულიად უჩვეულოა ძვ. წ. VI — V საუკუნეების აქემენიდური (ირანული) და ბერძნული ხელოვნებისათვის.

ასეთი ჩემთვის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი: ირანში, ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე 1947 წელს აღმოჩნდა დიდი განძი (სპეციალურ ლიტერატურაში „ზივიეს განძად“ წოდებული), სადაც ძვ. წ. VII საუკუნის ოქროსა და სპილოს ძვლის ფირფიტებზე გამოსახულ ლომებს ზურგზე ფაფარი ჭდეებით აქვთ აღნიშნული. ეს ძეგლები მანას სამეფოს ხელოვნების ნიმუშებადაა მიჩნეული. მანას სამეფოს ერთი ნაწილი კი ქართველთა მონათესავე ხურიტულ-ურარტული ტომებით იყო დასახლებული.

ამრიგად, წარჩინებული კოლხი ქალის ოქროს დიადემა თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობა მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით მეტად რთულია. იგი თითქოს აერთიანებს ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებს, ხოლო მეორეს მხრივ — წინა აზიის (ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის) ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ სახეებსა თუ ცალკეულ ნიშნებს, რომელნიც ორგანულადაა გადამუშავებული ადგილობრივ ნიადაგზე. ეს გარემოება კი მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველ აღმოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და მჭიდრო კონტაქტს თანამედროვე აქემენიდური ირანისა და ბერძნული სამყაროს კულტურებთან.

ვანის სამარხში ნაპოვნი წარჩინებული კოლხი ქალის თავსაბურავი — ოქროს დიადემა ძვ. წ. V საუკუნეშია შექმნილი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი ოსტატის მიერ და წარმოადგენს უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს.

თავსამკაულის ნაწილებს წარმოადგენს აგრეთვე ამავე სამარხში ნაპოვნი საყურეები და სასაფეთქლე რგოლები. მათგან ერთი წყვილი ე. წ. სხივანა საყურეების რიგს განეკუთვნება. იგი რთული წესითაა დამზადებული და კოლხ ოქრომჭედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს: საყურე რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული. რკალი გახსნილია, ხოლო ბოლოები ისეა გამოყვანილი, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს. საყურე რგოლის წინა მხარე ზედა ნაწილში 13-ფურცლიანი მინიატურული ვარდულითაა დამშვენებული. ამასთან სიგრ-

ძვ. წ. V — IV საუკუნის კოლხური ოქროს სამკაულისა
ვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარსის ფორმა
ბა. სულ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების
(საყურეები, სასაფეთქლეები, ნაირსახოვანი საკიდები, მ
ვები და ბალთები) უხვადაა დაცვარული და ამასთან შემკ
ლია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედები
რომბებით ან სხვა გეომეტრიული სახეებით. ფრიად საინ
ტერესოა, რომ ძვ. წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებ
გვხვდება ასევე დაცვარული ვერცხლის ნივთები, რაც საერ
თოდ ძალზე იშვიათია და კოლხეთში გავარსის ტექნიკის ფარ
თოდ გავრცელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა.

ოქროს ნივთებისა და სამკაულის მორთვა ცვარათი შედგ
ნილი პირამიდებით, აგრეთვე რომბისებური, სამკუთხა თ
სხვა გეომეტრიული სახეებით — ძვ. წ. VI — IV სს. ფართო
გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოსავ
ლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მაღალკულტურულ ქვეყ
ნებში. ეს იყო იმ დროს ფართოდ გავრცელებული მოდ
რომელმაც როგორც ჩანს, კოლხეთამდეც მიაღწია, სადაც მოხ
და მისი თავისებური ათვისება, გადამუშავება და ორგანულად
დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ აღგი
ლობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედე
გად შეიქმნა თავისებური კოლხური ოქრომჭედლობის განუ
მეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც ვანში
მრავლადაა აღმოჩენილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გა
მოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი
ჯერ კიდევ 1907 წელს დაბეჯითებით წერდა: „ოქროს ნივთე
ბი, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემ
თხვევაში შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკე
თებია. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი.
ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მე
ტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღ
მოსავლეთით უვლის გორაკს. ხშირად აქ კარგა მოზრდილი
მარცვლებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და ბავშვები
ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. ოუ
თქვენ ღელე საქვაბიის ნაწილს აყვებით, ადვილად დარწმუნ
დებით ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და

ზოგჯერ ნაპოვნი ტყვიის დაურჯაკებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ". ახლა, უახლესი აღმოჩენების საფუძველზე, შეგვიძლია სრულიად თამამად გავიზიაროთ დიდი მეცნიერის მოსაზრება და ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. V — IV სს. (აგრეთვე უფრო გვიან III — II საუკუნეებში) ძველ ვანში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფვრა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს. და, იქნებ, ამ ნივთებმაც გაუთქვეს კოლხეთს მთელ ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი" ქვეყნის სახელი.

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა მხოლოდ ის კი არაა, რომ ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძური ძველი ქართული ოქრომჭედლობის ახალი და მრავალრიცხოვანი ნიმუშებით გამდიდრდა. უმთავრესი მაინც ისაა, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ძველი კოლხეთის განვითარების მაღალი დონე და უცილობლად დადასტურდა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული დებულება უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში აქ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოსა და სოციალურად ძლიერ დიფერენცირებული კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ. ამავე დროს რელიეფურად გამოიკვეთა ძველი კოლხეთის მხატვრული კულტურის ხასიათი, მისი არსებითი ნიშნები და თავისებურებანი, კოლხური ცივილიზაციის ძველი აღმოსავლური ფესვები...

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის აღმოჩენებსაც ფართოდ გამოეხმაურა როგორც რესპუბლიკის, ასევე საკავშირო რადიო, ტელევიზია და პრესა („კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა", „პრავდა", „იზვესტია", „ნედელია", „ოგონიოკი", „კომსომოლსკაია პრავდა").

იმავე წლის ოქტომბერში ვანის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ მე მოვახსენე (და ფერადი დიაპოზიტივები ვუჩვენე) კლასიკური არქეოლოგიის საერთაშორისო კონგრესს, რომელიც დამასკოში გაიმართა. მსოფლიოს თვალსაჩინო არქეოლოგებმა პოლონელმა კაზიმირ მიხალოვსკიმ და თურქმა ეკრემ აკურგალმა, ინგლისელმა შეფტონმა და

ამერიკელმა ლინხოფმა, ლიბანელმა შეხაბმა და გერმანელმა კურტ ბიტელმა ერთხმად აღიარეს, რომ ურარტული მათთვის უცნობი და ახალი ცივილიზაცია. იმავე წლის დეკემბერში იენის უნივერსიტეტში ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის საკითხებზე ლექციაში, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი ვანის ახალ აღმოჩენებს დავუთმე. იმავე დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუზეუმების გენერალური დირექტორის პროფ. მეიერის მიწვევით ბერლინში სახელგანთქმული პერგამონ-მუზეუმის დიდ დარბაზში წავიკითხე ვრცელი მოხსენება საერთოდ ვანის ნაქალაქარის შესახებ. ამ სხდომას ბერლინის მუზეუმებისა და აკადემიის თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდნენ პერგამონ-მუზეუმის უცხოელი სტუმრებიც, მათ შორის ძველი აღმოსავლეთის კულტურისა და რელიგიის გამოჩენილი მკვლევარი ჰოლანდიელი ვან დეიკი.

ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარს ორი გვერდი მიუძღვნა ჟურნალმა „სოვეტსკი სოიუზ" (1970 წ. № 9), რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოაქვეყნა ინფორმაცია ნაქალაქარის შესახებ. ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე დაიბეჭდა ცნობები სსრკ ახალი ამბების სააგენტოს მთელ რიგ ბიულეტენებსა თუ ჟურნალებში (მაგ., ჟურნალ „სპუტნიკში"). მოსკოველმა ჟურნალისტმა და ისტორიკოსმა იგორ მოჟეიკომ დაწერა ვრცელი და საინტერესო წერილი ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ (ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა", № 10, 1970 წ.).

კვლავ ზედა ტერასაზე

ზედა ტერასა — „ახვლედიანების გორის" წვერი — ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია, რომელიც სამხრეთიდან საქვაბიას ღელითაა შემოსაზღვრული, ხოლო ჩრდილოეთიდან — თანამედროვე სამანქანო გზით. ის ძველი ქალაქის ყველაზე მაღალი ნაწილია, საიდანაც იშლება შესანიშნავი ხედი მთელი ვანის რაიონისა.

ზედა ტერასა ჯერ კიდევ 1896 წელს ექვთიმე თაყაიშვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა მოიხილა და აღნიშნა: „აქ ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზე ამოსჭვივიან“.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველმა ხელმძღვანელმა ნინო ხოშტარიამაც თავისი უმთავრესი სამუშაოებიც იმთავითვე ზედა ტერასაზე წარმართა. ძალზე საინტერესოა ნინო ხოშტარიას ცნობა: „ჯერ კიდევ 1938 წელს გორაკის თავზე ჯგუფად იდგნენ ასწლოვანი მუხები, ხოლო მათ ახლოს ადგილობრივ მცხოვრებლებს ამოეთხარათ 2 მეტრამდე სიღრმის ორმო (ფართობით 6,5×4,5 მ), რომლის კედლებში ჩანდა მსხვილი, თლილი კვადრების წყობა. რამდენიმე ასეთი ქვათლილი იქვე ახლოს იყო ამოყრილი. შემდეგ წლებში არქეოლოგებს იქ დახვდათ მხოლოდ ერთი მუხა და დაცარიელებული ორმო, რადგან ის ქვები ამოეკრიფათ იქიდან“. ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით, ქვის ზიდვა ამ უბნიდან სამწუხაროდ შემდეგ წლებშიც აქტიურად გრძელდებოდა...

ამ უბანზე ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით 1947-1952 და 1957-1963 წლებში ჩატარებულმა გათხრებმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, უაღრესად საინტერესო ძეგლები აღმოაჩინა. მაშინ აღმოჩნდა საშუალო საუკუნეებისა და გვიანანტიკური ხანის სამარხები, ელინისტური ხანის ქვით ნაგები საკულტო შენობები და კულტურული ფენები, ძვ. წ. IV—III საუკუნეების სამარხების სერია, ძვ. წ. VI — IV საუკუნეების ხის ნაგებობათა ნაშთები და კულტურული ფენები... მაგრამ ძველი ქალაქის ამ უბანზე ჯერ კიდევ რჩებოდა შეუსწავლელი ადგილები და 1970 წლიდან ექსპედიციამ ამ უბანზეც განაახლა სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რუსუდან ფუთურიძე და დარეჯან კაჭარავა.

მე არ გავაგრძელებ სიტყვას ამ უბანზე აღმოჩენილი მრავალი საინტერესო ძეგლის შესახებ (საშუალო საუკუნეების ქვევრების გამოსაწვავი ქურა, რომაული ხანის მონეტები, ელინისტური და ადრეანტიკური ხანის კერამიკა და თიხის ქანდაკებები). მხოლოდ ზოგიერთი იმ აღმოჩენის შესახებ მოგახსენებთ, რომელთა მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია ძველი ვანისა და საერთოდ კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით.

ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი თიხის ტვიფარი ჰერაკლეს გამოსახულებით, რომელიც თითქოს იმეორებს იმ სახეს, რომელიც უფრო ადრე ვანშივე აღმოჩენილ ბრინჯაოს ქანდაკებაზეა წარმოდგენილი: ბერძენ გმირს მარჯვენა ხელში ვაშლები უკავია, ხოლო მარცხენაში — კეტი. ე. ი ჰერაკლე გამოსახულია ბერძნული მითოლოგიის თანახმად ჰესპერიდების ბაღში ჩადენილი გმირობისას. ვანში ადრევე აღმოჩენილია კიდევ ერთი ოქროს ბალთა, რომელზედაც ნემეურ ლომთან შებრძოლებული ჰერაკლეა გამოსახული. და ახლა კი ტვიფარის აღმოჩენამ მიგვანიშნა, რომ ჰერაკლეს გამოსახულებებს ვანშიც ამზადებდნენ. ეს მოსაზრება დაგვიდასტურა ნაქალაქარის მახლობლად საყანჩიას ველზე ნაპოვნმა თიხის ყალიბმა, რომელიც აგრეთვე ჰერაკლეს გამოსახულების დასამზადებლადაა განკუთვნილი.

მაგრამ, ბუნებრივია ვიკითხოთ, რით აიხსნება ბერძნული მითოლოგიის გმირის ჰერაკლეს ასეთი პოპულარობა? პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ ცნობილი ბერძენი მწერლის დურისის (ძვ. წ. 340-275 წწ) ერთ, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობაში — „კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსსა და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი განსაკუთრებულად სცემენ თაყვანს იმის გამო, რომ მან ისრით განგმირა არწივი პრომეთეს გულ-ღვიძლს რომ უკორტნავდა...“ ასე რომ, კავკასიის მცხოვრებნი თაყვანს ცემდნენ პრომეთეს, რომელმაც ღმერთებს, ადამიანებისათვის მოსტაცა ცეცხლი და ამისთვის მკაცრად დაისაჯა. როგორც ცნობილია, ქართულ ფოლკლორში ფართოდაა გავრცელებული თქმულება ადგილობრივი გმირის ამირანის შესახებ, რომელიც პრომეთეს ორეულია. და გასაგებია, რომ ბერძენი გმირი ჰერაკლე, რომელმაც ტანჯვა-წამებისაგან იხსნა ამირანი — პრომეთე გახდა ადგილობრივი ხალხების თაყვანისცემის საგანი. აი ასე საოცრად დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენებით ერთი შეხედვით ლეგენდარული ხასიათის ცნობა ძველი ბერძენი ავტორისა...

ახლა კი სხვა აღმოჩენების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რიგის ამოცანად ჩვენ ამ უბნის ყველაზე მაღალი ადგილის ადრეული აღმოჩენილი „კიბისა“ და მისი ფუნქციის შესწავლა დავგეგმეთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ნაგებობა, რომლის ახლა მხოლოდ 7 საფეხურია გადარჩენილი, ბორცვის ამ ნაწილის და საერთოდ ნაქალაქარის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს. მაგრამ მისი დანიშნულება საკმაოდ გაუგებარი იყო. ქალბატონ ნინო ხოშტარიას იგი ტაძარში ასასვლელ კიბედ მიაჩნდა, ამ სტრიქონების ავტორს (და ზოგიერთ სხვასა) კი — ტაძრის წინ აღმართულ საკურთხეველად. კიბეებისა და მის დასავლეთით მდებარე ფართობის ხელმეორედ საგულდაგულო პრეპარაციამ და ნინო ხოშტარიას არქივში დაცული უაღრესად ზუსტი მეცნიერული დოკუმენტაციის შესწავლამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ არცერთი ზემოთდასახელებული ვარაუდი სწორი არ აღმოჩნდა. ამჯერად ზუსტად დადგინდა, რომ კიბეები და მისი სწორკუთხა მოედანი მიშენებული იყო ქვათლილებით შოგებულ სწორკუთხა ბაქანზე, რომლის სიგანე (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) 15,6 მეტრია, ხოლო სიგრძე — 11,2 მეტრი. ამ სწორკუთხა ბაქნის არსებობა დადასტურდა კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სწორკუთხა ბუდეებით, რომლებიც ქვათლილების ჩასადგმელად იყო განკუთვნილი. ზოგიერთ ბუდეში ასეთი ქვათლილების 2 და 3 რიგიც კი დავადასტურეთ. ამრიგად აშკარა გახდა, რომ კიბე და ბაქანი ერთი მთლიანი ნაგებობაა — ე. წ. მონუმენტური საკურთხეველი, რომელზეც მთავარი ქურუმი მსხვერპლშეწირვის საზეიმო რიტუალს ასრულებდა. ამ ტიპის მონუმენტური საკურთხეველები მცირე აზიაშიცაა აღმოჩენილი, მაგრამ ერთი არსებითი განსხვავებით. იქ საკურთხევლებს ასასვლელი კიბე დასავლეთი მხრიდან აქვთ, ვანისას კი — აღმოსავლეთიდან! ამჯერად ამ კიბის 7 საფეხურია გადარჩენილი, მაგრამ თავის დროზე ქალბატონ ნინოს 8 საფეხური დაუდასტურებია და ეს მის არქივში დაცული გრაფიკული და ფოტოდოკუმენტაციიდანაც შესანიშნავად ჩანს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავის დროზე კიბეს ჰქონდა კიდევ ერთი — მეცხრე საფეხური, რამდენადაც გავრცელებული წარმოდგენების შესაბამისად, კიბეებზე ასვლა მარჯვენა ფეხით იწყებოდა და ზედა საფეხურზეც მარ-

ჯვეხათი ასვლა იყო აუცილებელი, რაც გამარჯვებისა და ღმერთების კეთილი ნების მომასწავებლად იყო მიჩნეული.

მონუმენტური საკურთხეველი ძვ. წ. III საუკუნეს დასასრულსაა აგებული და როგორც გამოირკვა, [illegible] ძველ საკულტო ადგილზე. აქ დადასტურდა კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო არხები, რომელთაგან ერთი საკმაოდ გრძელი მაღაროსებური ნიშითაა დამთავრებული. ეს არხები უთუოდ მიწისქვეშა ღვთაებების კულტთან იყო დაკავშირებული, ხელოვნური გამოქვაბული კი საიდუმლო მისტერიებისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის იყო განკუთვნილი. აქ არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ, ძველქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში შემონახული მთელი ციკლი თქმულებებისა კლდის კულტისა და გამოქვაბულებში მობინადრე ღვთაებათა შესახებ. ასე რომ, არქეოლოგიაც ადასტურებს ამ თქმულებათა სიძველეს და ქართული ფოლკლორის უაღრესად ღრმა ფესვებს. ეს სარიტუალო არხები ფუნქციონირებდნენ ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, შემდეგ ისინი თიხამიწით საგულდაგულოდ ამოუვსიათ და ამ ადგილზე ზემოაღწერილი ქვის მონუმენტური საკურთხეველი აღუმართავთ.

კლდოვან დედაქანში ამოკვეთილმა სარიტუალო არხებმა თავის მხრივ სხვა საინტერესო აღმოჩენამდე მიგვიყვანა. ესაა დღემდე უცნობი ტიპის ხით ნაგები ტაძარი — სამლოცველო ძვ. წ. V საუკუნისა, რომელიც ზედა ტერასის შუა ნაწილში ყოფილა აღმართული.

ხის შენობა თავის დროზე თიხით ყოფილა შელესილი და იგი ძლიერი ხანძრისაგან დაღუპულა. ამიტომაც მთელი ფართობი დაფარული იყო ცეცხლისაგან გამომწვარი და ძლიერ გაწითლებული თიხის ბათქაშებით, რომელთაც თვალნათლივ ეტყობოდათ ხის ფიცრებისა და წნულის ანაბეჭდები.

ეს ტაძარი-სამლოცველო თავისი გეგმით რუსული „პ“-ს მოყვანილობისაა. საკმაოდ საინტერესოა მისი მშენებლობის ტექნიკა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სიგანე ორ მეტრამდე აღწევს და შემდეგნაირადაა ნაგები: კედლების გარე და შიდა ნაწილები გრძივი ხის ძელებითაა შექმნილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის სივრცე კი ასევე ხის განივი ძელებითაა დატვირთული და შემდეგ თიხითა და რიყის ქვებით ამოვსებული. დასავლეთი ნაწილი კი წარმოადგენდა დახურულ კორიდორს, რომლის კედლები რამდენადმე განსხვავებული წესითაა ამოყვანილი: დაახლოებით 20 მეტრის სიგრძეზე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სწორკუთხა ფოსოების ორი ერთმანეთის პარალელური რიგია (5 მეტრი სიგრძისა). სწორკუთხა ფოსოებში ჩადგმული აღმოჩნდა ხის გრძივად ჩადგმული მოკლე ძელები, რომლებიც თავისებური ბალიშის ფუნქციას ასრულებდნენ. ხის ბალიშზე კი ჯარგვალის წესით ყოფილა ამოყვანილი განივად დაწყობილი ფიცრები, რომლებიც ქმნიდნენ დახურული კორიდორის გარე და შიდა კედლებს. ამრიგად, რუსული „П"-ს მაგვარი შიდა ეზო, რომელიც აღმოსავლეთითაა ღია, წარმოადგენდა ღია ცის ქვეშ სალოცავსა და სარიტუალო მოედანს. დახურული კორიდორი კი შესაწირავისათვის იყო უთუოდ განკუთვნილი. აქ მრავლად აღმოჩნდა კოლხური თიხის ჭურჭელი და აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი ბერძნული მოხატული კერამიკისა.

ეს ტაძარ-სამლოცველო ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებში ჩანს გადამწვარი და დანგრეული. მომდევნო ხანაში კი აქ და მის აღმოსავლეთით მდებარე ფართობზე სამარხები გაუმართავთ. მათი ერთი ნაწილი, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ნინო ხოშტარიამ აღმოაჩინა. (რამდენიმე სამარხი, თუმც საკმაოდ დაზიანებული და დანგრეული, ჩვენც ვიპოვეთ). მათგან ერთია საგანგებოდ აღსანიშნავი...

ზედა ტერასის (ე. ი. ბორცვის წვერის) სამხრეთ ფერდზე გათხრების შედეგად ძვ. წ. II—I საუკუნის გალავნის კედლები გამოვლინდა და სწორედ ამ კედლების საძირკვლის შესწავლისას აღმოჩნდა ნაშთი სამარხისა, რომელსაც, როგორც ჩანს, გალავნის კედლების მშენებლობისას წასწყდომიან და თითქმის მთლიანად გაუძარცვავთ და დაუნგრევიათ. მაინც გადარჩა ოქროს დიდებული ყელსაბამი — წნული ძეწკვი, რომელიც რქოსანი ლომის თავის სკულპტურული გამოსახულებებითაა დამშვენებული. იქვე აღმოჩნდა შავიზღვისპირეთში საკმაოდ იშვიათი, ხოლო კოლხეთში ჯერჯერობით ერთადერთი ოქროს მონეტა, რომელიც სიცილიის ქ. სირაკუ-

ზის მმართველის იერონის მიერაა მოჭრილი ძვ. წ. III/ს-ის დასაწყისში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ მდიდრული უნდა ყოფილიყო ეს სამარხი, უფრო სწორედ ეროვნული სამარხი, რადგან მისი დამატებითი ნაწილი ხელუხლებელი აღმოჩნდა: აქ დაკრძალული იყვნენ ოთხი ცხენი და 7 ადამიანი, როგორც ჩანს წარჩინებული პირის მსახურნი. მართლაც რომ მაღალი რანგის პირი უნდა ყოფილიყო აქ დაკრძალული, თუ მას „იმ ქვეყნად" მოსამსახურებლად გაატანეს 4 ცხენი და 7 მსახური. შეგახსენებთ, რომ წარჩინებულ მხედართმთავარს დედატოსს მხოლოდ ორი მსახური ახლდა!

ქართული ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვ. წ. IV—III საუკუნეების სამარხთა აღმოჩენებით ცხადი გახდა, რომ ამ დროს ზედა ტერასის აღმოსავლეთი ნაწილი მდიდრული სამაროვნის ზონას წარმოადგენს. ამიტომაც ჩვენ რამდენადმე აღმოსავლეთით გადავინაცვლეთ და 1980 წლიდან შევუდექით კიდევ ერთი ახალი (ნინო ახვლედიანის ნავენახარის) მონაკვეთის შესწავლას. ამ უბანზე სამუშაოების ხელმძღვანელობა ისტ. მეცნ. კანდიდატს დარეჯან კაჭარავას დაევალა. უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ძველი ქალაქის ეს მონაკვეთიც.

გათხრების შედეგად აქ რამდენიმე ეპოქის დანაშრევები გამოვლინდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში აქ კლდოვან დედაქანში საკმაოდ დიდი ზომის (დაახლოებით 11 მ სიგანისა და 1 მ სიმაღლის) ნახევარწრიული ორმო ამოუკვეთიათ. ძნელი სათქმელია ახლა, რა ფუნქცია ჰქონდა მას. ალბათ მაინც სარიტუალო დანიშნულებისა იყო იგი... უფრო გვიან ძვ. წ. IV—III საუკუნეებში აქ ქვის შენობა გაუმართავთ, რომელზედაც ძვ. წ. II—I საუკუნეებში ახალი კედლები დაუშენებიათ... ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია და ამიტომაც ახლა აღარ გავაგრძელებ მათ შესახებ დაწვრილებით საუბარს...

ნახევარწრიული ქვაბულის ჩრდილოეთ კიდეზე კი აღმოჩნდა ძვ. წ. III საუკუნის კიდევ ერთი მდიდრული სამარხი. მისი ორმოც კლდოვან დედაქანშია ამოკვეთილი. სარკოფაგი, როგორც ჩანს, ხისა იყო და სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნებით შეკრული. სამარხი რამდენადმე დაზიანებული იყო მერმინდელ მშენებლობებთან დაკავშირებულ მიწის სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაოებით, მაგრამ მაინც საკმაოდ მრავალფეროვანი დაჯილდოებული
რული ინვენტარის შემცველი. განსვენებულის ძვლებ
ჩენილი არაა, მაგრამ ინვენტარის განლაგების მიხედვით (კერ-
ძოდ, რამდენიმე წყვილი სამაჯურის ხსვადასხვა ადგილებში
აღმოჩენით) უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ორი მიცვალებული
მაინც იყო ჩასვენებული. ერთ-ერთი მათგანი უთუოდ მამაკაცი
იყო, რაზედაც მიუთითებს რკინის აბჯრისა და იარაღის ფრაგ-
მენტების აღმოჩენა. სამარხის ერთ ნაწილში ცხენის აკაზმუ-
ლობის ნაწილები აღმოჩნდა. მათ შორის მასიური ბრინჯაოს
ლაგამი, ავშარის გასაწყობი ვერცხლის ბალთები, ზენური
ხვიებით მორთული ბრინჯაოს შუბლის საფარი და ვერცხლის
ნახევარმთვარისებური საკიდი, რომელიც მორთულია ნახე-
ვარმთვარისა და ვარდულების გრავირებული გამოსახულე-
ბებით ელექტრუმის ფოლგით რომაა დაფარული.

საკმაოდ მრავალფეროვანია აქ აღმოჩენილი სამკაულე-
ბიც: ოქროს დიდებული საყურეები (ჭვირული და სფეროსე-
ბურ ბურთულებიანები), ტახისა და ფასკუნჯის გამოსახულე-
ბიანი ფირფიტები (ტანისამოსზე დასაკერებლად რომ იყო გან-
კუთვნილი), ადამიანის სახის გამოსახულებიანი საკიდები —
ყელსაბამის შემადგენელი ნაწილები. აქვე იყო წარმოდგენილი
ვერცხლისა და ბრინჯაოს საკისრე რკალები (ე. წ. ხატის
ულელი) და სამაჯურები, ნაირსახოვანი ქვისა და ფერადი
მინის მძივები... მაგრამ ერთია მაინც საგანგებოდ აღსანიშნავი.
ორ სამაჯურს შორის ერთმანეთზე მიწყობილი ვერცხლის 80
მონეტა! აშკარა იყო, რომ ეს მონეტები ტყავისა თუ ქსოვი-
ლის ქისაში იყო თავის დროზე მოთავსებული და ისინი
ხელთ ეპყრა მიცვალებულს (სამაჯურებია ამის მოწმობა!).
ასეთი რაოდენობით მონეტების აღმოჩენა ერთადერთ სამარ-
ხში იშვიათი შემთხვევაა და არა მხოლოდ საქართველოს
არქეოლოგიაში! ოთხმოცივე მონეტა კოლხურია ე. წ. კოლხუ-
რი თეთრის წვრილი ნომინალი — ტრიობოლი, რომლის ერთ
მხარეს ქალღმერთის თავია გამოსახული, ხოლო მეორეზე —
ხარისა.

საინტერესო და მოულოდნელი აღმოჩენების სერია ამ
უბანზე ზემოხსენებულით როდი დამთავრებულა. 1981 წელს
აქ კიდევ ორი „სამარხი“ ვიპოვეთ — ამჯერად ბრინჯაოს ქან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკებებისა. ორივე კლდოვან დედაქანშია ჩასმული. პირ-
დალმა და როგორც ჩანს ოქრომკედით მოჭარგულ სუდარაში
გახვეული. ერთი ქანდაკება კაცისაა (18 სმ სიმაღლისა), მე-
ორე კი ქალისა (15 სმ). ორივე ქანდაკებას ახლავს ოქროს
სამკაულები: თავსაბურავი, საყურეები, ხატის ულელი და სა-
მაჯურები. გაგახსენდებათ ალბათ, რომ ასევე იყო მორთული
„რკინის კაცი", ნინო ხოშტარიამ რომ აღმოაჩინა ჯერ კიდევ
1947 წელს.

კიდევ ერთი ტაძარი

კარიბჭიდან სამხრეთით 100-ოდე მეტრის დაცილებით რე-
ვაზ ჩიტორელიძის საკარმიდამო ნაკვეთია. უკვე კარგა ხანია
ეს მიდამო ჩვენს ყურადღებას იქცევდა: ზოგიერთ ადგი-
ლებში მიწის ზედაპირზევე ჩანდა ალიზის დამწვარი მასის
ფრაგმენტები, აქა-იქ მიმობნეული სწორკუთხა ქვათლილები
და არქიტექტურული დეტალები (ზოგიერთი მათგანი სასი-
მინდის და საქათმის შესადგმელად განკუთვნილ ხიმინჯებ-
შიც კი იყო გამოყენებული), ჭურჭლისა და კრამიტის ნა-
ტეხები. ჯერ კიდევ 1960—1961 წლებში ნინო ხოშტარიამ
თეიმურაზ მიქელაძესა და მე ამ ადგილების დაზვერვები დაგ-
ვავალა და შემდეგ ამ ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე სი-
მინდის ყანაში, რომელიც ოთარ ახვლედიანს ეკუთვნოდა,
რამდენიმე სადაზვერვო თხრილიც გავავლეთ. მაშინ აღ-
მოჩნდა ძვ. წ. VI—V საუკუნეების (და უფრო ადრინდელი)
კერამიკის შემცველი კულტურული ფენები, ძვ. წ. III—I
საუკუნეების კედლები და არქიტექტურული დეტალები (ქვის
სვეტების ნაწილები). სავსებით აშკარა იყო, რომ ეს მხოლოდ
განაპირა ნაწილია რაღაც დიდი კომპლექსისა, რომელიც
ძირითადად სწორედ რევაზ ჩიტორელიძის ნაკვეთში იყო
საძიებელი. ნაკვეთის პატრონმაც არქეოლოგების თხოვნა
დააკმაყოფილა და 1971 წლიდან თანდათანობით შევუდექით
ჩვენთვის აგრე საინტერესო ფართობის შესწავლას. ბუნებ-
რივია ხეხილ-ნარგავებმა და ვენახმაც ახალ ადგილზე გადა-
ინაცვლა, შემდეგ კი აქ იმდენად საყურადღებო ძეგლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოჩნდა, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ რევაზ ჩიტ[illegible]ლიძის ოჯახს ახალი სამოსახლო ნაკვეთი გამოუყო და [illegible] არქეოლოგიური გათხრებისათვის ფართო ასპარეზი გაგვიჩნდა. უკვე შესწავლილია 800 კვადრატულ მეტრამდე ფართობი და სამუშაოები აქ ამ უბანზე ახლაც გრძელდება ისტ. მეცნ. კანდიდატის ნანა მათიაშვილის ხელმძღვანელობით.

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ უაღრესად დიდი და შრომატევადი სამუშაო ჩატარდა აქ, ციდრე არქიტექტურულ კომპლექსს მივაღწევდით. კულტურული ფენის სიმძლავრე აქ ამ ადგილებში ზოგან 4 და 5 მეტრს აღემატებოდა. ამასთან კულტურული ფენები მრავლად შეიცავდა კერამიკისა და არქიტექტურულ ფრაგმენტებს. ამიტომაც ბუნებრივია მთელი სამუშაო მეტწილად პრეპარაციით (ე. ი. დანებითა და ფუნჯების მეშვეობით წმენდით) ჩატარდა. და აი... გამოჩნდა დიდ ფართობზე გავრცელებული ცეცხლისაგან გაწითლებული და ამორფულ მასად ქცეული ალიზის მასა. გულმოდგინე პრეპარაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ამორფულ მასაში ალიზის კედლების გამორჩევა და მით მთელი ნაგებობის კონტურის შემოფარგვლა. შედეგად აღმოჩნდა გრანდიოზული საკულტო-სატაძრო კომპლექსი ძვ. წ. II—I საუკუნეებისა, რომელიც ვანის ნაქალაქარზე სადღეისოდ გამოვლენილ ძეგლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მონუმენტურია და შთამბეჭდავი, ამავე დროს მრავალმხრივ ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული...

ამ ნაკვეთზე ჯერჯერობით გამოვლენილი ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის შემადგენელი ნაწილებია კოშკისებური ნაგებობა, სამსხვერპლო მოედანი, ხუთსაფეხურიანი კიბე (ალბათ ხის სამსხვერპლოზე ამავალი), ე. წ. „სვეტებიანი დარბაზი“ და „შესაწირავისათვის განკუთვნილი დარბაზი.

კოშკისებური ნაგებობა სამწუხაროდ ძალზე დანგრეულია. მთლიანად მორღვეულია მისი ჩრდილოეთი ნაწილი (ამ ადგილას სახლის პატრონებს მარანი ჰქონდათ გამართული). სამაგიეროდ მთლიანად შემორჩენილია (თითქმის 4 მეტრ სიმაღლეზე) სამხრეთი საფასადო ქვის კედელი, რომელზედაც შემდეგ ალიზის კედელი იქნებოდა აღმართული. საფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადო ნაწილი მშვენივრად გათლილი დამუშავებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ამოყვანილი და როგორც ბანისეული ქალაქის სხვა ნაგებობანიც, მშრალად — ე. ი. ყოველგვარი დამაკავშირებელი ხსნარის გარეშეა აშენებული. კოშკისებური ნაგებობის დანიშნულების შესახებ ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, თუმც ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინცაა შესაძლებელი (მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ).

კოშკისებური ნაგებობის ძირში ღია მოედანზე სამსხვერპლოა გამართული (მისი გათხრაც არაა ჯერ დასრულებული). ამ მოედანზე მრავლად აღმოჩნდა შენაწირი ჭურჭელი — მეტწილად კოლხური ქვევრები და ამფორები, დოქები, ქოთნები და ლანგრები, აგრეთვე (შედარებით ადგილობრივთან უფრო მცირე რაოდენობით) ბერძნული ამფორები, მცირეაზიული წითელკანიანი ლანგრები, ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული რელიეფური გამოსახულებებით შემკული თასები. აქვეა ნაპოვნი ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული და გამომწვარი ქანდაკება გრძელ საბოსელში გამოწყობილი მამაკაცისა (იქნებ ჭურუმისა?), რომელსაც ხელში სიუხვის ყანწი უკავია (ქანდაკებას თავი მოტეხილი აქვს). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამსხვერპლო მოედანზე რქოსანი და წვრილფეხა საქონლის, აგრეთვე ფრინველის ძვლების სიმრავლე. აქ ჯიხვის რქებიცაა ნაპოვნი. გათხრის პროცესში დადგინდა, რომ სამსხვერპლო მოედანზე შენაწირავს დროდადრო თიხით გადალესავდნენ ხოლმე და მით ქმნიდნენ ახალ ბაქანს მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის. როგორ ჰგავს ჩვენს მიერ აქ დაფიქსირებული სურათი ქართული მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ „ხატობას“, რომელიც, თუმც ქრისტიანული ეპოქისაა, მაგრამ წარმართული კულტურის არა ერთი ელემენტი აქვს მძლავრად შემონახული!

კოშკისებური ნაგებობა უკავშირდება სწორკუთხა შენობას, რომელიც ორ დარბაზადაა ყრუ კედლით გაყოფილი. ქვის საძირკველი კარგად დამუშავებული რუსტირებული სწორკუთხა ქვათლილებითაა ორ და სამ რიგად ამოყვანილი. ამასთან რუსტირებული ქვათლილები ინტერიერშიცაა გამოყენებული. ქვის წყობაზე შემორჩენილია ბზენარევი ალიზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(52×52 სმ; 52×26 სმ) აგებული კედლებიც. რუსტირებული ქვათლილები, რომლებიც კედლის გარე და შიდა ზერეალს ქმნიან, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩაშენებული, რაც განსაკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებდა ნაგებობის საძირკველს. მთელს შენობაში, გადმონგრეული და ამორფულ მასად ქცეული ალიზის ქვეშ ყველგან აღმოჩნდა ჩაქცეული სახურავის ნაშთები: ძლიერი ცეცხლისაგან დამწვარი ხის კოჭები და კრამიტები.

კრამიტისა და სახურავის ნაშთები დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ გარეთაც აღმოჩნდა. ყურადღება მიიქცია სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნების სიმრავლემ, აგრეთვე დანახშირებულმა ხის კოჭებმა ჰორიზონტალურად რომ იყო დალაგებული ქვის კედლების პარალელურად მათგან 2 მეტრის დაცილებით. ამან საფუძველი მოგვცა გვეგარაუდნა აქ კრამიტით გადახურული კორიდორის არსებობა, ტაძრის სარიტუალო მსვლელობისათვის რომ იქნებოდა განკუთვნილი.

თვით სწორკუთხა ნაგებობა, როგორც მოგახსენეთ, ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველს პირობით „სვეტებიანი დარბაზი“ ვუწოდეთ, რადგან მის შიგნით ორი, რატომღაც ასიმეტრიულად განლაგებული ქვის სვეტის ძირი — ბაზა აღმოჩნდა, თითოეული 50 სმ-ის დიამეტრისა. თვით სვეტები გადარჩენილი არაა (უთუოდ ხის იყო და იმიტომ).

„სვეტებიანი დარბაზი“ სწორკუთხაა (9,2×8,5 მ) და მას სამი შესასვლელი აქვს. დასავლეთი შესასვლელი 3,8 მეტრი სიგანისაა და დიდი ზომის ქვიშაქვის სწორკუთხა ქვათლილითაა მოგებული. ჩრდილოეთი შესასვლელი 2 მეტრი სიგანისაა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი — 3 მ. აქაც ზღურბლი კარგად დამუშავებული ქვათლილებითაა მოგებული და მისკენ გარე მხრიდან ასასვლელად კიბეებია გამართული.

ამ დარბაზის იატაკი თიხატკეპნილია; ამასთან ერთად კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილი „არხია“, რომელიც ქვის ფილებითაა მოგებული. ამ არხის ერთი ნაწილი დასავლეთ შესასვლელთან ახლოს კედელში საგანგებოდ დატანებულ ფოსოში გამოდის და დასავლეთ კედლის გასწვრივ მიემართება ხევისაკენ. არხის მეორე ბოლო კი მიმარ-

თულია აღმოსავლეთ კედლისკენ, სადაც უშუალოდ კედლის შიდა ძირთან კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია 1,30 მ სიღრმის ორმო, რომელიც თავის დროზე ხის ფიცრებით იქნებოდა გადახურული. ამ ვარაუდის საფუძველს გათხრების პროცესში დაფიქსირებული ხის ძელების ანაბეჭდები გვაძლევს. არხი აღმოსავლეთ კედლის გარეთაც გამოდის, მაგრამ ეს ნაწილი ჯერ შესწავლილი არაა. ძნელი სათქმელია ახლა თუ რა რიტუალი სრულდებოდა ამ არხის მეშვეობით?! „სვეტებიანი დარბაზის“ საკულტო ხასიათზე კი სავსებით აშკარად მიუთითებს აქ აღმოჩენილი ქვის საკურთხევლები. ერთი მათგანი ადგილობრივი ჯიშის ქვიშაქვის მონოლითადაა გამოკვეთილი და ზედა ნაწილში აქვს თასისებური ჩაღრმავება, რომელსაც ნათლად ეტყობა აქ ოდესღაც დანთებული ცეცხლის კვალი. საკურთხევლის ნაწილებს წარმოადგენს აგრეთვე ორი სწორკუთხა ფილა, რომელთაც ასევე ზედა ნაწილში თასისებური ჩაღრმავებები აქვთ. ადგილობრივი ქვიშაქვისგანაა დამზადებული მესამე საკურთხეველიც, რომელიც გარეგნულად როდინს მოგვაგონებს, ორივე მხრიდან ძაბრისებურადაა შეღრმავებული.

„სვეტებიან დარბაზს“ სამხრეთ-დასავლეთით უშუალოდ კედელზე გარე მხრიდან მიშენებული აქვს ხუთსაფეხურიანი კიბე, რომელიც სწორკუთხა ქვათლილებითაა შედგენილი. თითოეული საფეხურის სიგანე 1,9 მეტრია. ბაქანი, რომელზედაც კიბე ადიოდა გადარჩენილი არაა. გათხრების პროცესში დაფიქსირებული დანახშირებული ხის ძელები გვაფიქრებინებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო აღმართული ხის ნაგებობა, რომელიც რიტუალური მსხვერპლშეწირვისათვის იყო განკუთვნილი. ამასვე მოწმობს ღარი, რომელიც საგანგებოდაა კიბის საფეხურებზე ამოკვეთილი. ამ ღარში უთუოდ მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლი ან სხვა რამ სითხე მოედინება...

„სვეტებიანი დარბაზი“ ყრუ კედლითაა გამიჯნული მეორე, ასევე სწორკუთხა დარბაზისაგან. აქ გადმონგრეული ალიზის კედლებისა და ჩაქცეული სახურავის კრამიტის ფრაგმენტებს ქვეშ აღმოჩნდა 27 თიხის ჭურჭელი: 8 დიდი ზომის ქვევრი, აგრეთვე დერგები, ამფორები და ქოთნები. ყველა

ისინი წითელკეციანია, ადგილობრივი წარმოებისა. ჭურჭელი სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულით იყო სავსე. ცნობილი სპეციალისტი ჭოთა პალეობოტანიკოსის ზინაიდა იანუშევიჩის დასკვნით აქ „წარმოდგენილია 5 ჯიშის ფეტვი და ხორბალი, მათგან ორი ე. წ. იტალიკური ჯიშისაა, ხოლო დანარჩენი ჩვეულებრივ ფართოდ გავრცელებულ სახეობას განეკუთვნება. ხორბლეული კი რამდენიმე სახეობის ნარევს წარმოადგენს, ძირითად ქართულ ენდემურ ჯიშს, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში სხვა უფრო ადრეული ხანის ნამოსახლარებზეც“.

საფიქრებელია, რომ ამ დარბაზში, რაღაც მარცვლეულით სავსე ჭურჭელია აღმოჩენილი, რომელშიც ღვთაების სახელზე შესაწირი ინახება. ეს მოვლენაც მრავალ პარალელს პოულობს საქართველოს მთიანეთში, სადაც ამ ტიპის ნაგებობებს „ხატის ბეღელს“ უწოდებენ.

ზემოაღწერილი არქიტექტურული კომპლექსის სამხრეთით მდებარე ფართობის შესწავლამ კიდევ ერთ, მართლაც რომ გასაოცარ აღმოჩენამდე მიგვიყვანა.

ნაგებობის სამხრეთი კედლიდან 6-იოდე მეტრის დაცილებით, თითქმის ხევის პირას, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილია ორმო (ჯერ სხვა სახელი ვერ შეგვირქმევია მისთვის). მისი ზედა ნაწილი ოვალური მოყვანილობისაა, დაახლოებით 6 მეტრი სიგრძისა და 6,5 მეტრი სიგანისა. კლდოვანი დედაქანის ზედაპირიდან 4 მეტრის სიღრმეზე ორმო უკვე ნამდვილი კვადრატის ფორმას იღებს (მისი ზომებია 2×2 მ). ამ ორმოს გაწმენდა უაღრესად შრომატევადი სამუშაო აღმოჩნდა, მიწის ამოსაღებად საგანგებო ამწე მექანიზმების დადგმაც მოგვიხდა. ასე ჩავედით ჯერჯერობით 20 მეტრის (!) სიღრმეზე და დასასრული ჯერ კიდევ არ უჩანს. სამწუხაროდ, ვერაფერს, სრულიად ვერაფერს ვიტყვი ამ ორმოს დანიშნულებაზე, რომლის კლდოვან დედაქანში ამოსაკვეთად იმდროინდელი ტექნიკის პირობებში კოლოსალური შრომაა გაწეული. იქნებ ბოლომდე გათხრამ მოგვცეს პასუხი ამ საოცარი ქმნილების დანიშნულების შესახებ, რაც აგრე გვაღელვებს ექსპედიციის წევრებსაც, სპეციალისტებსაც და ვანის ძველი ქალაქის მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს. ერთი რამაა

მხოლოდ ცხადი: ორმო ფუნქციონირებდა სატაძრო კომპლექსთან ერთად. ამას უცილობლად მოწმობს ბ[illegible] ფაქტი, რომ ორმოში ჩაცვენილია ტაძრის კედლის ქვათლილები და ალიზის ფრაგმენტები. ასე რომ, ორმო ამ გრანდიოზული სატაძრო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

გათხრები ნაქალაქარის ამ უბანზე ჯერ არაა დასრულებული. ამიტომაცაა შეუძლებელი რაიმე ვარაუდის გადაჭრით გამოთქმა. ერთი რამაა უცილობელი: აქ საქმე გვაქვს ფუნქციონალური თვალსაზრისით უაღრესად რთულ საკულტო არქიტექტურულ კომპლექსთან. ვერაფერს ვიტყვი გადაჭრით იმის შესახებაც კი, თუ რომელი ღვთაების (თუ ღვთაებების) სახელზეა აგებული ეს ტაძარი. თუმც გავბედავ და ძალზე წინასწარულად და ჰიპოტეტურად გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას ცალკეული არქეოლოგიური მონაპოვრის შესახებ. ასე მაგალითად, დიდ ინტერესს იწვევს როდინისებური ქვის ჭურჭელი, რომელიც შეიძლება სარიტუალო საკურთხეველად მივიჩნიოთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ მსგავსი ნივთები ძველი ირანის დედაქალაქში პერსეპოლისშიცაა აღმოჩენილი და მასზე ამოკვეთილი არამეული წარწერები მოწმობენ, რომ ამ ტიპის საკურთხევლები ცეცხლის კულტთან იყო დაკავშირებული. კიდევ მეტი, ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი ე. შმიდტი ვარაუდობს, რომ როდინისებურ ჭურჭელში მზადდებოდა მათრობელა სასმელი — ხაომა, რომელსაც რიტუალური მიზნით იყენებდნენ. ეს სასმელი მზადდებოდა წიწვოვანი მცენარის ეფედრას ტოტების ჭურჭელში დანაყვით და მიიღებოდა ალკოჰოლიდური ექსტრაქტი ეფედრინი. ამასთან დაკავშირებით, ძალზე საყურადღებოა, რომ ჩვენი არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში აღმოჩნდა ფერფლის გროვა, რომელიც ქართველი ბოტანიკოსის პროფ. თ. კეზელის განსაზღვრით „შეიქმნა წიწვოვანი მცენარის დაწვის შედეგად“ (როგორც ჩანს შენობაში გამძვინვარებული ხანძრისაგან).

ცეცხლის კულტთან დაკავშირებით ისიცაა საინტერესო, რომ „სვეტებიან დარბაზში“ აღმოჩენილი მონოლითური საკურთხევლის თასისებურ ჩაღრმავებას აშკარად ეტყობა, რომ მასში ხანგრძლივად ენთო ცეცხლი. როგორც მოგახსენეთ,

ამ არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია კოშკისებური ნაგებობა, რომელიც თავისი სიმაღლით უთუოდ საგრძნობლად აღემატებოდა დანარჩენი ორ დარბაზს. და აი, აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ძველ-ქრისტიანული მოსავლეთში (კერძოდ ირანის ტერიტორიაზე) გავრცელებული კოშკისებური ნაგებობანი, რომელთაც ბევრი სპეციალისტი (თუმც არა ყველა) წმინდა ცეცხლის ტაძრებად მიიჩნევს. ჩვენთვის საინტერესო სატაძრო კომპლექსის ასეთსავე ასპექტში განხილვას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აქ დადასტურებული რიტუალიც. შესაწირავის ხასიათი (ნაირსახოვანი მარცვლეული) და საღვთო ცხოველის სისხლისათვის და საზედაშე ღვინისათვის განკუთვნილი არხი და სხვ. ცნობილია, რომ მარცვლეული და ღვინო ძველ აღმოსავლეთში დიდ როლს ასრულებდა რიტუალში, რომელიც სრულდებოდა მითრას — მზისა და სინათლის ღვთაების პატივსაცემად და მჭიდროდ იყო თავისი ხასიათით, ცეცხლის კულტთან დაკავშირებული. დაბოლოს აქვე უნდა დავძინო, რომ მითრას კულტის გადმონაშთები საქართველოშიც კარგადაა ფიქსირებული. გავიხსენოთ თუნდაც განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ნაშრომი ჯეგე-მისარიონის კულტის შესახებ.

მაგრამ, კიდევ ერთხელ მინდა დაბეჯითებით გავიმეორო, რომ ეს მხოლოდ ვარაუდებია. უფრო დამაჯერებლად საუბარი ამ საკითხებზე ამ უაღრესად საინტერესო და მეცნიერული თვალსაზრისით მრავალმხრივ მნიშვნელოვანი კომპლექსის სრულად გათხრისა და შესწავლის შემდეგ იქნეს ეგებ შესაძლებელი.

დედაბოსის სამარხის კვალდაკვალ

1969 წელს აღმოჩენილმა დედაბოსის სამარხმა, როგორც უკვე ითქვა, გვაუწყა ახალი ეტაპის დასაწყისი ძველი ქალაქის ისტორიაში. მომდევნო წლებში ძვ. წ. IV — III საუკუნეების სამარხები ზედა ტერასაზეც შევისწავლეთ და კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის მეორე

ნახევარი და III ს-ის პირველი ნახევარი ვანის ძველი ქალაქის განვითარებაში ცალკე ეტაპია, მრავალ ნიშანდ მომენტს რომ შეიცავს. ამიტომაც ამ ეტაპის ძეგლებ ბის გამოვლენა და არქეოლოგიური შესწავლა ვანის ძველი ქალაქის კვლევის პროგრამის ერთ-ერთ საშურ ნაწილად იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სულ უკანასკნელი წლების აღმოჩენები ცენტრალურ ტერასაზე, სადაც ადრე უპირატესად ელინისტური, ე. ი. ძვ. წ. III—II საუკუნეების ძეგლები იყო გამოვლენილი.

ცენტრალური ტერასის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გათხრებს ისტ. მეცნ. კანდ. ვერა თოლორდავა ხელმძღვანელობს, 1978 წელს აღმოჩნდა საკმაოდ საინტერესო სამარხი, რომელიც თავისი აღნაგობის თვალსაზრისით საკმაოდ უჩვეულოდაც გამოიყურებოდა. სამარხი ორმო სწორკუთხა მოყვანილობისაა (2,9×2,6 მ) და, როგორც ეს საყოველთაოდაა ვანში დადასტურებული — ამოკვეთილია კლდოვან დედაქანში. მაგრამ თვით სამარხი შემოზღუდული იყო თიხით შელესილი ხის წნულით (სამარხის გამართვის ასეთი წესი პირველადაა კოლხეთში ფიქსირებული). ზემოდან სამარხი გადალესილი იყო ორმოდან ამოღებული თირით და გულმოდგინედ „შენიღბული" (ისე, რომ მისი ზედაპირი, კლდოვანი დედაქანის — თირის შთაბეჭდილებას ტოვებდა). მიუხედავად ამისა, მაინც მოუხერხებიათ მისი გაძარცვა, ოღონდ უკვე ძველადვე. თუმც, უნდა ვიფიქროთ, რომ მძარცველებს მხოლოდ ოქროს სამკაულები მიუტაციათ, ინვენტარის დანარჩენი ნაწილი კი თითქმის ხელუხლებლად დაუტოვებიათ. ოქროს სამკაულთაგან გადარჩენილია ყელსაბამის ნაწილები, აგრეთვე ოქროს მონეტები, რომელთაგან ერთი ალექსანდრე მაკედონელის სტატერია, ხოლო მეორე — ფილიპე III-ისა. იქვეა ორი კოლხური თეთრიც. საკმაოდ მრავალფეროვანია ბრინჯაოს ნივთები: სურა, რომლის ყური წვეროსანი მამაკაცის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული და ორყურიანი ლანგარი; სარკე და სტრიგილები (საგანგებო ლითონის საფხეკები, რომლითაც ატლეტები ასპარეზობის შემდეგ ტანიდან ქვიშას იცილებდნენ). ლითონის ნივთთაგან მაინც ყველაზე უფრო შესანიშნავია 14 სმ სიგრძის ვერც-

ხლის კოვზი, რომლის ტარის ზედა ნაწილი დამშვენებულია მაღალ რელიეფში რეალისტურად შესრულებული ხარის ქანდაკებით, რომელსაც თითქოს მგელი (თუ ძაღლი?) [illegible] ებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია კოლხური ამფორა, ცალყურა დოქები და სფეროსებურტანიანი შავპრიალა ჭოთნები; იმპორტული (უფრო მცირეაზიული) თიხის თითისტარისებური სანელსაცხებლები და კოპწია შავლაკიანი თასი, რომლის ზედა ნაწილში თეთრი საღებავით გამოყვანილია სუროს ორნამენტი. ცნობილია, რომ ასეთი თასები ათენში მზადდებოდა ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში. საინტერესოა, რომ ამ თასის ნატეხები მთელ სამარხში იყო მიმოფანტული და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს იგი რაღაც ჩვენთვის უცნობი რიტუალის შესაბამისად, საგანგებოდ დაუმსხვრევიათ და მისი ნაწილები მთელ სამარხში მიმოუფანტავთ.

ამავე სამარხს უკავშირდება თითქოს 5 კოლხური ქვევრი, რომელიც სამხრეთით უშუალოდ სამარხის კიდესთან აღმოჩნდა, ეს ფართობი მთლიანად როგორც ჩანს, შემორაგული იყო ხის ძელებით, რომელთა ნაშთები თვალნათლივ გამოვლინდა და დაფიქსირდა კიდეც გათხრის პროცესში.

უკანასკნელ წლებში სამარხებს გარდა, ძვ. წ. IV—III საუკუნეების კარგად დაცული ნაგებობანი და კულტურული ფენებიც გამოვლინდა ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე (უბნის ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. ანა ჭყონია).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქვის მასივური კედლები, რომელნიც ზოგან 6 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ამ კედლების ქვედა რიგი ქვიშა-ქვის ბრტყელი ფილებითაა თიხის ხსნარზე ამოყვანილი. საკმაოდ თავისებურია ზედა ნაწილის კონსტრუქცია. იგი წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ხის ძელებითა და ფიცრებით შეკრულ კარკასს, რომელიც შემდეგ რიყის ქვებით იყო შევსებული. ძლიერი ხანძრისაგან, აქ რომ გამძვინვარებულა სადღაც ძვ. წ. III ს-ში, მთლიანადაა დამწვარი ხის ნაწილები (თუმც მათი ნაშთები არაერთგზის იქნა ფიქსირებული გათხრის პროცესში), რიყის ქვები და ქვიშა-

ქვის ბლოკები კი დახეთქილია და წიდისმაგვარ ამოლღვრულ მასადაა ქცეული.

აღწერილი კედლის აღმოსავლეთ ფასადთან მრავალი შენაწირი აღმოჩნდა. დადგინდა, რომ შეწირულობის ნაჩენები აქაც (ისევე როგორც ზოგიერთ სხვა უბანზე) დროდადრო თიხა-მიწით გადაილესებოდა. ამგვარად იქმნებოდა ახალი ზედაპირი მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესასრულებლად. ამ გზით შექმნილი კულტურული ფენის სისქე ზოგან 4 მეტრს აღწევს და ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და III საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ მრავალფეროვან მასალას შეიცავს. ასეთებია სხვადასხვა ცხოველთა და ფრინველთა ძვლები, როგორც ნაირსახოვანი კოლხური თიხის ჭურჭელი (ქვევრები, შავად გაპრიალებული და გეომეტრიულსახოვანი ორნამენტით შემკული დოქები, ქოთნები, ჯამები, სარიტუალო საგნები), ასევე უცხოურიც (ამფორები, მოხატული და შავლაკიანი ჭურჭელი), რომელიც საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებშია (ათენი, ქიოსი, თასოსი და სხვ.) დამზადებული და ჩვენში სავაჭრო ურთიერთობათა გზით მოხვედრილი. განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოვნი ოქროს, ქვისა და მინის მძივები, ვერცხლის მონეტები („კოლხური თეთრი"), სამკაულად გამოყენებული ბრინჯაოს საკიდები, რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები... მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა და დიდმნიშვნელოვანი, იქვე ნაპოვნი ნამზადი — ოთხკუთხაგანივკვეთიანი მსხვილი ოქროს ღერო, რომლის ზედაპირს ნათლად ეტყობა იარაღის დარტყმის კვალი. აშკარაა, რომ იგი სხვადასხვა სამკაულის გასაკეთებლად იყო მომზადებული. ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ვანის ნაქალაქარის გათხრებისას ნაპოვნი ოქროს ნივთები ადგილობრივად, სწორედ ძველ ვანში მზადდებოდა. დიდ ინტერესს იწვევს ასევე, მრავლად ნაპოვნი ძვლის იარაღები, რომელნიც ანა ჭყონიამ იმთავითვე, და, ჩემის აზრით, სავსებით მართებულად, ოქრომჭედლის ხელსაწყოებად მიიჩნია.

ზემოაღწერილი კედლის დასავლეთით კი აღმოჩნდა ასევე ძვ. წ. IV—III საუკუნეების მეტად თავისებური და შეიძლება ითქვას — უნიკალურიც (არა მხოლოდ ვანისათვის!)

სამსხვერპლო. ესაა საკმაოდ ფართო, მთლიანად რიყის ქვებით მოკირწყლული სამსხვერპლო, რომელიც ასევე რიყის ქვებით ნაგები კედლებით იყო შემოზღუდული. მოკირწყლულ მოედანზე კარგად შეიმჩნევა ოთხი მცირე ზომის ორმო, რომელიც წმინდა სითხის დასხმის რიტუალისათვის იყო განკუთვნილი.

ამ უბანზე ძვ. წ. IV—III საუკუნეების გამოვლენა და შესწავლა ამჟამადაც მიმდინარეობს.

თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველი და მისი განძსაცავი

1978 წლიდან კიდევ ერთი ახალი მონაკვეთის შესწავლა დაიწყო ექსპედიციამ. ეს უბანი ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილშია და აქ ვალიკო ახვლედიანს სიმინდის ყანა ჰქონდა გაშენებული. მისივე ცნობით, მიწის დამუშავებისას თურმე ქვათლილები ჩნდებოდა ხშირად, ხოლო შუაგულში კი არაფერი ხარობდა. ვინ იცოდა მაშინ რა საოცარ განძს (მეცნიერულსა თუ მხატვრულს) იფარავდა სიმინდის ყანა!

ამ უბანზე სამუშაოების ხელმძღვანელობა ისტ. მეცნ. კანდიდატს მარინე ფირცხალავას დაევალა.

სამწლიანი მუშაობის შედეგად ამ უბანზე დადასტურდა ორი სამშენებლო პერიოდი. პირველი — უფრო ძველი ძვ. წ. III—II საუკუნეებით თარიღდება. მაშინ აქ მდგარა ნახევარწრიული ნაგებობა, რომლისაგანაც სწორკუთხა ქვათლილებისათვის კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ბუდეებია მხოლოდ გადარჩენილი. მათ მიხედვით შევძელით ამ უჩვეულო ნაგებობის გეგმის აღდგენა. მოშორებით კი, მის სამხრეთ ნაწილში ორი მანამდე უცნობი ტიპის სამსხვერპლო აღმოჩნდა.

ორივე სამსხვერპლო თითქმის ერთი ტიპისაა. ისინი კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ღრმა ორმოებშია გამართული. ერთ-ერთი მათგანი (ზომით 1,10×1,20 მ) შემდეგნაირი კონსტრუქციისა. ორი სწორკუთხა ფილა, რომელიც შუაგულში ნახევარწრიულადაა ამოკვეთილი, ერთმა-

ნეთთან შეერთებისას ქმნის ღრმულს. ასეთი ფილები სამრიგადაა დალაგებული, ისე რომ ღრმულის სიმაღლე 60 სმ-ს აღწევს. თითქმის ისეთივე კონსტრუქციისაა მერე სამსხვერპლოც (მისი ზომებია 1,60×1,68 მ), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ორმოს ფსკერზე დევს მასივური საგანგებოდ დამუშავებული ოვალური ფორმის მონოლითი, რომლის შუაგულიც მრგვალადაა ამოკვეთილი.

ამ მონოლითსაც თავის დროზე ორი ფილა (ისიც შუა ნაწილში ნახევარწრიულად ამოჭრილი) ფარავდა. მაგრამ ერთი მათგანი წვეტიანი იარაღითაა გადმობრუნებული.

ორივე სამსხვერპლოს ღრმულებში აღმოჩნდა დამწვარი რიყის ქვები, რომელიც რაღაც რიტუალის დროს იყო შეწირული... აქ ბუნებრივია გავიხსენოთ ჩვენი ეთნოგრაფების მიერ საქართველოს მთიანეთში (კერძოდ, სვანეთში) აღწერილი წესი რიყის ქვების შეწირვისა, რომელთაც სამკურნალო მაგიურ თვისებას მიაწერდნენ...

ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში იმავე ფართობზე ახალი ნაგებობები აღუმართავთ. საამისოდ მთელი ფართობი ბოუსუფთავებიათ, დანგრეული (ალბათ შემოსეული მტრის მიერ) სამსხვერპლოები საგულდაგულოდ შეუვსიათ ქვებით, შემდეგ დიდი მოედანი თიხის მკვრივი ფენით დაუფარავთ და ასე ამგვარად მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი, ახალი, ამჯერად უკვე სრულიად განსხვავებული ტიპის საკურთხევლის ასაშენებლად.

ეს საკურთხეველიც საკმაოდ ორიგინალურია და შეიძლება ითქვას — უნიკალურიც, რამდენადაც მსგავსი არსად, არც საქართველოს ფარგლებს გარეთ, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი არაა. იგი ორი ნაწილისაგან შედგენილი რთული არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც აგებულია შესანიშნავად გათლილი და ერთმანეთთან კარგად მიჯრილი ქვის ბლოკებით. თორმეტ საფეხურს (მათგან ქვედა ექვსი სწორკუთხაა, ხოლო დანარჩენი ექვსი ნახევარწრიული) სამხრეთი მხრიდან ავყავართ ნახევარწრიულ მოედანზე, რომელსაც სწორკუთხა ქვათლილებით აგებული ბაქანი (4,45×3,90 მ) აქვს მიშენებული. საფეხურებიანი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი დანგრეულია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მისი აღდგენა.

საკურთხევლის ნანგრევებსა და მის მიმდებარე ფერდობებზე რამდენიმე ასეული (!) ბრინჯაოს ფრაგმენტი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, რაღაც დიდი სკულპტურული კომპოზიციისა, აქ რომ ყოფილა თავის დროზე აღმართული და მომხდურ მტერს ასე უმოწყალოდ გაუნადგურებია.

ბრინჯაოს მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს შორის ყურადღებას იქცევს გველის სკულპტურული გამოსახულებანი, მბრწყინავი ოქროთი გაწყობილი მცენარეული ორნამენტი, ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილები და ტანსაცმლის დეტალები. მათ შორისაა ყურის გამოსახულება, ცხოველის (ლომის?) ფაფარს წვდომილი ხელის მტევანი და მრავალი სხვა. მაგრამ ერთია მაინც საოცარი: ხელის მტევანი, რომელსაც სამი თითი შერჩენია მხოლოდ. მაღალი მხატვრული ოსტატობითა და რეალისტურადაა ყველა დეტალი (მათ შორის ფრჩხილის ნუნები) გადმოცემული. 2 მეტრი სიმაღლის მაინც უნდა ყოფილიყო ეს ქანდაკება, რომელსაც ეს ხელის მტევანი ეკუთვნოდა. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ნაქალაქარიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაცილებით, ე. წ. საყანჩიას ველზე, ექსპედიციამ აღმოაჩინა ვრცელი ნამოსახლარი, რომელიც ისტ. მეც. კანდიდატმა ვახტანგ ლიჩელმა შეისწავლა. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჩამოსასხმელი სახელოსნოს ნაშთებიც. ქანდაკებისაგან აღებული სინჯი და სახელოსნოდან ამოღებული წიდის ფრაგმენტები ერთდროულად ორ ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიას გავუგზავნეთ შესამოწმებლად: ერთს თბილისში და მეორეს მოსკოვში. ორივე ლაბორატორიიდან ერთდროულად მივიღეთ ერთნაირი დასკვნა: ქანდაკების ფრაგმენტიცა და სახელოსნოს ბრინჯაოს წიდა ერთიდაიგივე შემადგენლობისაა! მაშასადამე, ჩვენს მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებები თვით ვანშია დამზადებული!

საკურთხევლის სამხრეთით აღმოჩნდა ნანგრევები ხის შენობისა, რომლის კედლები თიხით ყოფილა შელესილი და მერმე გამომწვარი. თიხის ბათქაშებს ნათლად ეტყობათ ხის წნულისა და ფიცრის ანაბეჭდები. ამ შენობის ნანგრევები მეზობლად მოსახლე ცუცუ და ტრისტან კალაძეების ვენახშიც

გრძელდებოდა აშკარად და არც ამ ვენახის პატრონებმა შეგვაფერხეს. ვაზი ახალ ადგილზე გადაიტანეს [illegible] ფართობის შესწავლის საშუალება მოგვცეს. [illegible] ნაქალაქარის საგანძური ახალი შესანიშნავი აღმოჩენებით გაამდიდრა.

მობათქაშებული ხის ნაგებობა, საკურთხევლის განძსაცავი აღმოჩნდა. არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვან მონაპოვარში თავიდანვე ყურადღება მიიქცია გამომწვარი თიხისაგან დამზადებულმა პირამიდული მოყვანილობის საწაფების სიმრავლემ — 150 (!) ცალი. ეს საწაფები ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავად გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ თითოეულ დაზგას 10 საწაფი ჭირდებოდა, ხოლო ასეთი რაოდენობით საწაფების აღმოჩენა ერთ კომპლექსში სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა!

განძსაცავში უამრავი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელიც საკურთხევლისათვის რომ შეუწირავთ აქ მოსულ მლოცველებს: ქვევრები, ამფორები, წითელი ფერის სარტყლებით მოხატული სარიტუალო მაღალფეხიანი ლანგრები და სხვ. ყურადღებას იქცევს ნაირფეროვნება და სიმრავლე მინისა და ქვის მძივებისა, რომელთა შორისაა მოზაიკური მძივებიც.

შენაწირავში აღმოჩნდა რკინის იარაღიც — სატევრები, აგრეთვე მცირე ზომის ბრინჯაოს გულამოზიდული ფარები ე. წ. უმბონები, როგორც ჩანს ცხენის აკაზმულობისათვის ან ხის საომარი ფარების მოსაჭედად რომ იყო ჩვეულებრივ განკუთვნილი.

განსაკუთრებით შესანიშნავია ვერცხლის ნივთები: მედალიონი, რომელზეც ქალღვთაების თავის და გულმკერდის მაღალ რელიეფში შესრულებული გამოსახულებაა. ქალღმერთი უსახელოო კვართითაა შემოსილი, ხოლო ყელზე მოოქროვილი მინის მძივებიც ჰქონდა შემორჩენილი. ეს მედალიონი, როგორც ჩანს, ხის ნივთზე დასაჭედებლად იყო განკუთვნილი.

ასევე მაღალი მხატვრული ღირსებისაა ორი ვერცხლისავე ქანდაკება ტანშიშველი ჭაბუკებისა (ერთი 8,5 სმ სიმაღლისა, მეორე — 7 სმ). ერთ-ერთ ჭაბუკს ხელთ ფიალა უპყრია და მაშასადამე რაღაც რიტუალის შესრულებისასაა გამოსა-

ხული. ეს ქანდაკებები მცირე აზიის ბერძნულ სახელოსნო-
ებში უნდა იყოს დამზადებული. ფიგურების აგების, ფესვ
და ხაზების სინატიფეში თვალნათლივ იგრძნობა დიდი ბერ-
ძენი მოქანდაკის პრაქსიტელეს სკოლის გავლენა, აგრე
დიდი როლი რომ შეასრულა ელინისტური ეპოქის მხატვ-
რული პლასტიკის განვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განძსაცავის მონაპოვარში მაინც ყველაზე დიდ ინტერესს
ორი ოქროს ფირფიტა იპყრობს. ორივე ხის ნივთზე (იქნებ
კოლოფზე) იყო ალბათ თავის დროზე დაჭედებული. ერთი
მათგანი ფრაგმენტულია, თუმც შემორჩენილია ქალის თავის
გამოსახულება ცრუცვარათი გაწყობილ ჩარჩოში ჩასმული.
მეორე ოქროს სწორკუთხა ფირფიტის შუაგული ამოჭმულია
(ალბათ აქაც რაღაც გამოსახულება იყო წარმოდგენილი),
მაგრამ შემორჩენილია არამეული დამწერლობით შესრუ-
ლებული წარწერა, სამწუხაროდ ჯერაც გაუშიფრავი და ამი-
ტომ ჩვენთვის იდუმალებით მოცული... ეს ფირფიტა, ისევე
როგორც მთელი კომპლექსი, ძვ. წ. II—I საუკუნეებით თა-
რიღდება და ამიტომაც ჯერჯერობით უძველესია საქართვე-
ლოში აღმოჩენილ არამეულ წარწერათა შორის. ამავე დროს
კოლხეთში არამეული წარწერის აღმოჩენის ეს პირველი
შემთხვევაა (მანამდე ისინი მხოლოდ ქართლის სამეფოს —
იბერიის ტერიტორიაზე გვხვდებოდა), და ამიტომაც სრუ-
ლიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა!

ამ ნაკვეთის არქეოლოგიური შესწავლა გრძელდება და აქ
კიდევ მრავალი საინტერესო აღმოჩენაა ალბათ მოსალოდნე-
ლი. საქმე იმაში გახლავთ, რომ ზედა კულტურულ ფენებში,
რომელიც საკურთხევლის და მისი განძსაცავის დანგრევის
შედეგადაა წარმოქმნილი, გვხვდებოდა დიდი ზომის შესანიშ-
ნავად დამუშავებული ქვათლილები და არქიტექტურული დე-
ტალები: ვარდულით შემკული სვეტის თავი — კაპიტელი,
მარმარილოს ფილა, რომელზედაც შემორჩენილია ადამიანის
ქვედა კიდურების რელიეფური გამოსახულება, გამომწვარი
თიხის ანტეფიქსი (სახურავის საფასადო ნაწილის შემცვე-
ლობის ერთ-ერთი ელემენტი), რომელზედაც კაცის თავის
ასევე რელიეფური გამოსახულებაა და მრავალი სხვა რამ.
სავსებით აშკარაა, რომ ეს არქიტექტურული ნაწილები არ

ეკუთვნიან ჩვენს მიერ უკვე გათხრილ საკუთრივ ციხესა და მის განძსაცავს. ისინი ცენტრალური ტერასის დასავლეთი ფერდიდანაა გადმოყრილი და ჩამოცურებული. სწორედ ამ ფერდზეა საგულვებელი კიდევ ერთი, უთუოდ გრანდიოზული და მდიდრულად გაფორმებული არქიტექტურული კომპლექსი, რომლის ძიებაა ახლა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

ასე რომ, ცენტრალური ტერასა კვლავ რჩება ჩვენი სამუშაოების ერთ-ერთ ძირითად ობიექტად, სადაც სულ ახალი და ახალი აღმოჩენებია მოსალოდნელი. ასე, მაგ., უკანასკნელ წლებში ვერა თოლორდავას ხელმძღვანელობით ითხრება თლილი, რუსტირებული ქვათლილებით ნაგები სწორკუთხა მოედანი და მასთან ახლოს კი, ორ თუ სამ იარუსად განლაგებული წყალსაწრეტი არხები, რომელნიც თირის ქვისაგან გამოკვეთილი ფილებითაა შედგენილი. ეს წყალსაწრეტები ძველ ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საკმაოდ საინტერესო ორგანიზაციაზე მიუთითებენ. მეორეს მხრივ — ერთ-ერთი, მიწის ზედაპირიდან ყველაზე ღრმად განლაგებული წყალსაწრეტი უთუოდ რაღაც დიდ ნაგებობას უკავშირდება და ახლო მომავალში ამ შენობის ძიებაც დადგება დღის წესრიგში.

ცენტრალურ ტერასაზე ჯერ კიდევ ძალზე ბევრი სამუშაოა და საინტერესო აღმოჩენები მოსალოდნელი.

გოლოსიტყვა?

ვანის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად უკვე დიდძალი და საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა, თუმცა გათხრების დასრულებამდე კიდევ შორსაა: ძველი ქალაქის მეტად მცირე ფართობია ჯერ არქეოლოგიურად შესწავლილი. მაინც შესაძლებელია ზოგიერთი საკითხის (ხოლო ზოგჯერ საკმაოდ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის პრობლემის) დასმა.

პირველ რიგში უკვე შესაძლებელია ძველი ქალაქის ისტორიის უმთავრესი ეტაპების განსაზღვრა. ნაქალაქარზე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოვებული უძველესი მასალა, უპირატესად კერამიკული ფრაგმენტებით წარმოდგენილი, ძვ. წ. VIII — VII საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ ამ ხანის სამოსახლოს ნამთები ჯერ არაა მიკვლეული.

საკუთრივ ქალაქობის პერიოდში კი სამი უმთავრესი ეტაპი გამოიყოფა. პირველი მოიცავს ძვ. წ. VI ს. — IV ს.-ის პირველ ნახევარს, მეორე — ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის პირველ ნახევარს, უკანასკნელი — მესამე ეტაპი კი ძვ. წ. III საუკუნის დასასრულიდან იწყება და გრძელდება ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებამდე.

ჯერ პირველი ეტაპის შესახებ ვისაუბროთ, ე. ი. ძვ. წ. VI—IV ს. პირველი ნახევარი. ესაა კოლხეთის სამეფოს ძლიერებისა და აყვავების ხანა. შევიხსენოთ, რომ სწორედ ამ დროისათვის ჰეროდოტე კოლხებს მიდიისა და აქემენიდური ირანის მძლავრი მონარქიების გვერდით მოიხსენიებს. ამ დროსვე განეკუთვნება ჩვენს მიერ ვანში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების ერთი ნაწილი, ხით ნაგები სამლოცველო და ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ინტენსიური საქალაქო ცხოვრების მაუწყებელი მძლავრი კულტურული ფენები, რომელთა სიმძლავრე ზოგან ორ მეტრამდე აღწევს. ეს ფენები მრავლად შეიცავენ კერამიკულ ფრაგმენტებს, რომელნიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ძველი ქალაქის კერამიკული პროდუქციის მრავალფეროვნებაზე: დიდი ზომის ქვევრები და შედარებით მომცრო დერგები, მრავალგვარი ქოთნები და დოქები, კათხები, სხვადასხვა ჯურის სასმისები, ჯამები, თეფშები და სხვ. ისინი შავადაა გამომწვარი და მდიდრულად ორნამენტირებული. ამ ტიპიურ კოლხურ ჭურჭელთან ერთად, თუმც შედარებით მცირე რაოდენობით, გვხვდება ბერძნული იმპორტული კერამიკაც. მათგან უძველესი ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. დასაწყისისაა. იმპორტული კერამიკა მიუთითებს, რომ ამ დროიდან ვანის ძველი ქალაქი სააღებმიცემო ცენტრადაა ქცეული. ხოლო უკვე ძვ. წ. V საუკუნეში ამ თვალსაზრისითაც მის ფართოდ დაწინაურებას, როგორც უკვე ვთქვით, წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს, ვერცხლისა და თიხის ბერძნული ჭურჭლებიც მოწმობენ.

ამ არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ცხადია, რომ ძვ. წ. VI—V და აგრეთვე IV საუკუნის [illegible] ვარში ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრს. ასეთ ერთეულებს სტრაბონი კოლხეთში სკეპტუხიებს უწოდებს. ეს იყო ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც საფუძვლად ედო ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები. მათ სათავეში იდგა ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი, რომელიც უზენაესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და მით სამეფო მოხელედ აქცია. სამეფო ხელისუფლების ამ აქციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გვაროვნული არისტოკრატიის შემდგომი დაწინაურებისათვის, მისი სოციალური განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრებისათვის. სამეფო ხელისუფლების მიერ ბოძებულ ახალ ფუნქციას მოჰქონდა მათთვის ახალი შემოსავალი ხარკის სახით, რომელიც განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, არამედ ოქროს, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფასი ნივთების სახით, რაც აგრე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი სწორედ ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარში. კოლხეთის საზოგადოების მმართველ ფენას ეკუთვნის სწორედ ვანში აღმოჩენილი სამარხები ასეულობით რომ შეიცავენ ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, ფუფუნების საგნებს. მაშინ როდესაც მათგან მკვეთრად განსხვავდება იმავე დროის საზოგადოების რიგით წევრთა სამარხები. ისინი გამართულია მიწაში ამოთხრილ უბრალო ორმოებში, ხოლო მათი ინვენტარი შემოიფარგლება ერთი ან ორი თიხის ჭურჭლითა და ბრინჯაოს იაფფასიანი სადა სამკაულით. ასე შედარებაც კი სამარხეული საგნებისა ნათელს ხდის კოლხეთის საზოგადოებაში უკვე ამ დროს არსებულ მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას.

ვანის მდიდრული სამარხები უძვირფასესი მასალაა მათი თანადროული სამოსახლოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური სტატუსის განსასაზღვრავად. მე შევეცდები აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ გადმოვცე არქეოლოგიურ ძეგლთა სოციოლოგიური ატრიბუციის შედეგები, რათა ვუჩვენო თუნდაც თანამედროვე არქეოლოგიური კვლევის ინტერპრეტაციული დონის შესაძლებლობანი.

ძვ. წ. VI ს. — IV ს.-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სამარხები ვანის ძველი ქალაქის სულ სხვადასხვა ნაწილებშია აღმოჩენილი და ამიტომაც ვერ ქმნიან ერთიან სამაროვანს. ამასთან, როგორც წესი, ისინი ნამოსახლარ კულტურულ ფენაში არიან მოქცეული. ეს კი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ისინი წარმოადგენენ საოჯახო სამარხებს. თვით საცხოვრებელი ნაგებობანი ამ დროს ხის იყო და ამიტომაც ვერ შემოინახა. სამარხთა აღმოჩენის ადგილების მიხედვით ნათლად ჩანს ისიც, რომ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო პერიოდში, მმართველი ზედა ფენის საცხოვრისი და მათთან დაკავშირებული სამარხებიც, ბორცვის მხოლოდ ქვედა და ცენტრალურ ტერასაზე იყო განლაგებული. ბორცვის წვერზე იყო სამლოცველო და იგი თავისებურ ფუნქციონალურ ცენტრს წარმოადგენდა.

ამ დროისათვის ბორცვზე რიგითი მოსახლეობის არც საცხოვრებელია დადასტურებული და არც სამარხები. ისინი მათ ეკავათ მხოლოდ ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც თავის მხრივ არსად არაა დადასტურებული ვანის ტოლფასი ან მასთან ოდნავ მიახლოებული მდიდრული სამარხები. ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: სამოხელეო ზედა ფენის წარმოქმნას და მის შემდგომ სოციალურ განცალკევებას მოჰყვა მისი საცხოვრისის გამოყოფაც. შესაბამისად მათი რეზიდენცია ფაქტიურად იქცა სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად, რამაც, თავის მხრივ ენიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ურბანიზაციის რთულ პროცესში. ამ ცენტრებში ხდებოდა კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა, განსაკუთრებით ისეთი დარგებისა, რომელიც მმართველ ზედა ფენას ემსახურებოდა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ვანის მდიდრულ სამარხებში აგრე მრავლად ნაპოვნი ფუფუნების საგნები, ძვირფასი სამკაულები, ხელისუფლების ინსიგნიები და სხვ., რომელთა ადგილობრივი დამზადება, როგორც ვნახეთ, დასტურდება ამ ნივთების მხა-

ტვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური ანალიზით, აგრეთვე იქვე აღმოჩენილი საწარმოო პროცესის ნამთებით. აქვე მმართველი ზედაფენის რეზიდენციასთან, ე. ი. ადმინისტრაციულ ცენტრებში ხდებოდა უთუოდ კონცენტრაცია სამშენებლო საქმის ოსტატებისა, საიუველირო ხელოსნობისა, ძვირფასი ლითონისა და თიხის, ქსოვილების და საერთოდ ფუფუნების საგნების, იარაღ-საჭურველის დამამზადებელი სახელოსნოებისა. ამავე დროს ვანში აღმოჩენილი იმპორტული ლითონისა და ფერადი მინის ნივთები, იონიური და ატიკური მოხატული ჭურჭელი და შავლაკიანი კერამიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრების ამფორები, მოწმობენ, რომ უკვე ძვ. წ. VI და განსაკუთრებით V—IV საუკუნეებში ვანი მსხვილ სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრადაა ქცეული, ამასთან ანტიკური იმპორტი გზას იკვლევს ვანის ირგვლივ მდებარე სასოფლო თემებშიც. ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია გარკვეულ ცენტრებში და შესაბამისად, ბაზრის წარმოქმნა — ესაა საზოგადოების ურბანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი.

ამრიგად, ძვ. წ. VI—IV ს-ის პირველ ნახევარში ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის („სკეპტუხიის") („ვანის ქვეყნის") პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს, მმართველი ზედა ფენის რეზიდენციას. მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ამ ქალაქის მისადგომებთან და მის დასაცავად საგანგებოდ აშენებდნენ სამეთვალყურეო კოშკებს და თავდაცვით ნაგებობებს. ნაშთები ასეთი ნაგებობებისა აღმოაჩინა ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთმა რაზმმა (ისტ. მეცნ. კანდიდატის გელა გამყრელიძის ხელმძღვანელობით) სოფ. მთისძირში (ვანიდან ჩრდილოეთით 10 კმ-ის დაცილებით).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროის ნივთიერი კულტურა (დასახლების ტიპი, დაკრძალვის წესები, ოქრომჭედლობა, კერამიკა და სხვ.) ზუსტად ისეთივეა ვანში, როგორც ძველი კოლხეთის ზღვისპირა, ასევე მის შიდა რაიონებში, რაც ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის ნივთიერი კულტურის ერთიანობის თვალსაჩინო მოწმობაა. ამ დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვანის სანახები დასავლურ-ქართულ ანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრულ-ჭანურ (ზანების) ტომთა განსახლების არეშია მოქცეული (და შესაძლებელია ამ ხნის დანაშრევებია წარმოდგენილი ვანის „ქვეყნის“ ტოპონიმიკაში: დიხაშხო და სხვ.). ამასთან გარეგნული იერით, ნივთიერი კულტურითა და საერთოდ თავისი ხასიათით, იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანისაგან. ამიტომაც ქალაქის ისტორიის ამ ეტაპს „კოლხურ პერიოდს“ ვუწოდებთ.

უკვე ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, შეინიშნება არსებითი ხასიათის ძვრები მანამდე ერთიანი კოლხეთის მატერიალურ კულტურაში. ეს გარემოება, როგორც ჩანს განაპირობა ერთის მხრივ კოლხეთის სამეფოს დასუსტებამ, ხოლო მეორეს მხრივ, დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე წარმოქმნილი ქართლის სამეფოს — იბერიის პოლიტიკურმა ექსპანსიამ კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში. ამავე დროს ამავე ტერიტორიაზე იწყება აღმოსავლურ ქართველ ტომთა თანდათანობითი განსახლებაც. დემოგრაფიული ძვრები მკაფიოდ აისახა მატერიალურ კულტურაში: უკვე ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებიდან ოდესღაც ერთიანი კოლხეთის ტერიტორიაზე იქმნება ორი ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული კულტურული არეალი — დასავლეთისა (ზღვისპირეთი) და აღმოსავლეთისა. ამ ეპოქის მღელვარე მოვლენები და სიახლენი პირველად და ყველაზე თვალსაჩინოდ ვანში დედატოსის სამარხში აისახა. საინტერესოა, რომ დედატოსის სამარხი სრულიად აშკარად წინარე ხანის საკულტო ადგილზეა გამართული. ზუსტად ასევე, ბორცვის წვერი, სადაც ძვ. წ. V საუკუნეში სამლოცველო და სხვა საკულტო ნაგებობანი იყო აღმართული, ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნეში აგრეთვე სამარხების ზონადაა ქცეული, ხოლო ძველი (ე. წ. „კოლხური პერიოდის“) საკულტო ნაგებობანი განადგურებულ-გადამწვარია და აღარ ფუნქციონირებენ. ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო მოწმობაა თვისობრივად ახალი მოვლენების განვითარებისა ვანსა და მის შემოგარენში. ამასვე აღასტურებს კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში და კერძოდ ვანის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკრძალვის ახალი წესის — ქვევრსამარხების გავრცელება. საყურადღებოა, რომ იმავე დროიდან ე. ი. ძვ. წ. IV ს-ის შუა

ხანებიდან ქვევრსამარხები ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის ძველი ქალაქისა და „ვანის ქვეყნის“ (თუ საერთოდ ძველი კოლხეთის ისტორიაში) ეს ახალი ეტაპი, რომელიც აგრე მკაფიოდ იჩენს თავს უკანასკნელი წლების მონაპოვარში, შესაძლოა, დაკავშირებულია იმ დიდ პოლიტიკურ ძვრებთან, რომელიც მკვეთრად აღინიშნება ამ დროის მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სწორედ ამ დროისათვის ჩვენ ვხედავთ ნამდვილ „ურბანისტულ აფეთქებას“ და რიგ „სამხრეთული წარმოშობის“ კულტურულ ელემენტებს (მოხატული კერამიკა, ბერძნული ნიშნიანი კრამიტები და სხვ.). მაგრამ მაინც ჩვენ კიდევ ძალზე ცოტა მასალა მოგვეპოვება, რომ შევძლოთ მსჯელობა მთელი რიგი იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც უკვე სვამს ძვ. წ. IV—III საუკუნეების არქეოლოგიური მონაპოვარი ვანიდან. ამიტომ ჯერჯერობით ამ პერიოდს ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში ჩვენ პირობით „გარდამავალს“ ეუწოდებთ.

ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან (იქნებ უფრო დასასრულიდან) ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება და ქალაქიც ახალ ფუნქციას იძენს, ამასთან გარეგნული იერით, ნივთიერი კულტურითა და საერთოდ თავისი ხასიათით, იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანისაგან.

ძვ. წ. III—I საუკუნეებში სამკუთხა ბორცვზე განლაგებული ქალაქი ქვისა და ალიზის მძლავრი თავდაცვითი კედლებით იყო გამაგრებული, მას ჰქონდა დიდებული კარიბჭე, რომელიც წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ კომპლექსს, საფორტიფიკაციო მშენებლობის ყველა წესების დაცვით რომაა აგებული. ქალაქში იდგა მრავალრიცხოვანი საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების კრამიტით გადახურული ნაგებობანი, რომელთაგან ზოგიერთი მდიდრულად იყო მორთული: სვეტები, მოჩუქურთმებული არქიტექტურული დეტალები, წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი ლომის თავები, მარმარილოს, ქვისა თუ ბრინჯაოს ქანდაკებები, რიყის ქვით მოკირწყლული „ქუჩები“ ამშვენებდნენ ამ ოდესღაც დიდებულსა და უთუოდ ძალიან მდიდარ ქალაქს. აქ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყრიდა კოლხეთში ბერძნულ-ელინისტური სამყაროდან შემოტანილი ფუფუნებისა და ფართო მოხმარების საგნები: სინოპური ზეითუნის ზეთი და ხმელთაშუაზღვისპირა ბინაგანძულების (თაზოსი, როდოსი, კოსი, კნიდი) მაღალხარისხოვანი ღვინო, მთელს იმდროინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული პერგამონული და ალექსანდრიული თიხის ჭურჭელი (შავი და წითელი ლაკით დაფარული ლანგრები, რელიეფური გამოსახულებით მორთული თასები), ბრინჯაოს მაღალმხატვრული ნაკეთობანი...

აი აქ ჩვენს წინაშე დგება მეტად რთული და საინტერესო საკითხი, რომელიც აგრე აღელვებს როგორც სპეციალისტებს, ასევე საზოგადოების ფართო წრეებსაც. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქალაქი იყო ოდესღაც ვანში, დღეს „ახვლედიანების გორად“ წოდებულ ბორცვზე? რა ერქვა მას? რომელ წერილობით წყაროებში იხსენიება იგი და რა სახელით? ვინ ცხოვრობდა ამ ქალაქში და ვინ დაანგრია იგი? დღესდღეობით ჯერ კიდევ ძნელია ყველა ამ კითხვაზე ზუსტი და სრული პასუხის გაცემა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა მაინც შესაძლებელია.

ვანის ნაქალაქარის ძველ წერილობით წყაროებში მოხსენებულ საქალაქო ცენტრებთან შესაძლებელი გაიგივების შესახებ ჩვენს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე რამდენიმე, ურთიერთის გამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ არც ერთი მათგანი, ყოველ შემთხვევაში, მე პირადად დამაჯერებლად ვერ მეჩვენება იმიტომ, რომ ისინი არაა დაფუძნებული თვით ვანის ნაქალაქარის, როგორც სრულიად კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლის ხასიათის რამდენადმე დეტალურ ანალიზზე. ისეთი რთული და სერიოზული საკითხის კვლევისას კი, როგორიცაა, წერილობით წყაროებში მოხსენებულ საქალაქო ცენტრებთან ვანის ნაქალაქარის იდენტიფიკაციის საკითხი, პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა სახის არქეოლოგიური ძეგლებია დღემდე ვანში აღმოჩენილი, რა დანიშნულებისაა აქ გამოვლენილი თითოეული ნაგებობა და ამის შესაბამისად — რა ტიპის ქალაქთან გვაქვს საქმე.

ახლა გავიხსენოთ ძვ. წ. III—I საუკუნეების ქალაქის

უმთავრესი ნაგებობანი, ბორცვის სამ ძირითად ტერასაზე რომაა აღმოჩენილი.

ქვედა ტერასაზე — მის ჩრდილოეთ ნაწილში, როგორც ვიცით, განლაგებულია კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომლის ერთ-ერთი ორგანული ნაწილია ტაძარი-სამლოცველო: ქალაქის შესასვლელშივე აგებულია ამრიგად, საკულტო შენობა — „ღვთის კარი". სამივე ტერასაზე არსებითად მხოლოდ საკულტო ნაგებობანი — ტაძრები და საკურთხევლებია აღმოჩენილი. ნაქალაქარის ძვ. წ. III—I საუკუნეების სხვა ნაგებობათაგან ზოგიერთი თავდაცვითი (გალავნის კედლები, კოშკები), ხოლო სხვები (ე. წ. კონტრფორსებიანი ნაგებობა, 17-მეტრიანი შენობა და სხვ.) — საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. დღემდე არაა აღმოჩენილი აშკარად გამოხატული საცხოვრებელი სახლი და არც ძვ. წ. III—I საუკუნეების შესაბამისი კულტურული ფენა, ნამოსახლარი ძეგლებისათვის რომაა ჩვეულებრივი (ამ მხრივაც განსხვავდება ნაქალაქარის ისტორიის ეს ეტაპი წინამორბედისაგან), ასე რომ, დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ვანის ნაქალაქარი თითქოს არ ჰგავს „ნამდვილ საერო ქალაქებს". ვინაიდან აშკარაა ამ ქალაქში ტაძართა სიმრავლე და საერთოდ სატაძრო-საკულტო ნაგებობათა წამყვანი როლი, ამიტომაც ვფიქრობ, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ძვ. წ. III—I საუკუნეების ძველი ქართული წარმართული კულტურისა და რელიგიის ცენტრთან, თავისებურ სატაძრო ქალაქთან. ეს უნდა ყოფილიყო იმავე ტიპის ქალაქი, როგორიც იყო, ვთქვათ, ძველ ეგვიპტეში კარნაკი, ხოლო საბერძნეთში ოლიმპია და დელფო, დელოსი და დოდონა... ასეთივე ქალაქები იყო მახლობელ აღმოსავლეთში: პონტოს კომანა და ზელა, ზევსისა და აპოლონის სამლოცველოები კაპადოკიაში, ღმერთების დედის ტაძარი პესინუნტში, ოლბის სატაძრო სახელმწიფო კილიკიაში, ანაიტის ტაძარი სომხეთში და მრავალი სხვა... ცნობილია, რომ ეს ქალაქები მხოლოდ საკულტო-რელიგიურ ცენტრებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ამავე დროს იყვნენ მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულები, ფლობდნენ ვრცელ მიწებსა და აურაცხელ სიმდიდრეს...

ელინისტური ხანის კოლხეთის სატაძრო ცენტრის შესახებ ცნობა I საუკუნის ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ შემონახული: ესაა „ლევკოთეას ტაძარი, ... ქსეს აგებული, და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ჯერ ფარნაკემ გაძარცვა, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელმა“. ის ფაქტი, რომ ტაძართან სამისნოც იყო გამართული, უაღრესად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ტაძარი-სამლოცველო წარმოადგენდა არა მარტო საკულტო ცენტრს, არამედ სატაძრო-საქალაქო თემის ორგანიზაციულ ცენტრსაც. ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა უხუცესთა საბჭო, რომელსაც მთავარი ქურუმი წარმართავდა. საბჭოს მუდმივი სამყოფელი იყო სწორედ ტაძარი-სამლოცველო, რომლის საერთო-საკულტო ავტორიტეტი საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა. საბჭოს გადაწყვეტილება განიხილებოდა როგორც უზენაესი ღვთაების ნება-სურვილი, რომელიც მისნის ქადაგობის სახით ცხადდებოდა: ქადაგის წინასწარმეტყველება იურისდიქციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს ხევსურული ეთნოგრაფიული მასალებიც: ქადაგი ხევისბერის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა, ხოლო მისი ქადაგობის საფუძველზე თემის ბჭე-ხევისბერნი, აღნიშნავს პროფ. ვ. ბარდაველიძე, ადგილობრივ საქმეებს არჩევდნენ, მათ შესახებ დადგენილება გამოჰქონდათ. სტრაბონის ცნობა ლევკოთეას „მდიდარი“ ტაძრისა და მისი სამისნოს შესახებ ამრიგად გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აქ ჩვენ მართლაც საქმე გვაქვს მნიშვნელოვან და სავსებით ჩამოყალიბებულ სატაძრო ცენტრთან, სატაძრო ქალაქთან. ახლა ისაა გასარკვევი, თუ სად მდებარეობდა ბერძენი გეოგრაფის ზიერ აღწერილი ქალაქი — თითქოსდა ღვთაება ლევკოთეას სახელზე აგებული. სტრაბონის ცნობით იგი „მოსხების ქვეყანაშია“. ამის საფუძველზე, სავსებით ბუნებრივია, საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარნი ლევკოთეას ტაძარ-სამლოცველოს მესხეთის ტერიტორიაზე (დაახლოებით ახალციხე-ასპინძის მიდამოებში) რომ ვარაუდობენ. მაგრამ, მე ვფიქრობ, აქ ერთ არსებით გარემოებას არ ეწევა სათანადო

ანგარიში. ამ სატაძრო ქალაქის ადგილსამყოფელის მისანიშნებლად ბერძენი გეოგრაფი ასახელებს მდ. [illegible]-ფასისს (ე. ი. რიონს), ჰიპოსს, (ე. ი. ცხენისწყალს) [illegible] ბლეფკოსს (ამ უკანასკნელის საკითხი მთლად გარკვეული არაა: მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, შესაძლოა, ეს იყო მდ. ხანისწყალი, ჩემის აზრით კი — მდ. სულორი — რიონის მარცხენა შენაკადი). ასე რომ, სტრაბონთან დასახელებული გეოგრაფიული ნომენკლატურის თანახმად, ლევკოთეას მდიდარი სატაძრო ქალაქი თითქოს რიონის ხეობაშია საგულვებელი და ასეთად თამამად შეიძლებოდა ვანის ნაქალაქარი გვევარაუდა. მაგრამ ასეთ ვარაუდს თითქოს ეწინააღმდეგება სტრაბონის დაჟინებითი მითითება, რომ ლევკოთეას ტაძარი-სამლოცველო „მოსხების“, ე. ი. მესხების ქვეყანაში მდებარეობს. ჩვენთვის კი ცნობილი იყო, რომ მესხების საცხოვრისი ძველთაგანვე დღევანდელ სამხრეთ საქართველოს და მის კიდევ უფრო სამხრეთით ოლქებს მოიცავდა. ამიტომ ვიდრე ლევკოთეას სატაძრო ქალაქის ადგილსამყოფელს რიონის ხეობაში განვსაზღვრავდეთ და მას ვანის ნაქალაქართან გავაიგივებდეთ, აუცილებელია გარკვევაც, თუ რა საფუძველზეა იგი სტრაბონის „გეოგრაფიაში“ „მოსხების ქვეყანაში“ დასახელებული.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ იმ ვრცელი მსჯელობისა და არგუმენტაციის გამეორებით, რომელიც ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე ჟურნალ „ცისკარში“ (1968 წ. № 7). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ძვ. წ. II—I საუკუნეებში „მესხების ქვეყნის“ ნაწილი მოიცავდა დღევანდელი ღადო-ახალციხის ქედის სამხრეთ კალთებსაც. ამ ქედს რომაელი მწერალი სოლინი „მოსხების მთებს“, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი „მოსხის მთებს“ უწოდებს. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო ხანაში მესხთა განსახლების ჩრდილოეთი ფარგლები ღადო-ახალციხის ქედამდე აღწევდა და, მაშასადამე, უშუალოდ ემეზობლებოდა „ვანის ქვეყანას“. ამიტომაც შესაძლოა სტრაბონს თუ მის ინფორმატორს ვანის სანახებიც „მესხების ქვეყნად“ მიეჩნია (საინტერესოა, რომ ამჟამადაც ვანის რაიონი ეკონომიკურად: ტყით, საძოვრებით, ხოლო უფრო ადრე — ბაზრითაც ახალციხე-ადიგენის ოლქებთანაა დაკავშირებული). ამას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა, გამორიცხული არაა მესხთა, ე. ი. აღმოსავლურ-ქართული ტომების ცალკეული ჯგუფების კოლონიზაცია რიონის დაბლობში. ძვ. წ. IV—III საუკუნეები იყო სწორედ აღმოსავლურ ქართული ტომების, და პირველ რიგში მესხთა ფართოდ განსახლებისა და პოლიტიკური აქტივობის ხანა.

ამრიგად მესხური, ე. ი. ქართის ენოვანი (და დღევანდელი იმერლებისა და გურულების) წინაპარი ტომების დამკვიდრება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. III—II საუკუნეებიდან მაინცაა სავარაუდებელი. ეს ახალი ეთნიკური ტალღა გადაეფარა ძველ კოლხურ, ზანურ ენოვან სუბსტრატს. მაგრამ ძველი კოლხური ტრადიციები ვანის ძველ ქალაქში ძვ. წ. III საუკუნეში ერთბაშად არ გამქრალა: ის კვლავ განაგრძობდა არსებობას და თვალსაჩინოდ იკვლევდა გზას ნივთიერ კულტურაში, განსაკუთრებით კერამიკაში. მიუხედავად ახალი ფორმების გაჩენისა და ზოგიერთი დეტალის ცვლილებისა, კვლავ ვხედავთ ტრადიციულ კოლხურ ქვევრებს, ჭურჭლის ორნამენტაციას... მასთან ერთად მკვიდრდება ახალი ელემენტები: ქვის მონუმენტური არქიტექტურა, დაკრძალვის ახალი წესები, კერამიკის ახალი ფორმები...

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თითქოს საეჭვო აღარ უნდა იყოს სტრაბონის მიერ რიონის დაბლობის გარკვეული ნაწილის „მოსხთა ქვეყნად" გამოცხადება და შესაბამისად ლევკოთეას სახელით მოხსენებული სატაძრო ქალაქის მდ. რიონის ხეობაში ლოკალიზაციაც, რამდენადაც მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მანიშნებლად დასახელებულია მდ. ფასისი — რიონი და მისი შენაკადები: ჰიპოსი — ცხენისწყალი და გლავკოსი — სულორი (?) და თუ სწორია ეს ვარაუდი, მაშინ ვიმეორებთ, სტრაბონის მიერ აღწერილ ამ „მდიდარ" სატაძრო ქალაქად შეიძლებოდა მიგვეჩნია ვანის ნაქალაქარი, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე (მისი დღევანდელი კალაპოტიდან 1,5-2 კმ-ის დაცილებით) მდ. სულორის ხეობაში და რომელიც სადღეისოდ გამოვლენილი ძეგლებით სწორედ სატაძრო ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვანი რომ თავის დროზე ძალზე მდიდარი ქალაქი ყოფი-

ლა, თვალსაჩინოდ მოწმობს არქეოლოგიური მონაპოვარი: გათხრებისას აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი [illegible], მრავალფეროვანი არქიტექტურული დეტალები, [illegible] და მარმარილოს პროფილირებული კარნიზები, სვეტის ნაწილები, კედლის მოსართავი დეკორაციული ქვის ჭურჭლები და ნოხუმენტური სკულპტურული გამოსახულებანი (ლომის თავები), ოდესღაც რომ ამკობდნენ საკულტო თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს. ეს აურაცხელი სიმდიდრე გახდა, უნდა ვიფიქროთ, მიზეზი ვანის ძველი ქალაქის ბარბაროსული ნგრევისა, რაც აგრე ნათლად ჩანს არქეოლოგიური გათხრების პროცესში: ძლიერი ხანძრისაგან გაწითლებული ალიზის და ქვის კედლები, საძირკვლიანად დანგრეული და იავარქმნილი ნაგებობანი, დანახშირებული ხის ძელები და კოჭები, გადამწვარი და თითქმის წიდად ქცეული კრამიტები, თიხის ჭურჭლები და სხვ.

ლევკოთეას „მდიდარი" სატაძრო ქალაქი, სტრაბონის ცნობით, „ჯერ ფარნაკემ, და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელმა გაძარცვეს". აქ დასახელებული ფარნაკე, პონტოს მეფის მითრიდატე ევპატორის ვაჟი, ძვ. წ. 63—47 წწ. განაგებდა ბოსფორის სამეფოს. მის მიერ კოლხეთის დალაშქვრის შესახებ ცნობა მოეპოვება დიონ კასიუსსაც. ეს ლაშქრობა, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. 50 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ხოლო ძვ. წ. 47 წელს ფარნაკე იღუპება აჯანყებული მოხელის ასანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ასანდრეს დასჯას და ბოსფორის შემომტკიცებას რომაელები ავალებენ პერგამონის მეფეს მითრიდატე VII (ანუ როგორც მას უწოდებენ — მითრიდატე პერგამონელს), რომელმაც ძვ. წ. 47 წელს გაილაშქრა ბოსფორზე და იქვე დაიღუპა. სწორედ ამ დროს, ბოსფორში მოსვლამდე გაძარცვა მან (როგორც ფიქრობენ საომარი ოპერაციებისათვის აუცილებელი მდიდარი ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით) და უმოწყალოდ დაანგრია კოლხეთში ლევკოთეას სატაძრო ქალაქი.

ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში, ხანმოკლე დროის მანძილზე ქალაქის ორჯერ დანგრევის კვალიც საკმაოდ ნათლად ჩანს ვანის ნაქალაქარზე. პირველი შემოსევა განხორციელდა უთუ-

ზემოთ მოტანილ ცნობას ლევკოთეას სატაძრო ქალაქის ორჯერ გაძარცვის შესახებ (ჯერ ფარნაკეს, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელის მიერ).

ბიბლიოთეკა

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო, მაგრამ იმავე დროს მეტად რთული საკითხი: რომელი ღვთაების სახელზეა აგებული ეს სატაძრო ქალაქი? მართალია, სტრაბონი ამ ღვთაებას ლევკოთეას უწოდებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ადგილობრივი ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით უახლოვდებოდა დასახელებულ ბერძნულ ღვთაებას. რომ ბერძნებში უცხო ხალხის რელიგიური კულტების აღწერისას ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მოვიტანთ ჰეროდოტეს ცნობას სკვითების ღვთაებათა შესახებ: — ისინი — სკვითები (ო. ლ.) თაყვანს სცემენ შემდეგ ღვთაებებს: ყველაზე მეტად ჰესტიას, შემდეგ ზევსსა და გეას... შემდეგ აპოლონს, აფროდიტეურანიას, არესს და ჰერაკლეს... ჰესტიას სკვითურად ეწოდება ტაბიტი, ზევსს — პაპე, გეას — აპი, აპოლონს — ჰოიტოსირი" და ა. შ. სკვითური რელიგიის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ჰეროდოტე სკვითთა ღმერთებს ბერძნული რელიგიის პერსონაჟთა სახელებით რაიმე ფორმალური ნიშნებით (ან მით უფრო, სახელთა თანადამთხვევის გამო) კი არ მოიხსენიებდა, არამედ ემყარებოდა სკვითებისა და ბერძნების ღვთაებათა სიახლოვეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ ღვთაებათა იდენტურობას. ასე რომ ლევკოთეას სახელით უნდა ვივარაუდოთ რომელიმე ადგილობრივი ღვთაება.

ლევკოთეა ბერძნული მითოლოგიის ძალზე საინტერესო და ამავე დროს, შეიძლება ითქვას, მეტად რთული პერსონაჟია. ამ სახელს ბერძნულ სამყაროში, ზოგადად უწოდებდნენ ნათელ, თეთრ (ან თეთრად მოციმციმე თუ მოელვარე) ქალღმერთებს და ამ ეპითეტით ჩვეულებრივ იხსენიებდნენ ინოს, ნერეიდებს და ზღვის ღვთაებებს. მაგრამ ფართოდ გავრცელებული მითოლოგიური ვერსიის თანახმად, ლევკოთეას უწოდებდნენ ბეოტიის მეფის ასულს — ინოს; იგი (ინო-ლევკოთეა) ზღვის ქალღმერთია: ზღვაოსანთა მფარველი და გადამრჩენი. მაგრამ ინო-ლევკოთეას რელიგიური ბუნების შესწავლის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ თავისი წარმოშობით ინო-ლევკოთეა ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის

ღმერთია. ამის მოწმობადაა მიჩნეული ინო-ლევკოთეას პატივსაცემად შესრულებული მსხვერპლშეწირვისა და სხვა რიტუალის ხასიათი, აგრეთვე ზოგიერთი გადმოცემა, რომელიც პარალელს დემეტრეს კულტთან პოულობს. ამას გარდა ინო-ლევკოთეა ბერძნულ მითოლოგიაში გვეგულინება როგორც მხსნელი და აღმზრდელი დიონისესი, — მცენარეულობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ღმერთისა. ლევკოთეას რელიგიური ბუნების შესასწავლად მნიშვნელოვანია აგრეთვე თქმულება ტელქინებზე, კუნძულ როდოსის პირველ ქურუმებზე. მათ ასწავლეს როდოსის მცხოვრებლებს ლითონის მოპოვება და მისი დამუშავება, გამოიგონეს წისქვილი და მრავალი სხვა. ტელქინებს ჰყავდათ ერთი და ჰალია, პოსეიდონის სატრფო, რომელიც, აპოლონის რისხვით შეშინებული, ზღვაში გადავარდა და ლევკოთეად იქცა (ჰალია-ლევკოთეა). ეს უძველესი მითოლოგიური ვერსიაც გვიჩვენებს ლევკოთეას რელიგიური ბუნების მრავალფეროვნებას. მაგალითად, ლევკოთეას კულტი ზოგან მედიცინის მფარველი ღმერთის ასკლეპიოსის გვერდით მოიხსენიებოდა და მშობიაროობის მფარველ ქალღმერთთან იყო გაიგივებული. მასვე უნდა დავუმატოთ, რომ ლევკოთეას კულტი სხვადასხვა სახით ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში და საერთოდ მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში (ეგვიპტეში, მაგალითად, იყო ლევკოთეას ქალაქიც). ასეთ ვითარებაში, როდესაც თითქმის შეუსწავლელია ანტიკური ხანის ქართული ტომების რელიგია და სააბისო წყაროებიც კი არაა ჯერ სათანადოდ გამოვლენილი, ძალზე ძნელია დადგენა, თუ როიელი ადგილობრივი ღვთაება გააიგივეს ბერძნებმა ლევკოთეასთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი იდენტიფიკაციის საფუძვლის განსაზღვრისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ძველადვე სხვადასხვა ხალხთა ღვთაების გაიგივება მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ნიშნით ხდებოდა. ასე მაგალითად, იგივე ლევკოთეასთან აიგივებდნენ ძველ იტალიკურ ღვთაებას მატერ მატუტას (დილის თუ განთიადის ქალღმერთს), ალბათ იმიტომ, რომ ყოველწლიურად (11 ივნისს) მის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებზე დედებს საკუთარი ბავშვების ნაცვლად ხელში აჰყავდათ დისწულები:

ინო-ლევკოთეაც ხომ დისწულის — დიონისეს აღმზრდელად ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევკოთეა, როგორც ვნახეთ, ნაყოფიერებისა და საერთოდ მიწათმოქმედების, კერძოდ, მეღვინეობა-მევენახეობის (როგორც დიონისეს აღმზრდელი) მფარველი ღვთაებაა (ინო-ლევკოთეა). ამავე დროს ზოგჯერ იგი გვევლინება, როგორლაც მჭედელ-მელითონეთა მფარველ ღვთაებასთან კავშირშიც (ჰალია-ლევკოთეა), ზოგჯერ იგი ავადმყოფთა, კერძოდ, მშობიარე ქალთა მფარველი ღმერთია (ელეითია-ლევკოთეა)... მაგრამ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ლევკოთეა, თავისი გარეგნული სახით მაინც, წყლის ღვთაებაა, ყოველ შემთხვევაში, ბერძენთა რელიგიური წარმოდგენებით იგი წყლის მცხოვრებია (ბერძნული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ლევკოთეა გამოსახულია ზღვის ცხოველებით გარშემორტყმული ან ზღვის ვერძზე ამხედრებული თმაგაშლილი ქალის სახით) და მისი რელიგიურ-მითოლოგიური სახეც წყალთანაა დაკავშირებული... ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ლევკოთეას სახელით სტრაბონი იხსენიებს ძველი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც მის სახელზეა აგებული ყველაზე უფრო მდიდარი და ცნობილი სამლოცველო. ეს ღვთაება, როგორც ჩანს, ისევე როგორც ბერძნული ლევკოთეა, იყო ნაყოფიერების ღვთაება, მაგრამ გააზრებული იყო, როგორც წყლის ქალღმერთი.

ვანში აღმოჩენილი ქალაქი რომ სწორედ ქალღმერთის სახელზეა აგებული, დასტურდება არქეოლოგიური მასალით: ქალაქის კარიბჭესთან, როგორც უკვე ვთქვით, აღმართული იყო მფარველი ღვთაების ქანდაკება. იქვე კედელზე ბერძნული ასოებით ამოკაწრულია: „გევედრები მეუფე (ქალღმერთო)". ეს ქალღმერთი რომ ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი იყო, შესაძლოა ამის მოწმობა იყოს კარიბჭესთან გამართულ ტაძარში — საკურთხეველთან აღმოჩენილი შეწირულობის ხასიათი: ნაპოვნია ამფორები, რომელთაგან ორი ფეტვის მარცვლებით იყო სავსე. ფეტვი კი, მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირე-

ბულ საკულტო რიტუალში. მისი გადმონაშთია, როგორც ჩანს, სამეგრელოში ახალი წლის სადღესასწაულო რიტუალში შემორჩენილი წესი: „ფეტვიან მუჭას მეკვლე წყალში ჩაყოფდა და სინჯავდა, თუ ფეტვი მშრალი იყო, წელიწადი ტაროსიანი იქნებაო, თუ სველი — ავდრიანი“ (ს. მაკალათია). მოსავლიანობის ღვთაებისადმი ფეტვის შეწირვა სვანეთშიცაა დადასტურებული (ვ. ბარდაველიძე) „დიდება მოსვლოდეს... ფეტვი ბლომად მოგვიყვანე. დაგვიჯვარე ყოველთვის ფეტვი, დიდების ღირსო ინდომე ჩვენი შენაწირი“.

მაგრამ ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, სრულებითაც არაა საკმარისი ვანის მფარველი ქალღმერთის ლევკოთეად გააზრებისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი ძირითადად მაინც წყლის ღვთაებაა. ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი წყლის ღვთაებათა არსებობა ძველ კოლხეთში არაერთი მონაცემით დასტურდება და ამ გარემოებას (წყლის კულტის ფართოდ გავრცელებას) გეოგრაფიული გარემოს (კოლხეთის დაბლობის წყალუხვიანობით) სპეციფიურობით ხსნიან. ბერძენ მწერალს ფილოსტრატეს თითქოს უნახავს წყლის ღმერთის გამოსახულებაც, რომელიც ფასისს განასახიერებდა. ძალზე საინტერესოა, რომ უძველეს კოლხურ მონეტებზე (ძვ. წ. VI—IV სს. კოლხური თეთრი) გამოსახული ქალღმერთის იკონოგრაფიულ სახეს ანალოგიებს უძებნიან სირაკუზის მონეტებზე გამოსახულ არეტუზასთან (ს. მაკალათია, ა. ზოგრაფი, დ. ლენგი) და მაშასადამე წყლის ღვთაებასთან. წყლის ღვთაებათა კულტის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდეა შემონახული, თუმც ძლიერ სახეცვლილი (ქრისტიანული რელიგიის გავლენაა ამის მიზეზი). აღსანიშნავია, მაგალითად, სამეგრელოში შემორჩენილი დღესასწაული „მესეფობა“. ხალხის წარმოდგენით „მესეფი იყო წყლის დედა, რომელიც ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა...“ ამას გარდა, გავრცელებული იყო რწმენა წყლის დედაზე („წყარიში დიდა“), რომელიც „თეთრი ქალიშვილის“(!) სახით იყო წარმოდგენილი (გავიხსენოთ, რომ ლევკოთეა სიტყვასიტყვით „თეთრ ქალღმერთს“ ნიშნავს).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სტრაბონის ცნობებში ლევკოთეას სატაძრო ქალაქის შე-

სახებ ასახულია ვანში აღმოჩენილი ნაქალაქარი. ამით ვერ წყდება, რა თქმა უნდა, ნაქალაქარის ძველი ადგილობრივი სახელწოდების საკითხი (რამდენადაც „ლევკოთეა", ჩვენი აზრით, იმ ძველი ქართული წარმართული ღვთაების სახელის ბერძნულად გააზრებაა, რომლის სახელზეცაა აგებული ეს სატაძრო ქალაქი). ჯერჯერობით, ახალ აღმოჩენებამდე, კვლავ უნდა ვიხმაროთ „ვანის ნაქალაქარი" ან „ვანის ქალაქი", მით უფრო, რომ ეს ტერმინი („ვანი") საკმაოდ არქაულია და ამ სახელის მატარებელი გეოგრაფიული პუნქტები ჩვენში უძველესი ქართული ლიტერატურული წყაროებითაა დადასტურებული.

ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი უდიდესი წყაროა საქართველოს ძველი ისტორიისათვის. სახელდახელო ჩამოთვლაც კი იმ პრობლემებისა, რომლებიც დგება ჩვენ წინაშე ახალი აღმოჩენების შუქზე, ცხადყოფს ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას: კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა და სოციალური დიფერენციაციის კონკრეტული სურათის აღდგენა, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრები, ეთნოკულტურული რუკა და ლოკალური კულტურული თავისებურებანი, საქალაქო ცხოვრების გენეზისი და განვითარება, ქალაქის გარეგნული სახე და მისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნება, ქალაქისა და ირგვლივ მდებარე სასოფლო თემებთან ურთიერთობა, ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგები (ოქრომჭედლობა, კერამიკული წარმოება, სამშენებლო საქმე, სამეურნეო და საომარი იარაღ-საჭურველი), მხატვრული სტილი და ტექნოლოგიური თავისებურებანი, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი გარე სამყაროსთან (აქემენიდურ, ანტიკურ, სკვითურ და ელინისტურ ცივილიზაციებთან) და მრავალი სხვა.

მაგრამ ეს რთული და დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემები მხოლოდ ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებით ვერ გადაწყდება. აუცილებელია ვანის ძველ ქალაქთან დაკავშირებული სასოფლო თემების გეგმაზომიერი არქეოლოგიური გამოკვლევაც. ამიტომაც ვანის ექსპედიციის

ცალკეულმა რაზმებმა შეისწავლეს ციხე-სულორის ნაციხვარი (მარინე მიწიშვილი), საყანჩიას ველი (ვახტანგ ლიჩელი), სოფლები: მთისძირი (გელა გამყრელიძე), დაბლაგომი (ვლადიმერ თოლორდავა) და დაფნარი (ნინო კიღურაძე). ამჟამად ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფი (ვახტანგ ლიჩელი, გურამ კვირკველია, ზურაბ მჟავანაძე, დიმიტრი ახვლედიანი, გელა ნარიძე) აწარმოებენ ფართე სადაზვერვო სამუშაოებს ახალი ძეგლების გამოსავლინებლად ვანის, სამტრედიისა და ნაწილობრივ მაიაკოვსკის რაიონებში. ახლო მომავალში დაგეგმილია მარშრუტული დაზვერვა ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეც — ახალციხისა და ასპინძის რაიონებში წინასწარული მარშრუტით ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვა.

ამჟამად ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას ყველა პირობა აქვს შექმნილი წარმატებით მუშაობისათვის. გაიზარდა ასიგნებანი არქეოლოგიური გათხრებისათვის, ნაქალაქარის ტერიტორია გამოცხადდა სახელმწიფო ნაკრძალად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური მუზეუმი, ხოლო ნაქალაქარზე არქიტექტორ მერაბ კასრაძის პროექტით დაწყებულია დაცვითი და ნაწილობრივ აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას აქვს კეთილმოწყობილი ბაზა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერული დამუშავებისათვის, აქვს კარგად აღჭურვილი საველე ფოტოლაბორატორია, რომელსაც ჯეროვანი პროფესიონალის სახით განაგებს ვალერი სალნიკერი, გრაფიკულ ფიქსაციას ახორციელებს არქიტექტორთა და მხატვართა ჯგუფი გურამ უიფიანის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია დაკომპლექტებულია კვალიფიციური მუშაკებით, რომელთა ბირთვს „ვეტერანებთან“ ერთად შეადგენს თავისი პროფესიის უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობა. წლიდან წლამდე გათხრების დროს ექსპედიციას მხარში უდგას რაიონის ხელმძღვანელობა, მშრომელები, ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა. ეს მხარდაჭერა თავდადებული შრომისა და ახალი წარმატებების საწინდარია...

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი რეგულარულად ქვეყნდება სპეციალურ კრებულში „ვანი. არქე-

ოლოგიური გათხრები“ (უკვე გამოიცა 7 ტომი), აგრეთვე რიგ პერიოდულ და სამეცნიერო კრებულებში. მოსკოვში გამოიცა პოპულარული წიგნიც სათაურით „ვანი-ქალაქი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ისიც, რომ ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარზე საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ნინო კიღურაძემ (დაფნარის არქეოლოგიური ძეგლები), გელა გამყრელიძემ (მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები), ვახტანგ ლიჩელმა (საყანჩიას ნამოსახლარი), ანა ჭყონიამ (ვანის ოქრომჭედლობა) და გურამ ყიფიანმა (ვანის ხუროთმოძღვრება).

ალბათ ჩვენს მკითხველს აინტერესებს ისიც თუ რამდენადაა ცნობილი ვანის არქეოლოგიური მონაპოვარი საერთაშორისო მასშტაბით? ნაწილობრივ ამის შესახებ, უკვე მოგახსენეთ 1969 წლის აღმოჩენებთან დაკავშირებით საუბრისას.

უკანასკნელ წლებში ვანის არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ სხვადასხვა ასპექტში მოხსენდა მთელ რიგ საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებს იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ვანის არქეოლოგიურმა მონაპოვარმა კლასიკური არქეოლოგიის XI საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1978 წელს ლონდონში გაიმართა. მოხსენებას მეორე დღესვე გამოეხმაურა გაზეთი „ტაიმსი“, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი სამეცნიერო მიმომხილველის სტატია სათაურით „ვანი: ოქროს საწმისის ინსპირაცია?“.

ვანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ გამოკვლევები გამოქვეყნდა აგრეთვე საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბერძნეთის, სირიის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვ. სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში. ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსაცემად მზადდება მონოგრაფია „ვანი — ძველი კოლხეთის ქალაქი“.

ვანის არქეოლოგიური ძეგლები უკანასკნელ წლებში მოინახულეს შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ საკავშირო სიმპოზიუმის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ჩეხო-

სლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის ცნობილი არქეოლოგები და ისტორიკოსები.

ვანის ნაქალაქარის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია ჯერ შესწავლილი. ექსპედიციის სამუშაო ოთახში კედელზე დახაზულ გენერალურ გეგმას რომ შეხედოთ, დარწმუნდებით რა დიდი და შრომატევადი სამუშაო მოგველის კიდევ წინ...

არქოლოგიური გათხრები ვანში გრძელდება... ვინ იცის, ჩვენი ეროვნული ისტორიის კიდევ რამდენ საიდუმლოსა და უცნობ ფურცლებს ინახავს ეს მადლიანი მიწა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი87/1501

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა
ოქროს წვიმა . . . 3
პირველი ექსპედიცია . . . 6
ძველი ქალაქის კარიბჭე . . . 12
ტაძარი-მარანი . . . 17
ცენტრალური ტერასა . . . 31
დედატოსი — წარჩინებული მხედართმთავარი . . . 41
ოქრომრავალი კოლხეთი . . . 48
კვლავ ზედა ტერასაზე . . . 5
კიდევ ერთი ტაძარი . . .
დედატოსის სამარხის კვალდაკვალ . . .
თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველი და მისი განძსაცავი .
გოლოსიტყვა? . . .

ს. ბ. № 4229

რედაქტორი ზ. კუხიანიძე, მხატვარი ო. ქანდარია, მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა, ტექრედაქტორი გ. ჭეიშვილი, კორექტორი მზ. ყურაშვილი, გამომშვები ა. გეგია.

გადაეცა წარმოებას 19/I-84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-84. ს. ბეჭდი ქაღალდი № 1 84×108 1/32. პირ. ნაბ. თაბ. 6,51+ჩაკვრა 0,84. სააღ. რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,84. პირობითი საღებავგატარება 7,2 გარნიტური ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი.
უე 11403, ტირაჟი 5000, შეკვეთის № 1078
ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისის, რუსთაველის 7.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии и
книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси пр. И. Чавчавадзе, 33.

45 ეთ.

K289.430
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა